სპორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 1 მაისი 2008 №097 (3321) ფასი 50 თეთრი

გიორგი ასანიძე და ზურაბ ზვიადაური

ფოტო ალ. ბოლოდაშვილის

ვაარ! შოთამ სია ამოიკითხა

გრიმი, სინუ, დე ბურები, ვინტერი, ნუმანი, ბლინდი, ოპდამი, რუბიალესი, ტომაზი, როსი, ვიჩგე, ბაბანგიდა, ჯანჩელსკისი, ჰერესი, ქაფქასი, თემიზქანოლლუ, მოლესი, ლაუდრუპები, ჯანიჯა

შალომ, ავრამოვიჩი ფინალშია

ადამიანური, ძალიან ადამიანური: ჯერაც ჭირისუფალმა ლამპარდმა გოლი დედას მიუძღვნა

პატარა კაცებმა დიდი მედლები წაიღეს!

მე-20 საუკუნის ქართველი სპორტსმენი ვიქტორ სანეევი სამგზის ოლიმპიური ჩემპიონია, საალდგომოდ საქართველოს სპორტული დიდების მუზეუმის მძარცველი ჯი, სულ მცირე, ოთხი ოლიმპიური ოქროს მფლობელია...

საქართველოში, სადაც რა არ მოპარულა, მორიგი ქურდობის ფაქტს, ალბათ, ამ მწარე ხუმრობითლა თუ გამოვეხმაურებით...

არა, არ მინდა მეტი...

ზღაპრული ოპელ ვექტრა, ანუ რონალდომდე შორია

რაზე ოცნებობს საშუალო სტატისტიკური ქართველი ფეხბურთელი

30 აპრილი ქართული ფეხბურთის და ქართულის უარყოფის დღეა



ბადრი ქეთილაძის ფოტო

გუშინ 30 აპრილი იყო...

30 აპრილი, 2003: ქართულ სანაკრებო ფეხბურთს არასოდეს ჰქონია ასეთი ბედნიერი დღე. მალხაზ ასათიანის გოლით საქართველომ რუსეთის ნაკრები დაამარცხა და ქართული ფეხბურთის ისტორიაში ერთადერთხელ მოიგო მართლაც პრინციპული მატჩი.

და რა დაგავიწყებთ, რა ხდებოდა იმ ღამეს თბილისის ქუჩებში...

30 აპრილი, 2008: თბილისში ჩატარებულ ევროპის სამბისტთა ჩემპიონატზე, ქართველებმა, ლევან წიკლაურმა და მირიან პავლიაშვილმა რუსები, ალექსეი ხარიტონოვი და სერგეი სამოლოვიჩი დაამარცხეს.

ჩემპიონატის ქართველმა ორგანიზატორებმა კი ქართველების გამარჯვება ისევ და ისევ რუსულად ამცნეს ქართველსავე გულშემატკივარს. როგორც ჩანს, საქართველოში ან ქართულის მცოდნე გამომცხადებელი ვერ იპოვეს ან ამის საჭიროებას ვერც ხვდებიან...



ბადრი ქეთილაძის ფოტო

სია ცნობილია!

შოთა არველაძემ ვარსკვლავები ჩამოგვითვალა

შოთა არველაძე ყოველთვის აქტუალური თემა იყო ქართულ ფეხბურთში და დღესაც, როცა იცი, რომ მდიდარ კარიერას ასრულებს...

3 ივნისს შოთას გამოსამშვიდობებელი მატჩია თბილისში, ნამდვილი ვარსკვლავთცვენა იქნება და, შეიძლება ითქვას, უნიკალური მოვლენაა — დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში საუკეთესო ქართველი თავდამსხმელი ფეერიულად დაემშვიდობება საყვარელ ქომაგებს.

ამ მატჩისთვის უკვე დაწყებულია საორგანიზაციო სამუშაოები. რაც შეეხება თამაშს — გეცოდინებათ, ტყუპისცალის უცხოელ მეგობართა ნაკრებს საქართველოს შერეული ნაკრები (ვეტერანები და მოქმედი ფეხბურთელები) შეხვდება: თავიდან სწორედ ვეტერანები დაიწყებენ, მერე კი მოქმედი ფეხბურთელები გააგრძელებენ.

ისიც არახალია, რომ საქართველოს ნაკრებს ალექსანდრე ჩივაძე და რევაზ ძოძუაშვილი გაწვრთნიან, უცხოელებს კი ლუის ვან გაალი, მორტენ ოლსენი და შენოლ გიუნეში.

და კიდევ, შოთას გუშინ ვალენსიაში რომ დავუკავშირდით, იმ უცხოელი ვარსკვლავების საბოლოო სია მოგვაწოდა, რომლებიც 3 ივნისს ბურთს გააგორებენ „ეროვნულზე". თუმც „ლევანტეს" ფეხბურთელმა დაამატა, შესაძლოა, ერთიორი ცვლილება მოხდეს, კერძოდ, სიას ჰოლანდიელები, პატრიკ კლუივერტი და ედგარ დავიდსი დაემატონო.

სამაგიეროდ, გუშინ გადაწყდა, რომ 3 ივნისს ანდრეი კანჩელსკისიც ჩამოვა — „მანჩესტერ იუნაიტედის", „ევერტონის", „ფიორენტინას" და „რეინჯერსის" ყოფილი გარემარბი.

სანამ სიას გაგაცნობდეთ, შოთასთან სხვა საკითხებზე ნაუბარს შემოგთავაზებთ...

— პრიმერადივიზიონის წინა ტურში ისევ ვერ ითამაშე...

— ფეხი გამისივდა და ვერ ვიყავი ჯანზე. ახლა ორი დღეა, ვვარჯიშობ და ვნახოთ... ალბათ, მომდევნო ტურში შევძლებ თამაშს.

— ამასწინათ გვითხარი, საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის ასისტენტობის გარდა, სხვა შემოთავაზებებიც მაქვსო. შეგიძლია, ახლა დააკონკრეტო?

— არასერიოზული გამოვა. რამდენიმე კარგი წინადადება მაქვს და ჯერ არჩევანის წინაშე ვდგავარ.

— ყველა წინადადება მწვრთნელობას უკავშირდება?

— არა. თუმც ყველა საფეხბურთო სფეროდანაა...

ჩამომსვლელთა სია

ფრედ გრიმი (ჰოლანდია, 1965) — თითქმის მთელი კარიერა „აიაქსში" აქვს გატარებული, თუმც ედდე გუიმდე და ედვინ ვან დერ სარამდე ვერ მივიდოდა, ამიტომაც ჰოლანდიის ნაკრებში ფეხი ვერ მოიკიდა.

ხალიდ სინუ (მაროკო, 1975) — ერთი სეზონი გაატარა „ალკმაარში" შოთა არველაძესთან ერთად. ახლა თურქული „კასიმფაშას" მეკარეა.

ფრანკ დე ბური (ჰოლანდია, 1970) — წლების მანძილზე ჰოლანდიის ნაკრების კაპიტანი გახლდათ. მდიდარი კარიერა მოილია: „აიაქსში" და „ბარსელონაში" ერთ-ერთი წამყვანი მცველი იყო.

რონალდ დე ბური (ჰოლანდია, 1970) — ფრანკის ტყუპისცალმაც „აიაქსში" გაითქვა სახელი, ძმებმა ერთად მოიგეს ჩემპიონთა ლიგა 1995 წელს. რონალდი „გლაზგო რეინჯერსში" შოთას ერთ-ერთი საუკეთესო პარტნიორი გახლდათ.

აარონ ვინტერი (ჰოლანდია, 1967) — რუუდ გულიტის, ფრანკ რაიკარდის და სხვა „ასების" დარად, ვინტერიც წარმოშობით სურინამელია. ჰოლანდიის ნაკრებში 84 მატჩში 5 გოლი გაუტანია, მუშა და ამავდროულად შემქმნელი ნახევარმცველი გახლდათ. „აიაქსში", „ლაციოსა" და „ინტერში" მშვენიერი სეზონები ჰქონდა.

არტურ ნუმანი (ჰოლანდია, 1969) — ჰოლანდიის ნაკრების ერთ დროს შეუცვლელი მარცხენა მცველი. 5 წლის წინ დაასრულა ფეხბურთელის კარიერა, რომლის უმეტესი ნაწილი პსვ-ში გაატარა, თუმც „რეინჯერსშიც" იყო შოთას დროს.

დანი ბლინდი (ჰოლანდია, 1961) — ჩემპიონთა ლიგის მომგები „აიაქსის" (1995) კაპიტანი. მთელი კარიერა ამსტერდამულ გრანდში გაატარა, 1999 წელს დაასრულა ფეხბურთის თამაში და ერთი წელი საყვარელი გუნდის მთავარი მწვრთნელიც გახლდათ.

ბარი ოპდამი (ჰოლანდია, 1976) — „ალკმაარის" ლიდერი, ამ კლუბში 300-ზე მეტი მატჩი ჩაუტარებია, ჰოლანდიის ნაკრებში კი 8-ჯერ უთამაშია. ერედივიზიონის ერთ-ერთ საუკეთესო მცველად ითვლება.

ლუის რუბიალესი (ესპანეთი, 1977) — „ლევანტეს" კაპიტანი, ამპლუით მარცხენა მცველი, არცთუ სახელიანი კარიერა აქვს.

დამიანო ტომაზი (იტალია, 1974) — იტალიის ნაკრებში 25 მატჩი ჩაუტარებია და 2 გოლი გაუტანია. ბრწყინვალე სეზონები ჰქონდა „რომაში". „ლევანტეში" შარშანწინ გადავიდა და გუნდის საუკეთესო ნახევარმცველია, თუმც საუკეთესო წლები უკან მოიტოვა.

მორის როსი (შოტლანდია, 1981) — შოთა მას „რეინჯერსიდან" იცნობს. ნიჭიერ ნახევარმცველად ითვლებოდა, თუმც მერე დაღმასვლა დაეწყო, ინგლისის არცთუ სახელიან გუნდებში იბურთავა, ახლა კი ნორვეგიულ „ვიკინგში" თამაშობს. სქოთთა ნაკრებში 13-ჯერ უთამაშია.

რიხარდ ვიჩგე (ჰოლანდია, 1969) — „აიაქსი", „ბარსელონა", „ბორდო"... ამ გუნდების გარდა, უმცროსი ვიჩგე სხვაგანაც იყო, თუმცა ყველაზე შთამბეჭდავად ამ სამ კლუბში ითამაშა. 2004 წელს იაპონურ გუნდში დაასრულა კარიერა. ძალიან ტექნიკური გამთამაშებელი გახლდათ, ნაკრებში 31-ჯერ უთამაშია. ამჟამად ჰოლანდიის 19-წლამდელთა ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელია და შარშან თბილისშიც იყო ჩამოსული ევროშესარჩევ ციკლში.

ტიჯანი ბაბანგიდა (ნიგერია, 1973) — სწრაფი მარჯვენა გარემარბი, ვინაც „აიაქსში" გაატარა საუკეთესო წლები, თამაშს სამი წლის წინ შეეშვა, ბოლოს ჩინეთის ერთ-ერთ კლუბში იბურთავა. ნიგერიის ნაკრებში 1995 წლის ოლიმპიადა მოიგო.

ანდრეი კანჩელსკისი (რუსეთი, 1969) — ჯერ კიდევ საბჭოეთის ჩემპიონატის დროს გადავიდა დონეცკის „შახტიორიდან" „მანჩესტერ იუნაიტედში", რაც უსენსაციურეს ტრანსფერად მონათლეს, თუმც კანჩელსკისმა ჩინებულად ითამაშა „მანჩესტერშიც", „ევერტონშიც", „ფიორენტინაშიც" და შოთას დროინდელ „რეინჯერსშიც". ამჟამად რუსეთის პირველლიგელ „ნოსტას" სპორტული დირექტორია.

კენეტ პერესი (დანია, 1974) — კარიერის უმეტესი ნაწილი ჰოლანდიის ერედივიზიონში გაატარა და ახლაც იქაა — „აიაქსში". ადრე „ალკმაარსა" და პსვ-შიც უთამაშია, დანიის ნაკრებში კი 20 მატჩში 2 გოლი აქვს გატანილი.

თოლუნაი ქაფქასი (თურქეთი, 1968) — ზუსტად იმ წლებში ითამაშა „ტრაბზონსფორში", როცა იქ შოთა და არჩილი შოუებს დგამდნენ. თურქეთის ნაკრების ყოფილი მცველია, ამჟამად კი იქაურ „ქაისერს" თავკაცობს.

ოგიუნ თემიზქანოღლუ (თურქეთი, 1969) — თითქმის მთელი კარიერა „ტრაბზონსფორში" გაატარა და თურქეთის ნაკრების წამყვანი მცველიც გახლდათ.

მიხაელ მოლსი (ჰოლანდია, 1970) — 37 წლის თავდამსხმელი „ფეინოორდში" დღესაც ერთ-ერთი საუკეთესოა, თუმც გაცილებით უკეთ თამაშობდა „რეინჯერსსა" და „უტრეხტში". ტექნიკური, რბილი მანერის ფორვარდია.

ბრაიან ლაუდრუპი (1969, დანია) — 1992 წლის ევროპის ჩემპიონმა კარიერა 2000 წელს დაასრულა. ტრავმები რომ არა, გაცილებით ფასეული კარიერა ექნებოდა. „ბაიერნი", „ფიორენტინა", „მილანი" და „აიაქსი" მოიარა, ყველაზე დიდხანს (ოთხი წელი) კი „რეინჯერსში" ითამაშა. 1992-ში „ოქროს ბურთის" ნომინაციაში მეხუთე ადგილზე გავიდა.

მიქაელ ლაუდრუპი (დანია, 1964) — ალბათ, ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი, რომელიც 3 ივნისს თბილისში ჩამოვა. ძნელია, მისი მდიდარი საფეხბურთო კარიერა მოკლედ ჩაატიო, ფეხბურთელი ხომ დიდებული იყო და მწვრთნელადაც ვერავინ დაიწუნებს — მისი პატარა „ხეტაფე" ევროსარბიელზეც რიგიანად გამოჩნდა.

კლაუდიო კანიჯა (არგენტინა, 1967) — მიქაელ ლაუდრუპის დარად, კანიჯაზე მოკლედ მოყოლა ძალიან საძნელო საქმეა. დიეგო მარადონას უახლოესი მეგობარი... მოკლედ, კანიჯაა და ამით ყველაფერი ნათქვამია...

ილია ნანოგაშვილი

მუჯირი გამოჯანმრთელდა



აზერბაიჯანული „ბაკის" ქართველი ნახევარმცველი ამირან მუჯირი გამოჯანმრთელდა და მომავალ ტურში, სტუმრად „ხაზარ-ლენქორანის" წინააღმდეგ სათამაშოდ მზად არის.

„ძალიან რთული მატჩი გველის და თამაში მინდა. მჯერა, ჩვენი გუნდი ღირსეულ თამაშს აჩვენებს" — განაცხადა მუჯირმა, რომელიც გუნდს ბოლო მატჩებში ვერაფრით ეხმარებოდა.

კახა შალამბერიძე

ქალთა მეორე მარცხი

ბაქოში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის მეორე მატჩში საქართველოს ქალ ფეხბურთელთა ნაკრები მაკედონიას გაეჯიბრა და 0:2 დამარცხდა.

შეგახსენებთ, რომ გუშინწინ ჩვენი გოგონები მასპინძელ აზერბაიჯანთანაც დამარცხდნენ (0:3).

კახა შალამბერიძე



არა, არ მინდა მეტი...

ზღაპრული ოპელ ვექტრა, ანუ რონალდოამდე შორია

ამასწინათ საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელთა ერთ ჯგუფს ვუსმინე და ნეტავ, არ მესმინა... არა, განსაკუთრებული არაფერი გამიგია. ჟურნალისტებმა კი არა, უბრალო გულშემატკივრებმაც იციან, როგორი მიდგომა აქვთ საქმისადმი ფეხბურთელთა ნაწილს, მაგრამ ახლა ქუჩაში ნათქვამი გაზეთში უნდა გადმოვწერო — რა ვქნა, გული არ მითმენს.

— რაო, ბიჭო, „ჩაჯექი სასტავში“ და გამარჯობას აღარ გვეუბნები? გამდიდრდი?

— არა, უბრალოდ, ჩვენი „ტრენერი“ მაგრად გვაკონტროლებს, დალევაზე და პოკერების თამაშზე გუნდიდან უშვებს ბიჭებს.

— თუ ძმა ხარ, ვინ რას გაიგებს. აგერ, ჩვენს კორპუსში რომ ცხოვრობს, მშვენიერი „პადიომიც“ აიღო, სვამს კიდეც, პოკერებშიც დადის და კაი მანქანითაც „დაგულაობს“. მერე რა, რომ აღარ ათამაშებენ, ხელფასს კი იღებს და...

— ჰო, მარა...

— რაღა მარა, ბურთს გინდა გადააკვდე?

— შენ გგონია ვარჯიშებზე თავს ვიკლავ ან თამაშებზე? პროსტა, გუნდიდან რომ არ გამიშვან...

მერე ამ ბიჭმა მაგალითი მოიყვანა, ლევან ყენია და ლევან მჭედლიძე რომ სვამდნენ, განა, ასეთი მაგრები იქნებოდნენო, მაგრამ „შემტევი“ არ დაცხრა — მოიცა, ეგენიც იშოვიან მაყუთს და კარგად მეყოლოს მაგათი ფეხბურთიო.

აი, რა დამოკიდებულებაა: ყველაზე ცუდი ბოლო პასუხი იყო. თუ თავს არ იკლავ ვარჯიშზე და თამაშზე, თუ ოფლი არ დაღვარე, რატომ გაქვს პრეტენზია მაგარ ფეხბურთელობაზე და მით უმეტეს, რას გინდა, ცხოვრებაში მიაღწიო, როცა ფეხბურთზე კარგად არაფერი გამოგდის?!

აქედან ერთი დასკვნაა: არა აქვთ ამ ბიჭებს იმის სურვილი, რომ ძლიერები იყვნენ. ჰგონიათ, რომ „ტროიკა ბეემვეს“ რომ მოაჯდებიან, ფეხბურთში საქმე უკვე გაკეთებული აქვთ. ეს რისი ბრალია და, არაპროფესიონალიზმის, მოუთმენლობის, სიზარმაცის!

საინტერესოა „შემტევის“ მოსაზრებაც — ყენია და მჭედლიძეც რომ ცუდ გზაზე დააყენა, ნეტავ, ლეო მესიზე ან პატოზე რას იტყვის, მათაც მალე ამთავრებინებს ფეხბურთელობას? მაგრამ „შემტევი“ სხვა მხარეს ურტყამდა, კერძოდ, საქართველოში ხდება ასეო...

რა იწვევს ფეხბურთისადმი ასეთ გულგრილ დამოკიდებულებას: ალბათ, ყველაფერი ერთად — როგორ გარემოში გაიზარდა, რამდენად გაუმართლა და მოწესრიგებულ კლუბში მოხვდა... აღზრდას თავი დავანებოთ, რადგან ეს ზოგადი საკითხია და ძალიან შორს წაგვიყვანს. აი, კლუბი კი სხვაა — იმ დღეს სიმწრით გამეცინა, უმაღლესი ლიგის ერთ-ერთი გუნდის ფეხბურთელი უშუალოდ თამაშისას თავის თანაგუნდელს ვერ ცნობდა, აუტს რომ აწვდიდა, სხვა თანაგუნდელს შეეკითხა, ის წინ რომ გვყავს, ესა და ეს ნომერი, ვინ არისო...

დიახ, ბევრ კლუბში იმდენად მოფამფალებული სიტუაციაა, ფეხბურთელები ერთმანეთს არ იცნობენ და, ცხადია, ეს მწვრთნელის და საერთოდ, კლუბის ხელმძღვანელობის ბრალია. ნუ, ეს ისეთი საკითხია, ქუჩის ფეხბურთის დონეზე დაბლა რომ დგას — იქ იცნობენ მაინც თანაგუნდელებს.

სწორედ აქეთ ურტყამდა ის „შემტევი“, ფეხბურთზე ისედაც გულაცრუებულ ბიჭს უარესად რომ უცრუებდა იმედებს. ან რამდენჯერ გინახავთ, წაგებული გუნდის მოთამაშე ნამატჩევს სიცილ-ხარხარით გამოდის გასახდელიდან, საერთოდ არ სწყინს მარცხი. სამაგიეროდ, მის საძმაკაცოს სწყინს, პრემიას ვერ აიღებს და სახინკლეც „გაგვემაზაო“.

გვესმის, რომ ეს ქვეყანაში არსებულმა გაჭირვებამ მოიტანა, მაგრამ შენ, ფეხბურთელო, ხომ გაკეთებინებენ შენს საქმეს, ხომ გათამაშებენ?! ადექი და გულიანად მიუდექი საკეთებელს, გეყოს მოთმინება და ივარჯიშე, საკუთარი თავი შექმენი! უდონო ჩემპიონატია? მიდი, შენ იყავი კარგი, შენი წილი პასუხისმგებლობა აიღე, რათა დონიანი ჩემპიონატი გახდეს, შენც დაგიფასდება, სხვასაც აიყოლიებ.

სწორედ ასეთი უგუნური მიდგომის ბრალიცაა, კარგი ფეხბურთელების დეფიციტი რომ გვაქვს. ის ეროვნული ნაკრებიც, ქვეყნის საფეხბურთო სახე რომ ჰქვია, მარტო 11 კაცისგან და მწვრთნელისგან არ შედგება. 11 კაცსაც მოგება უნდა, ამ 11-ს კი კონკურენტუნარიანი გარემო სჭირდება, რათა მეტი პასუხისმგებლობა (გნებავთ, შიში დაარქვით) იგრძნოს.

...მაგრამ თვითკმაყოფილება ჭამს ფეხბურთელთა უმეტესობას. ძნელია რონალდოობა, სამაგიეროდ, ადვილია კაი „ოპელ ვექტრას“ დათრევა — იყოს, რაც არის...

ილია ნანობაშვილი

ბჟალავას აღმასვლა საგაისოდ გადაიდო

მირზა ბჟალავას ავსტრიულ მაქსბუნდესლიგაში გადასვლა საეჭვო გახდა — „ლუშტენაუმ“ ერსტე ლიგის 29-ე ტურში მოულოდნელად წაიფორხილა, 1:2 წააგო „პარნდორფთან“ და ლიდერ „კაპფენბერგს“ უკვე 6 ქულით ჩამორჩება.

„პარნდორფთან“ ბჟალავამ 69 წუთი ითამაშა, მერე შეცვალეს და გოლებიც ამის შემდეგ გავიდა — ჯერ „ლუშტენაუ“ დაწინაურდა, თუმცა ბოლო წუთებზე მასპინძლებმა ორი გოლიც გატანა შეძლეს და...

ერსტე ლიგის დასრულებამდე ოთხი ტური დარჩა და ძნელი სავარაუდოა, „ლუშტენაუმ“ ამ 6 ქულის ამოქაჩვა შეძლოს.

კახა შალამბერიძე

ქართულ-ანჭური ამბები რუსეთიდან

ნავალოვსკი საუკეთესოა

ქართული ამბებით დატვირთული გამოდგა რუსეთის პირველი დივიზიონის მატჩი პიატიგორსკის „მაშუკსა“ და მახაჩყალის „ანჟის“ შორის. ჯერ ის ვთქვათ, რომ მოედანზე ერთბაშად ექვსი ქართველი იყო — მასპინძელთა რიგებში რუსეთის მოქალაქენი, სახვაძე და გოგბერაშვილი თამაშობდნენ, ხოლო სტუმრებს ვალერი აბრამიძე, გოჩა ხოჯავა, მიხეილ აშვეთია და გიორგი ნავალოვსკი ჰყავდათ.

ანჟელი ქართველებიდან აშვეთიასა და ხოჯავას ნაადრევად მოუხდათ მოედნის დატოვება — აშვეთია მატჩის დამთავრებამდე 13 წუთით ადრე შეცვალეს, ხოჯავა კი შეხვედრის ბოლოსკენ მეორე გაფრთხილების გამო გააძევეს, მის გარდა, ყვითელ ბარათს აშვეთიამაც გამოჰკრა ხელი.

ჩვენები მხოლოდ უდისციპლინობით არ გამორჩეულან, რუსმა ჟურნალისტებმა ნავალოვსკი მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. სწორედ გიორგის აქტიურობას მოჰყვა ის ჯარიმაც, რომელიც აგალაროვმა ზუსტად შეასრულა და „ანჟი“ დააწინაურა. სტუმრებმა პიატიგორსკიდან სამი ქულის წაღება კი მაინც ვერ მოახერხეს, მატჩი ფრედ დამთავრდა — 1:1.

მახაჩყალელები შეხვედრის ბოლო წუთზე პენალტის დანიშვნას ითხოვდნენ და ამის გამო ერთი ამბავიც ატეხეს, მაგრამ არბიტრს, ცხადია, არაფერი შეუცვლია.

რუსეთის პირველ დივიზიონში ქართველებით ყველაზე მდიდარი „ანჟი“ საადღეისოდ მეხუთე ადგილზეა და პრემიერლიგისკენ მიიწევს, მაგრამ თავად მახაჩყალელთა მწვრთნელ ომარ თეთრაძესაც ეჭვება, მისი გუნდი უძლიერესთა შორის ამ სეზონშივე აღზევდეს. თეთრაძე ამბობს, რომ პრემიერლიგაში გადასასვლელად „ანჟი“ კიდევ უნდა გაძლიერდეს და ამ მიზნის მიღწევას ორი სეზონი დასჭირდება. ჯერჯერობით თეთრაძეც გამოუცდელი მწვრთნელია...

კოგა ინასარიძე

ლევან მელქაძემ ყაზახეთი დატოვა

ძოძუაშვილს ჭორები გაუფანტეს



ყარაგანდის „შახტიორს“ წლევანდელ სეზონში ჩემპიონობის ფავორიტად მიიჩნევდნენ, თუმც გუნდი ისე ვერ თამაშობს, როგორც საჭიროა. ბოლო დროს კი ჭორები „შახტიორის“ თემაზე ყაზახეთში მოდური გახდა — გუნდიდან ჯერ მთავარი მწვრთნელი რევაზ ძოძუაშვილი „გაუშვეს“, შემდეგ კი პრეზიდენტი გრიგოლ ლორია.

„ეს განსაცვიფრებელი ინფორმაცია ჟურნალისტებისგან შევიტყვე, კლუბის პრეზიდენტი ვიყავი და დავრჩები კიდეც. არც მწვრთნელის შეცვლაზე გავრცელებული ხმები შეესაბამება სიმართლეს. სამწვრთნელო შტაბში ცვლილებები არ იგეგმება, არავისთან მოლაპარაკებას არ ვაწარმოებთ და ძოძუაშვილის ადგილზე არავის მოყვანას არ ვაპირებთ“ — განაცხადა ლორიამ.

სამაგიეროდ, კლუბის ოფიციალური ვებგვერდი გვამცნობს, რომ ყარაგანდული გუნდი დატოვა ლევან მელქაძემ. მიზეზად ოჯახური მდგომარეობა და ფეხბურთელის ჯანმრთელობა დასახელდა.

შეგახსენებთ: გასულ სეზონში მელქაძემ 20 მატჩში 8 გოლი გაიტანა და გუნდის ერთ-ერთი ბომბარდირი იყო, წლეულს კი ქართველი ფეხბურთელი ერთხელაც არ გამოჩენილა მოედანზე.

მიხეილ ჟორჟოლიანი

მოიგეთ და განითესეთ!

ვისთან დაგვაწყვილებს წილისყრა ზაფხულში?

ჩემპიონთა ლიგისა და უეფას თასის საპასუხო ნახევარფინალ-ფინალები და, საამსეზონო ევროტურნირები ჩამთავრდება, რის მერეც უეფა კოეფიციენტების ახალ ცხრილს გამოაქვეყნებს. ოღონდ ისიც არის, რომ საქართველოს ხმ ახალ რეიტინგში ქულები აღარ მიემატება — ქართულმა კლუბებმა ხომ თავიანთი მონაგარი ჯერ კიდევ შარშან ზაფხულში შეივსეს და დაითვალეს, ანუ ჩვენი ადგილი რეიტინგში ახლავე შეგვიძლია გამოვთვალოთ და თუ ინგლისს ან გერმანიას კიდევ შეემატება სარეიტინგო ქულები, ეს ჩვენ მაინცდამაინც აღარ უნდა გვაღელვებდეს...


დინამო 2:0 გადუცი

წინა სეზონში საქართველომ „დინამოსა“ და „ამერის“ ამ გოლებით მიიღო სარეიტინგო ქულები

ამერი 2:0 ბელხატუვი

თავდაპირველად კი ის გავიხსენოთ, როგორ ითვლება ქულები. სისტემა კონკრეტული მაგალითის საფუძველზე განვიხილოთ.

ამ სეზონში საქართველოს ევროთასებზე სამი გუნდი ჰყავდა: „ოლიმპი“ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე, ხოლო „დინამო“ და „ამერი“ უეფას თასისაზე.

საკვალიფიკაციო ეტაპებზე მოგებისთვის კლუბს 1 ქულა ემატება, ფრისთვის — 0,5 ქულა.

რუსთაველებმა ერთი მატჩი წააგეს, ერთიც ფრედ ითამაშეს, ანუ ნახევარი ქულა შემატეს ქართულ რეიტინგს. „ამერმა“ ერთი თამაში მოიგო, ერთი წააგო და ესეც — 1 ქულა. „დინამომ“ ოთხი მატჩიდან ერთი მოიგო, ერთი ფრედ ითამაშა და ორში დამარცხდა, რითაც აქტივს 1,5 ქულა შემატა. შევაჯამოთ და, 3,0 ქულას მივიღებთ, რომელიც გუნდების რაოდენობაზე იყოფა და საბოლოოდ, საქართველო 2007-2008 წლების სეზონში 1,0 ქულის ამარა რჩება.

ამის მერე უეფა გამოთვლის წესს ართულებს, ფორმულების და პროცენტების გამოყენებით ბოლო ხუთი სეზონის საშუალო ქულა გამოჰყავს და რეიტინგიც მზად არის.

ეს რთული პროცედურა გამოვტოვოთ და ქართული კლუბების ბოლო ხუთი წლის მონაგარი გავიხსენოთ...

2007-2008	
დინამო	1,5
ამერი	1,0
ოლიმპი	0,5
საშუალო: 1,000	
2006-2007	
ამერი	1,5
ვიტ ჯორჯია	1,0
სიონი	1,0
საშუალო: 1,166	
2005-2006	
ლოკომოტივი	1,0
დინამო	1,0
ტორპედო	0,0
საშუალო: 0,666	
2004-2005	
დინამო	5,0
თბილისი	2,0
ვიტ ჯორჯია	1,0
საშუალო: 2,666	
2003-2004	
დინამო	1,0
სიონი	0,0
ტორპედო	0,0
საშუალო: 0,333	

ფორმულების გამოყენებით, ამ დროისთვის საქართველოს კოეფიციენტი უეფას რეიტინგში 1,925-ია.

თუმცა უეფას ერთი წესიც აქვს: თუ კლუბის პირადი კოეფიციენტი ქვეყნის კოეფიციენტზე მაღალია, ის კლუბი საკუთარი კოეფიციენტის მიხედვით იკავებს ადგილს რეიტინგში. ასე მაგალითად, წინა სეზონში საქართველოდან უეფას თასზე „ამერი“ და „დინამო“ რომ გავიდნენ, „ამერი“ ქვეყნის იმდროინდელი კოეფიციენტით (2,035) პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე განუთესავთა შორის იყო, „დინამო“ კი საკუთარი კოეფიციენტით (4,035) განთესილთა შორის მოხვდა.

ახლა სიტუაცია ასეთია: ქვეყნის კოეფიციენტი, როგორც მოგახსენეთ, 1,925-ია, ხოლო „დინამოს“ კოეფიციენტი 3,925 გახლავთ.

შეამჩნევდით, რომ შარშანდელთან შედარებით ორივე მაჩვენებელმა დაიკლო.

ახლა კი მთავარზე ვთქვათ: ამგვარი კოეფიციენტებით როგორ განითესებიან ქართული კლუბები 2008-2009 წლების ევროსეზონისთვის.

ჩემპიონი, გინდათ, „დინამო“ გახდეს, რისი ალბათობაც ძალიან დიდია, და გინდათ, რომელიმე სხვა, საუკეთესო ქართული კლუბი ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე უეჭველად განთესილთა შორის იქნება.

თუ ჩემპიონი „დინამო“ გახდა, განთესილთა შორის მე-6 ადგილს დაიკავებს და მასზე უკეთესი კოეფიციენტი ზაგრების „დინამოს“, შვედურ „გიოტებორგს“, თემურ ქეცბაიას „ანორთოსის“, ფინურ „ტამპერეს“ და სლოვაკეთის ჩემპიონს ექნება. ხოლო თუ ჩემპიონი სხვა გუნდი გახდა, განთესილთა შორის ბოლო ადგილს დაიკავებს. ოღონდ შევნიშნოთ, რომ პრაქტიკული თვალსაზრისით, ამას მნიშვნელობა არ აქვს.

და ვინ შეიძლება იყოს საქართველოს ჩემპიონის პირველი მეტოქე? ვარიანტები ასეთია: ბელარუსული ბატე, ესტონური „ლევადია“, აზერბაიჯანის, ალბანეთის, მალტის, ჩერნოგორიის და სან მარინოს ჩემპიონები, სომხური „პიუნიკი“, ყაზახური „აქტობე“, ჩრდილოირლანდიური „ლინფილდი“, უელსური „ლანელი“, ფარერული „რუნავიკი“, ლუქსემბურგული „დუდელანჟი“ ან ანდორული „სანტა კოლომა“.

ხოლო თუ საქართველოს ჩემპიონმა პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი გადალახა, მეორე ეტაპზე ყველა ვარიანტში განუთესავთა შორის აღმოჩნდება.

ახლა უეფას თასზე გადავიდეთ. „ვიტ ჯორჯია“, „ზესტაფონი“ და „ამერი“ — საქართველოდან ამ სამეულიდან ორი ითამაშებს (თუ „დინამომ“ ჩემპიონობა არ დაკარგა, ან „ამერმა“ თასის ნახევარფინალში „ბორჯომთან“ სამი უპასუხო ბურთით არ წააგო).

თუ უეფამ გეოგრაფიული გადაადგილებები არ მოახდინა, ცენტრალურ-აღმოსავლეთ რეგიონში, სადაც ორივე ქართული გუნდი მოხვდება, ორივენი განუთესავები იქნებიან. საქართველოს ახლანდელი კოეფიციენტი საუეფასთასოდ განთესვას ვერ „ქაჩავს“.

სავარაუდო მეტოქეები კი არიან: ავსტრიული „აუსტრია“ და „ზალცბურგი“, შვეიცარიის, სლოვაკეთის, პოლონეთის, უნგრეთის და მოლდოვის ჯერაც უცნობი გუნდები.

და ბოლოს: უეფას საკლუბო რეიტინგში საქართველო 38-ე ადგილზეა ისლანდიასა და ლიხტენშტაინს შორის.

გიორგი დარჯანია

რა დაშლის ოპოზიციას და, რიგგარეშე არჩევნები

გუშინ თბილისის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატი გელა კეტაშვილი და უეფას მედიაოფიცერი მამუკა კვარაცხელია თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებს შეხვდნენ...

კვარაცხელია პირველი წარუდგა სტუდენტებს და კეტაშვილის პროგრამის ნაწილი გააცნო. აღნიშნა, რომ მისი გუნდი ოპოზიციასთანაა გაერთიანებული და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნებს ითხოვენ, თუმც დასძინა, რომ არჩევნების დანიშვნის შემდეგ ოპოზიცია ისევ გაიყოფა და ყველა თავისი გზით ივლის. კვარაცხელიას არც ის დაუმალავს, რომ სურს ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭი ისევ იყაროს.

„ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა გვიჩვენა, რომ ქართული ფეხბურთის გადარჩენის ერთადერთი გზა რიგგარეშე არჩევნებია. ფედერაციის ხელმძღვანელობა უნდა გადადგეს. უამრავი თანხა წყალს გაატანეს, მარტო ჰერბერტ ცანკერს იმდენი აქვს აღებული, ყველა ქართველ მწვრთნელს 16 წლის განმავლობაში რომ არ აუღია...

...სად წავიდა რეგიონალური ფედერაციების ოფისების ფული? ერთი გუცაევმა წაართვა, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, ფული და ააშენა, თორემ დანარჩენი თანხა ჯიბეში აქვთ ჩადებული...

...ეროვნულ ჩემპიონატში საჭიროა გუნდების რაოდენობის შემცირება და ფეხბურთის ბიზნესად გადაქცევა. ბიზნესმენებს ჩვენ კი არ უნდა ვეხვეწებოდეთ, თავად უნდა დგებოდნენ რიგში. არც სახელმწიფოს ფულებით არ უნდა ტარდებოდეს ჩემპიონატი. თუმცა რომელი ბიზნესმენი მოვა საქართველოში. კალაძემ არ იცის, აქ რა ხდება? ამიტომაა, „ტორპედო“, „კოლხეთი“, ან სხვა ქართული კლუბი კი არ იყიდა, ლატვიურ „დინაბურგში“ დააბანდა ფული...

...არაპროფესიონალიზმია ბავშვთა მწვრთნელებში, ხშირია ჩაწყობილი თამაშები. ორი თვეა, პროკურატურა იძიებს ჩაწყობილ თამაშებს. ეს ყველაფერი იმის ბრალია, რომ ფედერაციაში დილეტანტიზმია. ვინ არის გოგი ქავთარაძე?! რა უნდა მას ფედერაციაში?! დღეს ფედერაციაში ბევრი ვალოდია ჯინჭარაძეა“ — განაცხადა კვარაცხელიამ.

მან იმის პირობაც დადო, რომ არჩევის შემთხვევაში შეეცდება, იჩივლოს და ტოპმიოლერს წაღებული ხელფასი დააბრუნებინოს.

თითქმის ანალოგიური ტექსტი ჰქონდა კეტაშვილს. ისიც სპონსორების მოძიებას, ეროვნული ჩემპიონატის დონის ამაღლებასა და საქმისადმი გულიან მიდგომას შეჰპირდა სტუდენტებს.

აქვე შეგახსენებთ, რომ თბილისის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები 10 მაისს არის დანიშნული. კანდიდატი ჯერ ორია — გელა კეტაშვილი და გრიგოლ ცაავა.

განაცხადების მიღების ბოლო ვადა დღეს საღამომდეა.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ან ფეხბურთამდე

აპრილი ჩვენს ქვე-ყანაში

18 აპრილიდან 20 მაისამდე საფარაულო აღარაფერია

ილია ბაბუნაშვილის ფურცელი

ცუდი რა არის, იცით? ის, რომ საქართველოს ჩემპიონის ვინაობა 18 აპრილს გაირკვა, ჩემპიონატი კი 20 მაისამდეა...

გაბედული ნათქვამია? ვჩქარობთ? კიდევ შეიძლება, რამე მოხდეს? თეორიულად, ალბათ, დიახ, შეიძლება, მაგრამ ვაი, რომ ჩვენს შემთხვევაში თეორია და პრაქტიკა ერთმანეთს სცილდება. ისე კი, ნეტამც ამ სიტყვების წაკითხვაზე ლიდერთა ჯგუფის გუნდები გაბრაზდნენ, იფიქრონ, მოდი, ამის დამწერს დავუმტკიცოთ, რომ საქართველოს ჩემპიონატისა არაფერი გაეგებაო და ბოლო ტურებში დრამა დაგვიტრიალონ (ჩემპიონი კი, ვინც უნდა, ის გახდეს), მაგრამ, ვაგლახ, ასე არ მოხდება. ჯერ კიდევ იმ, ხსენებულ 18 აპრილს მოვისმინე ჩვენი ქვეყნის პირველობაში ჩახედული კაცისგან: დღეს „ვიტ ჯორჯიამ“ „დინამოს“ თუ ვერ მოუგო, დანარჩენ მატჩებს მნიშვნელობა აღარ ექნებაო. იმ დღიდან ჩემპიონატის დამთავრებამდე კი 4 ტური რჩებოდა, ანუ „ვიტ ჯორჯიასაც“ და „დინამოსაც“ წინ ოთხი თამაში ჰქონდათ ჩასატარებელი. ოთხი თამაში, ბატონებო, 12 ქულაა! ჰოდა, ამ 12 ქულას მნიშვნელობა აღარ ექნებაო.

კაცმა რომ თქვას, იმაში, რაც აქამდე ვთქვით, ტრაგიკული არაფერია, მაგრამ, აბა, სად ისეთი შეჯიბრება, სადაც დაწინაურებულ გუნდს ხიფათი ბოლო დღემდე, ნებისმიერი მეტოქისგან ელის და სად „გამოცხადებული ჩემპიონობის ქრონიკა“. ვფიქრობ, ზოგადად ქართული ფეხბურთის ქომაგებს „წეწვა-გლეჯვა“ ჩემპიონატი უნდა ერჩივნოთ, მაგრამ რაც არის, არის, ჩვენი საქმე კი ამ არსებულზე ფიქრი და მისი აღწერაა.

ჰოდა, აპრილის ქრონოლოგია კი დაირღვევა, მაგრამ გავბედავთ და, პირდაპირ 22-ე ტურით დავიწყებთ, რასაც მე-20 და 21-ე ტურები, იმედია, გვაპატიებენ. ერთი სიტყვით, იმ პარასკევ დღეს მცხეთაში ჩემპიონატის მთავარი მატჩი, „ვიტ ჯორჯია“ — „დინამო“ გაიმართა. ეს გახლდათ ისეთი შეხვედრა, რომელიც მასპინძლებს აუცილებლად უნდა მოეგოთ, მაგრამ ვერ შეძლეს: ორჯერ ბურთი ხარიხას გაარტყეს, ერთიც პენალტი გააცუდეს და თუ სკეპტიკოსები მართლები ვართ, საქართველოს ჩემპიონატსაც, თავისდა სამწუხაროდ, იქ დაუმთავრეს ინტრიგა.

ის შეხვედრა ბევრჯერ აღიწერდაიწერა, ტელევიზიითაც გადაიცგადმოიცა და „კოლხიდას“ საკვირაო მიმოხილვაშიც ჩამონტაჟდა, ასე რომ, მისი ფრაგმენტების მოგონებით თავს აღარ შეგაწყენთ, თუმცა იმას მაინც გავიხსენებ, რომ თავისი წილი რამდენიმე მომენტი, თან საკმაოდ მწვავე, „დინამოსაც“ ჰქონდა და კიდევ... მომკალით და, ის პენალტი, ვეტერინარებმა რომ ვერ გაიტანეს, არ იყო. აი, რომ გაეტანათ, ცხრილში ვითარება შეიცვლებოდა და საქართველოს ჩემპიონატსაც ზემოხსენებული ინტრიგა შეუნარჩუნდებოდა, მაგრამ არ იყო და... თან, ისე ნუ გამიგებთ, თითქოს კოსმიური სამართლიანობის არსებობას ამ პენალტის მაგალითით ვამტკიცებდე, სულაც არ ვფიქრობ, რომ ლუკა რაზმაძეს დიდი ოვონოს კარში გოლი ზემოდან არ გაატანინეს, მაგრამ ასეთ მატჩებში პენალტები გაცილებით ფრთხილად და სწორად რომ უნდა ინიშნებოდეს, ფაქტია.

კონტრარგუმენტი? ვიცი, როგორ არა: თუნდაც 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გერმანელთა მიერ არგენტინელების კარში დარტყმული დღემდე საკამათო თერთმეტმეტრიანი და სხვა მრავალი, მაგრამ ეს გამართლება არანაირად არ არის. მეტსაც გეტყვით, ცუდი მაგალითებით რატომ უნდა ვისაზრდოოთ? უკეთესი არ იქნება, თუნდაც მიმდინარე ჩემპიონთა ლიგის მატჩებს დავაკვირდეთ და უბადლო მსაჯობის მაგალითები ამოვკრიბოთ?! და ყველაზე ცუდი რა არის, იცით? თანამედროვე ქართველ მაყურებელს არ სჯერა, რომ ასეთ შეცდომებს მსაჯები შემთხვევით უშვებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ არბიტრებს სახელის აღსადგენად გაცილებით მეტი მონდომება და გონივრული, სწორი მუშაობა მართებთ.

და თუ არ მოინდომებენ გაცილებით მეტად?

თუ არ მოინდომებენ და, გამოვა, რომ ამ ხალხს თავიანთი რეპუტაცია არ ადარდებთ, რაც უკვე მეტად დასაეჭვებელი გახდება. აბა, რა ადარდებთ? — იკითხვას მავანი.

ჰოდა, მოდი და, გაეცი პასუხი.

ისე კი, დღევანდელი ქართველობა მართლა მეტისმეტად ეჭვიანია. ამასწინათ უცნაური რამ მოვისმინე: „ვიტ ჯორჯია“ მცხეთაში კარგ მოედანს საგანგებოდ არ აგებს, რათა მოწინააღმდეგეებს მისთვის ნაცნობ „ორმოებზე“ უმასპინძლოს და მოუგოსო. მომკალით და, ამას ვერ დავიჯერებ, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ სანამ საქართველოს ჩემპიონატის მთავარ თამაშს რიგმა ასეთ „ყანაში“ შეუძლია მოუწიოს, პროგრესზე ლაპარაკიც ზედმეტი იქნება. მერე, ზაფხულში, რომელიმე აღმოსავლეთევროპული გუნდი ჩემპიონთა ლიგაში ან უეფას თასზე ჩვენს ამა თუ იმ წარმომადგენელს დიდი ანგარიშით რომ მოუგებს, მოდი, ნულარ გავიკვირვებთ. ან როგორ დავიჯერო, რომ იმავ „ვიტ ჯორჯიას“ ნიჭიერი ბიჭები ორმოებში ბურთაობის გამო რეგრესს არ განიცდიან.

დაუჯერებელია, ხომ მართალია?!

და რა არის საჭირო ამ ეჭვებისა და სამწუხარო რეალობის გამოასწორებლად? მოედნის... თუმცა, ვინმემ „ვიტ ჯორჯიაზე“ გადაკიდება რომ არ დაგვწამოს, ასე ვთქვათ — მოედნების დაგება, მეტი არაფერი.

და ფული საიდან უნდა მოიტანონ?

კაცს ტაქსისტობა რომ უნდა, განა თავად არ უნდა იცოდეს, მანქანა საიდან უნდა მოიყვანოს?! ან, როგორ ფიქრობთ, მან, ვისაც სამწვადის გახსნა სურს, სხვას უნდა ჰკითხოს, საიდან მოიტანოს შამფური?

და კიდევ, იქნებ ქართული ფეხბურთის მმართველმა ორგანიზაციებმა დასაშვებზე ცუდი ხარისხის მოედნებს, უბრალოდ, ტაბუ დაადონ... და რას ეწოდება დასაშვები ხარისხი, ეს, ბუნებრივია, თავად ჩვენზე კარგად იციან.

„ზესტაფონი“ კი რატომღაც, ძველი ჟარგონი რომ ვიხმაროთ, იშკილებიდან ჩამოვარდა... ალბათ ამიერიდან თასზე გააკეთებს აქცენტს — უახლოეს დღეებში „დინამოს“ ჩემპიონატის ტურშიც ხვდება და თასის ნახევარფინალის საპასუხო შეხვედრაშიც. ასე რომ, ისიამოვნეთ თუნდაც ქართული ფეხბურთით და დალიეთ... რაც გნებავთ, ის.

კიდევ, აპრილის ამბებიდან ლამაზ გოლებს გამოვარჩევდი — ასეთები მართლა იყო, ბარაქალა ჩვენს ბიჭებს! გორის „დილა“ კი, ვაგლახ, გავარდა. დასანანია, მაგრამ რას იზამ, ცხოვრება ამით არ მთავრდება.

და თასი?

თასის ამბებს საპასუხო ნახევარფინალური თამაშების შემდეგ უფრო ლაზათიანად შევეხებით.

დინამო	23	20	1	2	58:13	61
ვიტ ჯორჯია	23	18	3	2	43:10	57
ზესტაფონი	23	17	4	2	53:14	55
ამერი	23	14	2	7	46:24	44
ოლიმპი	23	13	4	6	23:16	43
მესხეთი	23	9	5	9	24:28	32
ბორჯომი	23	9	4	10	28:29	31
მგლები	23	8	3	12	21:29	27
სიონი	23	7	5	11	24:32	26
ლოკომოტივი	23	6	5	12	16:26	23
სპარტაკი	23	4	7	12	10:25	19
მერანი	23	5	1	17	12:46	16
ბათუმი	23	4	3	16	13:44	15
დილა	23	1	5	17	10:47	8

XXIV ტური

2 მაისი, პარასკევი
მესხეთი – ბათუმი
ლოკომოტივი – სპარტაკი
მგლები – სიონი
დილა – მერანი
3 მაისი, შაბათი
ზესტაფონი – დინამო
ვიტ ჯორჯია – ამერი
ოლიმპი – ბორჯომი

XXV ტური

11 მაისი, კვირა
ბორჯომი – სიონი
ვიტ ჯორჯია – მგლები
სპარტაკი – დილა
დინამო – ლოკომოტივი
მერანი – ოლიმპი
ბათუმი – ზესტაფონი
ამერი – მესხეთი

XXVI ტური

20 მაისი, კვირა
ოლიმპი – სპარტაკი
ზესტაფონი – ამერი
მგლები – ბორჯომი
ლოკომოტივი – ბათუმი
დილა – დინამო
სიონი – მერანი
მესხეთი – ვიტ ჯორჯია

ჩემპიონთა ლიგა 2007-2008
ნახევარფინალი. საპასუხო მატჩი

პოლ სქოულზის სუპერდარტყმა

მანჩესტერი 1:0 ბარსელონა (0:0)

1:0 სქოულზი (14)
მანჩესტერი: ვან დერ სარი, ჰარგრივსი, ფერდინანდი, ბრაუნი, ევრა (სილვესტრი 90), ნანი (გიგზი 77), სქოულზი (ფლეტჩერი 77), კარიკი, პარკი, რონალდუ, ტევესი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
ბარსელონა: ვალდესი, ძამბროტა, პუიოლი, მილიტო, აბიდალი, სავი, ტურე (გუდიონსენი 88), დეკუ, მესი, ინიესტა (ანრი 61), ეტოო (კრკიჩი 72)
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
გაფრთხილება: ძამბროტა (52), დეკუ (54), კარიკი (63), რონალდუ (68), ტურე (70)
მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)
76 000 მაყურებელი

„ბარსელონა“ ზედიზედ ოთხ მატჩში გოლს რომ ვერ გაიტანს, ჭაკად ჰქონია საქმე. „მანჩესტერმა“ ჩემპიონთა ლიგაში მიჯრით მეთორმეტე საშინაო შეხვედრა მოიგო და ცხრა წლის შემდეგ კვლავ ფინალში გავიდა.

ძამბროტა პასისას შეცდა, ბურთი სქოულზს მიუვიდა, ვინც იმ ადგილიდან დაარტყა, საიდანაც არაერთხელ გაუტანია.

ეს იყო მისი მეორე, მაგრამ უმნიშვნელოვანესი გოლი ამ სეზონში.

მოკლედ, სქოულზმა პირადად იზრუნა ფინალში გასვლაზე. მან ხომ 1999 წლის, „ბაიერნთან“ უდრამატულესი მატჩი დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა.

პრასაარჩევნო სიის პირველი ნომერი
რა ხდება რაიკარდის თავში?

„პოლი პირველი იქნება იმ ფეხბურთელთა სიაში, რომლებსაც მოსკოვში წავიყვან — თქვა ალექს ფერგიუსონმა — იგი ამ გუნდის ერთ-ერთი უდიადესი მოთამაშეა. 33 წლისაა და მისგან სეზონში ადრინდელივით 10-15 გოლს აღარ ველი, მაგრამ ეს გოლი ფატასტიკური და უძვირფასესია. ძალიან გახარებულები ვართ. დიდებულ გუნდს ვეთამაშეთ, მაგრამ ჩვენი დაცვა არანაკლებ კარგი იყო. ჩემთვის სულერთია, მეტოქედ „ჩელსი“ გვეყოლება თუ „ლივერპული“. ალბათ, ბედია ისიც, რომ მიუნხენის ტრაგედიის 50 წლის თავზე ფინალში გავედით“.

ფრანკ რაიკარდმა განაცხადა, რომ ცუდი სეზონის მიუხედავად, გუნდიდან წასვლას არ აპირებს: „მსგავსი რამ აზრადაც არ გამივლია. სხვა საქმე იქნებოდა, ფეხბურთელებს რომ მოეთხოვათ ჩემი გაშვება. „ბარსელონა“ დიდი კლუბია და ამ კლუბს ჰყავს პატრონი, რომელიც მწვრთნელის ბედს გადაწყვეტს. დრო მოვა და ის სათანადო დასკვნას გამოიტანს, მაგრამ გადაჭარბებული იქნება იმის თქმა, რომ „ბარსამ“ სეზონი ჩააგდო. პრემიერლიგის კლუბები აშკარად გაძლიერდნენ და მათ წინააღმდეგ თამაში უფრო და უფრო რთულდება. წინა სეზონშიც ნახევარფინალში სამი ინგლისური გუნდი გავიდა, წლეულს კი სულაც ინგლისური ფინალი გაიმართება.

პრემიერლიგაში ფიზიკურ მომზადებას დიდ ყურადღებას უთმობენ. მეტად ჯანიანი ბიჭები თამაშობენ, რომლებსაც 90 წუთის განმავლობაში შეუძლიათ ბურთის დევნა. ასეთების დამარცხება კი იოლი არაა. მეოთხედფინალში ერთმანეთს რომ არ ხვდებოდნენ, ალბათ ნახევარფინალში ოთხი პრემიერლიგელი ითამაშებდა. თავს ისე იცავენ, თითქოს ამაზე იყოს დამოკიდებული მათი სიცოცხლე, თუმც ასეთ ფეხბურთს საყურებლად სასიამოვნოს ვერ ვუწოდებ.

დღეს გოლის გარდა ყველაფერი გამოგვივიდა. უპირატესობას ვფლობდით, მაგრამ ამისგან ვერ ვიხეირეთ. ძალიან გულდასაწყვეტი მარცხია, თუმც ცხვირის ჩამოშვების დრო არაა. პრიმერადივიზიონში დარჩენილი მატჩების მოსაგებად უნდა ვიზრუნოთ“.

კარლეს პუიოლი: „ეს წაგება გუნდს ვერ ავნებს და კვლავაც ერთად ვიბრძოლებთ. „ბარსას“ რთული პერიოდი არართხელ გამოუვლია და კრიტიკაც არასოდეს აკლდა. გულშემატკივრებს ერთგულება მომდევნო მატჩებში კარგი თამაშით უნდა დავუფასოთ“.

რიო ფერდინანდი: „ამ სიხარულის სიტყვებით გადმოცემა შეუძლებელია. საოცარი ქომაგობა იყო და პოლ სქოულზმა კი სულაც ფანტასტიკური გოლი გაიტანა“.

ვაჟა ხუციშვილი

ADIOS, RIJKAARD...
ADIOS, RONALDINHO...

ის, რაც „კამპ ნოუზე“ 2003 წლის ზაფხულში დაიწყო, 5 წელს გასტანა და „ბარსელონას“ ესპანეთის ორგზის ჩემპიონობა და ერთიც ჩემპიონთა თასი მოუტანა, „ოლდ ტრეფორდზე“ „მანჩესტერთან“ წაგებით დასრულდა. ანუ „ბარსაში“ ფრანკ რაიკარდისა და რონალდინიოს ერა უკვე დამთავრებულად უნდა ჩავთვალოთ — ცხადზე ცხადია, ამ გუნდს დიდევროპულ მარაქაში ადგილის შესანარჩუნებლად მკვეთრი ცვლილებები ესაჭიროება.

ბოლო რამდენიმე მატჩის განმავლობაში კატალონიური გრანდი მოედანს მშრალად ტოვებს. „ბარსამ“ გოლი ვერც „ესპანიოლთან“ გაიტანა, ვერც „მანჩესტერთან“ ორ სალიგო შეხვედრაში და ვერც „დეპორტივოსთან“ „რიასორზე“. ალბათ ყველასთვის ჭეშმარიტებაა, რომ პრეზიდენტ ლაპორტას მიერ 5 წლის წინ წამოწყებული მომგებიანი ციკლის ფინალი უკვე შედგა და ახლა გუნდის გადასარჩენად სამწვრთნელო შტაბისა და შემადგენლობის გაცხრილვაა საჭირო. კატალონიური „სპორტის“ ვარაუდით, კლუბის უფროსობა „კამპ ნოუს“, უპირველეს ყოვლისა, ფრანკ რაიკარდს და რონალდინიოს დაატოვებინებს. ამ ორი კაცის სახელს „ბარსას“ ოდინდელი ბრწყინვალე გამარჯვებები უკავშირდება, თუმცა ჰოლანდიელი და ბრაზილიელი ბოლოდროინდელ კრიზისზეც სხვებზე მეტად არიან პასუხისმგებელნი.

მწვრთნელი და მისი კიჭა მოწაფე გუნდს ალბათ უჩუმრად, უკანა კარიდან დატოვებენ. არავითარი პომპეზური გაცილება, ცრემლების ღვრა და „არ წახვიდე“-ს ყვირილი არ იქნება — რაიკარდისა და რონალდინიოს წყვილს ხომ აგერ უკვე მეორე სეზონია, „ბარსელონასთვის“ ჯილდო არ მოუპოვებია. „კიჭა“ კარიერას ალბათ „მილანში“ განაგრძობს (მისი სატრანსფერო ღირებულება 40 მილიონი ევროა), რაიკარდთან დაკავშირებით კი ჯერჯერობით არავინ იცის, რა მოხდება. ფრანკს სატრანსფერო შემოთავაზებანი ბლომად აქვს, მასთან თანამშრომლობას „ჩელსი“, „მილანი“ და მიუნხენის „ბაიერნი“ აპირებენ და თუ მოინდომა, ნიჭიერი სპეციალისტი სამუშაოს მშობლიურ ჰოლანდიაშიც ადვილად გამოძებნის. ასეა თუ ისე, ერთი რამ შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ — რაიკარდი „ბარსელონას“ მწვრთნელად აღარ დარჩება და სამომავალსეზონოდაც უმუშევარი არ ივლის, ამ კაცის ხელში ჩაგდებას ევროპული გრანდები პატივად ჩათვლიან.

წავა ფრანკი და გუნდსაც ალბათ პეპ გვარდიოლას ჩაბარებენ. ძველი „ბარსელონას“ სახელგანთქმული კაპიტანი დღეს „ბარსა B“-ს დამრიგებელია, თუმცა იგი პრეზიდენტ ლაპორტას ფავორიტია და მწვრთნელობის პრეტენდენტთა სიასაც თაოსნობს. არის სათადარიგო ვარიანტიც — თუ ლაპორტა ბოლო მომენტში პეპზე უარს იტყვის, „ბარსელონას“ მაესტროდ „ხეტაფეს“ დღევანდელ მწვრთნელ მიქაელ ლაუდრუპს ვიხილავთ.

„სპორტი“ გვამცნობს, რომ ოპერაცია „ლიმპიესაში“ („წმენდა“) რაიკარდისა და რონალდინიოს გარდა კიდევ ბლომად ფეხბურთელები მოჰყვებიან. ედმილსონს, ტურამსა და ესკეროს „ბარსასთან“ საკონტრაქტო ვადა 2008 წლის 30 ივნისს უმთავრდებათ და „კამპ ნოუზე“ მათთან ხელშეკრულების გახანგრძლივებაზე არავინ ფიქრობს. ხსენებული ფეხბურთელები გუნდს ზაფხულში დატოვებენ, ბრაზილიელი სილვინიო კი ალბათ კიდევ ერთი წლით დარჩება, თუმცა, როგორც ირკვევა, თავად მცველს სურდა, კონტრაქტი ორი სეზონით გაეხანგრძლივებინა.

რონალდინიოს და „მილანის“ სატრანსფერო კეკლუცობა უკვე ძველი ამბავია, თუმცა „როსონერი“ კატალონიური ბანაკიდან მარტო გაუჩოს წამოყვანას არ აპირებს, იტალიელებს უნდათ, თანამემამულე ძამბროტაც გადაიბირონ. ძამბროტას სხვა აპენინური კლუბებიც ეპატიჟებიან, „კამპ ნოუზე“ გასაყიდად გამზადებულთა შორის კი დეკუც აღმოჩნდა, ფეხბურთელი, რომელიც „მანჩესტერთან“ ომში სხვებზე ძლიერად გამოიყურებოდა.

„წაგებულ გუნდში არ გავჩერდები“ — უთქვამს ადრე პორტუგალიელს და რახან დღეს „ბარსას“ უიღბლობა და წაგება გაუშინაურდა, გაისად დეკუს ან ინგლისურ, ან იტალიურ პირველხარისხოვან კლუბში ვიხილავთ. „ბარსელონა“ კი მისი გასხვისებით ხელთ სარფიან თანხას მოიგდებს — ევროპულ საფეხბურთო ბაზარზე დეკუზე ხომ ჭკუას კარგავენ.

2007-08-ის კამპანიის დასრულების შემდეგ კატალონიურ ჯარში ხმალს აღარც ისლანდიელი ვიკინგი გუდიონსენი მოიქნევს. „ბარსელონაში“ ეიდურის დღეები დათვლილია და ის სავარაუდოდ ისევ ინგლისურ პრემიერლიგას დაუბრუნდება.

ვინძლო, კვლავ „ინგლისელი“ გახდეს ტიერი ანრიც, რომლის ერთსეზონიანმა ბარსელონურმა პერიოდმა ფრიად უფერულად ჩაიარა. ფრანგი ვარსკვლავის თაობაზე ლაპორტას ბანაკს ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია, ისევე როგორც მექსიკელი რაფაელ მარკესის შესახებ. ხსენებული მეომრები დღეს გაურკვეველ სიტუაციაში არიან.

საერთოდ, „ბარსელონას“ სატრანსფერო საქმეების მოსაკვარახჭინებლად 120 მილიონი ევრო აქვს გადანახული და ამ თანხით რიგიანი ფეხბურთელების ყიდვასაც მოახერხებს. კლუბს ცენტრალური მცველის, განაპირა უკანახაზელის, ცენტრალური ნახევარმცველის, გარემარბისა და ცენტრფორვარდის პოზიციებზე უმაღლესი დონის ვარსკვლავები სჭირდება, სხვა ადგილებზე კი საშუალო, ბეჯითად მომუშავე ხალხსაც დასჯერდებიან. სავარაუდო სამომავლო მობურთალთაგან „ბარსას“ სამიზნეზე კვლავაც არიან ალვეში, სესკი, ბენზემა და რიბერი.

ლადო ხოფერიძე

უეფას თასი 2007-2008. ნახევარფინალი. საპასუხო მატჩები. დღეს

ზენიტი — ბაიერნი (1:1)

სავარაუდო შემადგენლობები

ზენიტი: მალაფეევი; ანიუკოვი, შიროკოვი, კრიჟანაცი, გორშკოვი; დენისოვი, ტიმოშჩუკი, ზირიანოვი, ფაიზულინი; დომინგესი, პოგრებნიაკი
მწვრთნელი: დიკ ადვოკაატი
ბაიერნი: კანი; ლამი, ლუსიო, დემიკელისი, იანსენი; რიბერი, ვან ბომელი, ზე რობერტო, შვაინშტაიგერი; კლოზე, ტონი
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
მსაჯი: ტომ-ჰენინგ ოვრებო (ნორვეგია)

ფიორენტინა — რეინჯერსი (0:0)

სავარაუდო შემადგენლობები

ფიორენტინა: ფრეი; იორგენსენი, უიფალუში, გამბერინი, გობი; დონადელი, ლივერანი, მონტოლივო; სანტანა; მუტუ, პაცინი
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
რეინჯერსი: ალექსანდერი; ბროდფუტი, დეილი, პაპაჩი, კუელიარი; ჰემდანი, ფერგიუსონი, ტომსონი, დევისი, უიტეკერი; დარშევილი
მწვრთნელი: უოლტერ სმიტი
მსაჯი: ფრანკ დე ბლეეკერე (ბელგია)

ტონი და რიბერი: ჰიცფელდს ამ ბიჭების ეიმედება

ვილი სანიოლმა ტელევიზორი მოიგო

ვილი სანიოლმა „შტუტგარტთან“ მატჩის შემდეგ მწვრთნელი საჯაროდ გააკრიტიკა — ჩემს პოზიციაზე რატომ არ მათამაშებსო. საპასუხოდ ოტმარ ჰიცფელდმა ფრანგი სანკტ-პეტერბურგში არ წაიყვანა და დღეში ორჯერადი ვარჯიში მიუსაჯა.

ცოტა ხნის წინ მწვრთნელმა მარტინ დემიკელისსაც მოუგრიხა კისერი, როცა არგენტინელმა ნახევარდაცვაში თამაში იუარა.

ასე რომ, სანიოლი „ზენიტი“ — „ბაიერნის“ მატჩს ტელევიზორში ნახავს, მის ადგილს კი სავარაუდოდ მარსელ იანსენი დაიკავებს.

რა თქმა უნდა, ძირითად შემადგენლობაში იქნება სასჯელმოხდილი ლუკა ტონი და მას მიროსლავ კლოზე შეუამხანაგდება.

„ბაიერნმა“ „შტუტგარტი“ 4:1 დაამარცხა, გოლები კი რიბერიმ (2) ტონიმ და მარკ ვან ბომელმა შეაგდეს. გუნდმა უკვე მოიგო გერმანიის თასი, ჩემპიონობამდეც ერთი ქულა აშორებს და ცხადია, „ტრიპლის“ შესრულება, ანუ მესამე ჯილდოს დასაკუთრებაც სურს. ბავარიულ გრანდს ფინალში გასასვლელად დღეს გოლუხვი ფრე ან გამარჯვება სჭირდება, მაგრამ სანკტ-პეტერბურგში ბურთის გაგორება გაუჭირდება. მოედანი ისეა წახდენილი, რომ რუსული ლიგის შეფები „ზენიტისთვის“ იქ თამაშის აკრძალვას აპირებდნენ, მაგრამ კლუბმა მოედნის მოსაწესრიგებლად დრო ითხოვა.

მასპინძლებს დისკვალიფიცირებული ანდრეი არშავინი, რადეკ შირლი და ფერნანდო რიკსენი დააკლდებიან, ალექსანდრ ანიუკოვმა კი, ვისაც წინა მატჩი გაუცდა, ტრავმის მოშუშება თუ მოასწრო, ითამაშებს.

„ჩვენ თავდაჯერებულები ვართ — განაცხადა მარტინ დემიკელისმა — მას შემდეგ, რაც „ხეტაფესთან“ გადაგვხდა, შეუძლებელი აღარაფერია. თან ლუკა ტონი დაგვბრუნდა და ეს ძალიან მაიმედებს“.

მარკ ვან ბომელი: „მთავარია, რომ ყველანი ჯანზე ვართ, ტრავმის გამო ალთინთოფის გარდა არავინ გვაკლია და „ბაიერნიც“ დიდებულ ფორმაშია. ჯერ კიდევ სეზონის დაწყებამდე დარწმუნებული ვიყავი, რომ რამდენიმე ჯილდოს მოვიგებდით და ძალიან მინდა, გერმანიის თასს და ჩემპიონობას უეფას თასიც მივამატოთ. 2001 წლის შემდეგ გუნდი პირველადაა ევროთასის ნახევარფინალში და ეს შანსი უნდა გამოვიყენოთ“.

„ბაიერნს“ რუსეთში ექვსჯერ უთამაშია და ექვსჯერვე — მოსკოვში. გერმანული ფეხბურთის ფლაგმანმა სამი მატჩი მოიგო და ამდენივე ფრედ დაასრულა.

„ზენიტმა“ გერმანულ კლუბებს ოთხჯერ უმასპინძლა, ერთხელ დაუზავდა, სამჯერ კი წააგო.

კვირას „ოლდ ფირშში“ დამარცხებული „რეინჯერსი“ ფლორენციას ბარი ფერგიუსონით და კევინ ტომსონით ესტუმრება, რომლებმაც პირველი მატჩი დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვეს. ტრავმირებულნი არიან მეკარე ალან მაკგრეგორი, ლი მაკკალოხი, კრისტოფერ ბერკი, სტივ ნეისმითი და მათ „სელტიკთან“ დაშავებული დეივიდ ვეირიც შეუერთდა.

„რეინჯერსმა“ „სელტიკთან“ 2:3 წააგო, გოლები კი ვეირმა და დანიელ კუზენმა გაიტანეს.

„ფიორენტინამ“ ჩემპიონატში „სამპდორიას“ უმასპინძლა და ვიერის და მუტუს გოლებით 2:2 დაუზავდა. „იების“ ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელებიდან ტრავმირებული არავინაა.

„რეინჯერსმა“ იტალიაში გამართული ათი მატჩიდან ერთი მოიგო, ერთი ფრედ დაასრულა და დანარჩენი წააგო.

„ფიორენტინამ“ კი ორჯერ უმასპინძლა შოტლანდიურ კლუბებს და ორჯერვე სძლია.

„ძალიან ძნელია „რეინჯერსის“ დარ მეტოქესთან სწრაფი ფეხბურთის თამაში, რადგან ისინი დაცვაში არიან გამოკეტილნი, თუმც მათი დამარცხება შეუძლებელი არაა“ — განაცხადა ნახევარმცველმა მარკო დონადელმა.

ვაჟა ხუციშვილი



მილანის „ინტერს“ ჩემპიონობამდე სულ ცოტა აკლია. „ნერაძურიმ“ მიჯრით მესამე სკუდეტო ეგებ მომავალ ტურში „მილანთან“ „დერბი დელა მადონინაში“ გაიფორმოს. ამასთან დაკავშირებით ჟურნალისტებმა კლუბის პრეზიდენტ მასიმო მორატის საინტერესო ინტერვიუ ჩამოართვეს

მორატი მხოლოდ სკუდეტოზე ფიქრობს

— „მილანთან“ მატჩში ნომინალური სტუმრები ხართ. გირჩევნიათ, სკუდეტო დერბიში გაინაღდოთ, თუ ერთი კვირის მერე, როცა „სან სირო“, ფაქტობრივად, მთლიანად თქვენი ქომაგებით იქნება გადაჭედილი?

— ორივე ვარიანტზე თანახმა ვარ. მთავარია, სკუდეტო მოვიგოთ და კონკრეტულად როდის მოხდება ეს, გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. ბიჭები დერბიში 3 ქულის მოსაპოვებლად ყველაფერს გააკეთებენ და დარჩენილ მატჩებშიც ბოლომდე დაიხარჯებიან.

— დიახ, მაგრამ თუ სკუდეტოს დერბიში დაიბევებთ, ეს განსაკუთრებულად დასამახსოვრებელი იქნება...

— გეთანხმებით, მაგრამ როცა უნდა მოვიგოთ სკუდეტო, არანაკლებ დასამახსოვრებელი იქნება.

— „კალიარისთან“ მატჩის მერე რობერტო მანჩინიმ თქვა, დაღლილი ვარო. რისგან?

— ფიზიკური დაღლა იგულისხმება. თამაშისას ყველა ვიღლებით, მით უმეტეს, მწვრთნელი, რომელიც მატჩის დაწყებიდან ბოლომდე ყვირის და ემოციებსგან იცლება. ჩემპიონატის მოგებას გვარიანი ნერვები და ნებისყოფა სჭირდება. ეს ყველაფერი ძალიან დამღლელია. მოგვიანებით, დასვენებული მანჩინი ვნახე და იგი მშვენიერ ხასიათზე იყო.

— სკუდეტოს მოგება ჩემპიონთა ლიგაში თქვენს წარუმატებლობას გააქარწყლებს?

— მიმდინარე სერია A ძალიან დაძაბული გამოდგა და მისი მოგება დიდი მიღწევაა. ჩემპიონთა ლიგაში წარმატებით თამაშს მომავალ სეზონში ვეცდებით. ცხადია, „ლივერპულთან“ მარცხმა ძალიან დაგვამწუხრა, მაგრამ ეს უნდა დავივიწყოთ. წინ მორიგი სკუდეტოა.

— მიმდინარე სეზონში იყო პერიოდი, როცა თითქოს გუნდი აირია და პირველი ადგილის დაკარგვის სერიოზული საფრთხის წინაშე დადექით. თუმცა ვითარება გამოსწორდა და ახლა ჩემპიონობა ალბათ კიდევ უფრო სასიამოვნო იქნება.

— ნუ დავივიწყებთ, რომ წინა სეზონშიც ბრწყინვალედ ჩავატარეთ ჩემპიონატი. მიმდინარე სერია A უფრო დაძაბული გახლდათ და რამდენიმე რთული მომენტი მართლაც გვქონდა. ეს დიდწილად ტრავმების ეპიდემიის ბრალია. თავს კი არ ვიმართლებ, უბრალოდ, ფაქტია, ტრავმებმა, განსაკუთრებით დაცვაში, სერიოზული პრობლემები შეგვიქმნა. ამან ჩვენს თამაშზე იმოქმედა როგორც იტალიის ჩემპიონატსა და თასზე, ასევე ჩემპიონთა ლიგაში.

— დერბი ყოველთვის განსაკუთრებულია, მით უმეტეს, ახლა, როცა სკუდეტოს განაღდების შანსი გაქვთ. თქვენ თქვით, რომ დერბი ჩემპიონთა ლიგის ფინალივით არის...

— გარკვეულწილად, ასეა. ეს დერბი განსაკუთრებულია, რადგან ჩვენც და „მილანსაც“ ქულები ძალიან გვჭირდება. ჩემი აზრით, პრაქტიკულად უნდა მოვიქცეთ და ვითამაშოთ ყოველგვარი ზედმეტი წნეხის გარეშე. ამ მატჩის მოგების გარდა, არავისა და არაფერზე არ უნდა ვიფიქროთ.

— გაგახსენდებათ ასეთი მნიშვნელოვანი დერბი?

— ყველა დერბი თავისებურად მნიშვნელოვანია, თუმცა მართლაც ძნელია, ასეთი მნიშვნელობისა გავიხსენო...

— როგორც ჩანს, ხულიო რიკარდო კრუსი და მარკო მატერაცი მიმდინარე ჩემპიონატშიც გადამწყვეტ როლს შეასრულებენ სკუდეტოს მოპოვებაში.

— დიახ, საინტერესო და სასიამოვნო დამთხვევაა. ძალიან მახარებს მატერაცი. „კალიარისთან“ მისი გოლი უაღრესად მნიშვნელოვანი იყო. კიდევ ერთხელ გამოჩნდა, თუ როგორ ხშირად შეუძლია მარკოს თავდასხმაში დახმარება. კრუსი კი ყოველთვის დამაკმაყოფილებელი და სასარგებლოა. ჩემთვის იგი მოთამაშეა, რომელიც ყოველი მატჩის მერე უმატებს.

— მატერაცის და მანჩინის კარგი ურთიერთობა არ აქვთ. გოლის მერე მარკო მისალოცად მანჩინის თანაშემწე სინიშა მიხაილოვიჩისკენ გაიქცა და მას გადაეხვია. მიხაილოვიჩს კი მწვრთნელთან ჩინებული ურთიერთობა აქვს. სახალისოა, არა?

— მანჩინი მატერაცის, უბრალოდ, პატივს კი არ სცემს, მიხაილოვიჩის დარად, უყვარს კიდეც იგი. მათ კონფლიქტი არ აქვთ. უბრალოდ, მწვრთნელს ხშირად უწევს ბევრისთვის მიუღებელი გადაწყვეტილებების მიღება. ძირითად შემადგენლობაში ყველა ხომ ვერ მოხვდება. ისე კი, რობერტომ ბრწყინვალედ იცის, რას წარმოადგენს მარკო. „კალიარისთან“ მატერაცისთვის ყველაფერი კარგად აეწყო, იგი 75-ე წუთზე შევიდა მინდორზე და დაცვაში მშვენივრად თამაშის გარდა, მორიგი საჭირო გოლიც შეაგდო.

— არის ისეთი ფეხბურთელი, რომლის ყიდვაც ძალიან გინდათ, რითაც ფანებს კლუბის ასი წლისთავთან დაკავშირებით საჩუქარს მიუძღვნიდით?

— ახლა ამაზე ნაკლებად ვართ კონცენტრირებულნი. ამის მერე ვნახოთ... თუ იქნება ისეთი ფეხბურთელის ყიდვის საშუალება, რომელიც მეც მომეწონება და მწვრთნელსაც და რომელიც კლუბს სერიოზულად გააძლიერებს, რატომაც არა.

— „რომას“ ამანტინო მანსინი მოგწონთ?

— იგი გარემარბია, მანსინი კარგად თამაშობს და ჩვენ ყოველთვის ვაქებდით მას, თუმცა ევროპაში კიდევ ბევრი კარგი გარემარბია. ჯერ კარგად უნდა დავფიქრდეთ, გვჭირდება თუ არა ამ ამპლუის მოთამაშე. როგორც გითხარით, დღეს ტრანსფერებზე, ფაქტობრივად, არ ვფიქრობთ.

მუქი ტრანს-ფერები

მუდამ ასეა და გასული სატრანსაფერო ზაფხული რად იქნებოდა გამონაკლისი? მიდგნენ ინგლისური პრემიერლიგის გუნდები და ასობით მილიონი მიახარჯეს ახალი ფეხბურთელების ყიდვას. შედმეგ, ჩემპიონატი გახურდა და დღეს, როდესაც სადაცაა გამარჯვებულის ვინაობა გაირკვევა, უკვე შეიძლება ითქვას, ნაყიდთაგან ვინ გამოდგა და ვინ ვერა. აი, მაგალითად, „მანჩესტერ იუნაიტედმა" კარლოს ტევესის, ოუენ ჰარგრივზის, ანდერსონისა და ნანის ყიდვაში 65 მილიონი გირვანქა სტერლიგი დახარჯა და როგორც გაირკვა, სწორადაც მოიქცა. საერთოდაც, პრემიერლიგის მასშტაბით თუ ვიმსჯელებთ, რასაკვირველია, ნასყიდობის მეტი წილი გამოდგა, თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომელთაც ახალი გარემო ვერ შეიშვნეს და სწორედ მათ ათეულს გვთავაზობს გაზეთ „სანის" ათეულების რუბრიკა. ერთი სიტყვით, ქვემოთ, ამ გაზეთის ვერსიით, ათ ყველაზე უხეირო ტრანსფერს გთავაზობთ

10 ფრედი ლიუნგბერგი

შვედმა ვარსკვლავმა „არსენალში" გატარებული 9 სეზონის განმავლობაში დიდი ფეხბურთი ითამაშა და, როგორც ჩანს, მთელი ნიჭი და პოტენციალი იქ დახარჯა. შესაბამისად, გაუგებარია, რატომ მოუვიდა „ვესტ ჰემს" თავში აზრად, ამ ვეტერანზე 3 მილიონი გირვანქა დაეხარჯა? ნუთუ ამ კლუბში არ იცოდნენ, რომ ლიუნგბერგს უამრავი ტრავმა აწუხებს, ხოლო ასაკი კი არ აკლდება, არამედ ემატება.

9 რობერტ ერნშოუ

წლეულს ინგლისურ ფეხბურთში საქმე ისე წავიდა, რომ ოთხივე დივიზიონში, ორივე თასსა და ევროშეჯიბრებებში ერთადერთი კაცი, ვინც ჰეთ თრიქი შეასრულა, „დერბის" 3,5-მილიონიანი უელსელი შენაძენი რობერტ ერნშოუ გახლდათ, მაგრამ რად გინდა, მეტი გოლის გატანა ველარაფრით შეძლო.

8 დავიდ როზეჰნალი

სხვათაშორის, ათეულის შემდგენელთა აზრით „ნიუკასლ იუნაიტედს" თქვენს სამსჯავროზე გამოტანილი სიითვის კიდევ ჰყავდა რამდენიმე კანდიდატი, მაგრამ როზეჰნალს ვერავინ შეედარა. ის იმდენად ცუდად მოერგო „კაჭკაჭთა" დაცვას, რომ იანვარში „ლაციოში" გააქირავეს.

7 იუნეს ქაბული

ეს ახალგაზრდა „სფურზმა" „ოსერისგან" ამომავალი ვარსკვლავის სტატუსით იყიდა და პირდაპირ შემადგენლობაშიც ჩართო, მაგრამ გავიდა ცოტა ხანი და ქაბული სათადარიგოთა სკამზე დამკვიდრდა. დღეს ფრანგი ყმაწვილი ისეთ ცუდ ფორმაშია, რომ საეჭვოა, 8 მილიონადვე გაიყიდოს.

6 დევიდ ნაგენტი

ერთი წლის წინ ნაგენტმა ინგლისის ნაკრებში დებიუტი გოლით აღნიშნა და აბა, მაშინ ატყდა თუ ატყდა ერთი ამბავი, მაგრამ მერე ყველაფერი ყირაზე დადგა: დღეს ეს ფორვარდი „პორტსმუთში" ვერა და ვერ პოულობს ადგილს შემადგენლობაში. ჟურნალისტები კითხულობენ, ასე რატომ შეცდა ისეთი გამოცდილი მწვრთნელი, როგორიც ჰარი რედნაპია, და რატომ გადაყარა 6 მილიონი გირვანქა?

5 დიომანსი ჯამარა

შარშან ზაფხულზე „ფულემი" გაგიჟდა და ლორი სანჩესმა ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრების ნახევარი იყიდა, თუმცა კამარაში 6 მილიონის გადაყრა გაგიჟებათა შორის ყველაზე მსხვილტანიანი რამ გახლდათ.

4 აჰმედ ჰოსამ მიდო

ისეთი ვარსკვლავების დაკარგვის შემდეგ, როგორებიც იაკუბუ აიეგბენი და მარკ ვიდუკა იყვნენ, „მიდლსბროს" მწვრთნელის გარეთ საუთგეიტის მხრიდან მიდოს საყიდლად „შასვლა" სრულიად გაუგებარი და დამაბნეველი რამ გახლდათ. კაცმა, რომელშიც 6 მილიონი გადაიხადეს, პირველ ორ თამაშში მართლაც გაიტანა გოლი და თითქოს იმედების გამართლებასაც აპირებდა, მაგრამ მას მერე 15 შეხვედრის განმავლობაში ეგვიპტელის ყველა დარტყმა მეტოქეთა კარისკენ ამაო გამოდგა.

3 დარენ ბენტი

მართალია, მასში 17 მილიონი გადაიხადეს, მაგრამ ბენტმა სათადარიგოდაც კი ვერ ივარგა. მან დიმიტარ ბერბატოვის და რობი კინის წყვილში „ჩაჩხერვა" ვერაფრით მოახერხა, თუმცა მთლად წყალწაღებული იმიტომ არ არის, რომ 8 გოლი აქა-იქ მაინც შეაგდო.

2 როლანდო ბიანჯი

„რეჯინადან" „მანჩესტერ სიტიში" ამ კაცის 9 მილიონად გადაბირება, ალბათ, სვენ-გორან ერიკსონის თავისტკივილია და მეტი არაფერი. იტალიელმა თავდამსხმელმა ხელთათმანებიც ჩაიცვა, შარფიც შემოიხვია, მაგრამ მაინც ვერ ივარგა.

1 ფლორან მალუდა

„ჩელსის" ბევრი ჰყავს ისეთი ფეხბურთელი, რომელიც ისეთი არ აღმოჩნდა, როგორსაც ელოდნენ და მათ შორისაა ფლორან მალუდაც. არადა, ამ ფრანგში 15 მილიონი გადაიხადეს...

პაპუნა ძედია











ფლანგის მბრძანებელი

ტურინის „იუვენტუსის" მარჯვენა შემტევი ნახევარმცველი მაურო ხერმან კამორანეზი მიმდინარე სეზონში, განსაკუთრებით კი მის ბოლო პერიოდში ისე დიდებულად ირჯება, რომ ცნობილმა იტალიელმა ჟურნალისტმა ანტონიო ლაბატემ მას საინტერესო ჩანახატი მიუძღვნა

სად იქნებოდა „იუვენტუსი" 2007-08 წლების სეზონში მაურო კამორანეზის გარეშე? მართლაც საინტერესოა, როცა ასე ბრწყინვალედ მოთამაშე არგენტინელ-იტალიელს ვუყურებთ. თუმცა კითხვა შეგვიძლია მეორენაირად დავსვათ — რას მიაღწევდა „იუვენტუსი", კამორანეზი მთელი სეზონის განმავლობაში რომ ჰყოლოდა?

ექსვერონელისთვის მიმდინარე სეზონი ორ ნაწილად იყოფა. მის პირველ ნახევარში „კამო" ტრავმამ გატანჯა, ბოლო რამდენიმე თვე კი მაურო ჩინებულ ფორმაშია და „იუვენტუსისთვის" სასარგებლოდ იხარჯება. გასულ უქმეებზე „ლაციოსთან" ჩემპიონატში მხოლოდ მე-20 მატჩი ჩაატარა, არადა ეს 35-ე ტური გახლდათ.

ტურინელებს კამორანეზი იმ 15 შეხვედრაშიც რომ ჰყოლოდათ, ვინ იცის, კიდევ რამდენ ქულას მოაგროვებდნენ.

ცხადია, ეს შეიძლება ძალიან ხმამაღალ და საკამათო განცხადებად ჩანდეს, მაგრამ კამორანეზის თამაშსა და გუნდისთვის მოტანილ სარგებელს თუ დავაკვირდებით... მან „მხოლოდ" ხუთი გოლი გაიტანა, აქედან ორი — „ინტერთან" მატჩებში. საშაგიეროდ, სხვებს ძალიან ბევრი გაატანინა და მეტოქის კართან ნამდვილი ხიფათის შემქმნელად ჩამოყალიბდა.

სწორედ 31 წლის კამორანეზიმ გააკეთა სამივე საგოლე პასი „მილანთან" მოგებულ მატჩში (3:2). ამას „პარმასთან" (3:0) კიდევ ორი საგოლე პასი დაუმატა.

მან თავი გასულ უქმეებზე „ლაციოსთანაც" 5:2 მოგებულ შეხვედრაშიც გამოიჩინა: ერთი ბრწყინვალე საგოლე პასი გააკეთა და თავადაც ლამაზი გოლი შეაგდო.

„ბებერი ქალბატონის" მწვრთნელი კლაუდიო რანიერი კარგად ხვდება, თუ რამდენად მნიშვნელოვანია კამორანეზი გუნდისთვის და მისდამი სიმპათიებს არც მალავს: „მაურო ყველაფერში საკვანძო ფიგურაა. ის ფეხბურთელია, რომელიც ტაქტიკის თავისუფალად გადაწყობის საშუალებას მაძლევს. კამორანეზი საოცარი ნიჭით დაჯილდოებული, უნივერსალური ნახევარმცველია: ფლანგზე მოთამაშე პლეიმეიკერია, რომელიც გუნდის ინტერესებს საკუთარზე წინ აყენებს".

ეს ?ამსახურებული შეფასება და ქებაა ფეხბურთელისა, რომელსაც ხშირად იმისთვის აკრიტიკებენ, რომ იტალიის ჰიმნის შესრულებისას არ მღერის. მაურო რთულად შეეგუა იმ ფაქტს, რომ სერია B-ში დაქვეითების მერე, „იუვენტუსმა" არ გაუშვა, მერე კი ხელფასზე და ახალ კონტრაქტზე გაეწელა მოლაპარაკებები. თუმცა ყველა პრობლემა მოგვარდა და მაურომ ნამდვილად დაამტკიცა, რომ შავ-თეთრების ბანაკში სხვა ვარსკვლავებზე არანაკლებ მნიშვნელოვანი მოთამაშეა.

ანტონიო ლაბატე

იუვენტუსი ზეიმია

კლაუდიო რანიერი

„იუვენტუსის“ ბანაკში ზეიმია, კლუბმა კალჩიპოლის სკანდალი და სერია B უკან მოიტოვა და სამეულში ადგილი დაიბევა. საუკეთესო შემთხვევაში, ტურინელები სეზონს მეორე ადგილზე, უარეს შემთხვევაში კი, მესამეზე ჩაამთავრებენ.

„სამეულში ადგილს უფრო მალე ვერ გავინაღდებით. სერია B-დან ჩემპიონთა ლიგამდე რთული გზაა, მაგრამ ძალიან გვსიამოვნებს, რომ ეს მოგზაურობა წარმატებით გავიარეთ. თუმცა სეზონის ბოლომდე კიდევ სამი მატჩია და სანამ მეორე ადგილზე გასვლის მცირე შანსი მაინც გვაქვს, ამისთვის ვიბრძოლებთ. „იუვეს“ სხვანაირად არ შეუძლია. მინდა, მადლობა გადავუხადო ფეხბურთელებსა და სამწვრთნელო შტაბს. ეჭვი არასდროს მეპარებოდა, რადგან თავდაუზოგავი შრომა დაუფასებელი არასდროს რჩება. აგრეთვე დიდი მადლობა ფანებს, რომლებიც საოცარ სიყვარულს იჩენენ და მუდამ გვერდით გვიდგანან“ — თქვა „ბებერი ქალბატონის“ გენერალურმა დირექტორმა ჟან-კლოდ ბლანმა.

„ბიანკონერის“ წარმატების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გუნდის ვეტერანის ალესანდრო დელ პიეროს წარმატებული თამაშია. „პინტურიკიო“ ბრწყინვალე სეზონს ატარებს და თანაგუნდელ დავიდ ტრეზეგესთან ერთად, სერია A-ს საუკეთესო ბომბარდირობისთვისაც იბრძვის.

„იყო თუ არა, ალექსთან კონტრაქტის გახანგრძლივება კარგი შეთანხმება? დიახ, ორივე მხარისთვის. მერე რა, რომ მოლაპარაკებები გაიწელა. დელ პიერო გუნდის სიმბოლოა და მან ის გააკეთა, რასაც ველოდით, ჩვენ კი ჩვენი საქმე შევასრულეთ. წაიყვანენ თუ არა ალექსს ევრო 2008-ზე? ნამდვილად არ მინდა, რობერტო დონადონის ადგილას ვიყო. რთული იქნება ასეთი ჩემპიონის ნაკრებს მიღმა დატოვება. ევროპის ჩემპიონატზე თამაშის უფლება მანაც დაიმსახურა და დავიდ ტრეზეგემაც“ — დასძინა ბლანმა.

„იუვეს“ მწვრთნელი კლაუდიო რანიერი: „ამ გუნდმა იცის, როგორ მოიქცეს წარუმატებლობის შემდეგ. დროთა განმავლობაში, უფრო შეკრულ და მებრძოლ კოლექტივად ვყალიბდებით. სეზონის ყველაზე რთული მომენტი? ალბათ, „ფიორენტინასთან“ წაგებული საშინაო შეხვედრა. საუკეთესო მომენტი იყო, როცა „სან სიროზე“ „ინტერს“ მოვუგეთ. რა უნდა შეიცვალოს მომავალი სეზონისთვის? ფაქტობრივად, არაფერი, მცირე დეტალებს თუ არ ჩავთვლით. რამდენიმე ახალი მოთამაშე გვჭირდება. წარმატებით თამაშში ისიც დაგვეხმარა, რომ ევროსარბიელზე არ ვიყავით. მომავალ სეზონში კი ჩემპიონთა ლიგაშიც მოგვიწევს თამაში, რაც ძალიან კარგია. სწორ გზას ვადგავართ. კლუბში მთავარი როლი ფეხბურთელებს ენიჭება და როგორც მწვრთნელს, მევალება, დავრწმუნდე, რომ მათ შენი ესმით და გეთანამშრომლებიან. მე ის საქმე გავაკეთე, რომელსაც ყოველთვის ვაკეთებდი. მოთამაშეთაგან ყველაზე მეტად დელ პიერომ აღმაფრთოვანა. დეკემბრამდე სათანადოდ ვერ ირჯებოდა, რადგან ტრავმები აწუხებდა. მერე კი ფორმაში ჩადგა და...“

გიორგი ძაძაბაძე

ლიბერტადორესის თასი 2008

მერვედფინალი. პირველი მატჩები

ლანუსი (არგენტინა) 0:1 ატლასი (მექსიკა)

0:1 მარიონი (37)

ლიგა დე კიტო (ეკვადორი) 2:0 ესტუდიანტესი (არგენტინა)

1:0 მენდესი (64), 2:0 მანსო (78)

ჩილე

მერვედფინალი. პირველი მატჩები

კოლო კოლო 2:2 უაჩიპატო

საფეხბურთო ლეგენდები

გიორგი კაკაბაძე

ლეგენდა №22

ჩაწყობილი 2:0

ფეხბურთში ფინანსურ მაქინაციებსა და მატჩების ჩაწყობის ფაქტებს დიდი ისტორია აქვს. ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული და სკანდალური შემთხვევა 1915 წლის 2 აპრილს დაფიქსირდა. „მანჩესტერ იუნაიტედმა“ „ოლდ ტრეფორდზე“ „ლივერპულს“ 2:0 მოუგო. მოგვიანებით კი გაირკვა, რომ შეხვედრის ანგარიში წინასწარ იყო შეთანხმებული და ამით ორივე გუნდის ფეხბურთელებმა ისარგებლეს ფინანსური თვალსაზრისით.

იმ დროისთვის „მანჩესტერი“ უმაღლეს ლიგაში დასარჩენად იბრძოდა, უმოტივაციო „ლივერპული“ კი ცხრილის შუაგულში იმყოფებოდა. მერსისაიდელებს ორივე გოლი ჯორჯ ანდერსონმა გაუტანა. თუმცა მატჩის მსაჯმა და მიმომხილველებმა შენიშნეს, რომ ლივერპულელებს აშკარად აკლდათ მოტივაცია და საეჭვოდ გამოიყურებოდნენ: პენალტიც კი გააცუდეს.

მატჩის მერე გირკვა, რომ „მანჩესტერის“ მიერ ანგარიშით 2:0 მოგებაზე ბევრი ფსონი გაკეთდა, რაზეც კოეფიციენტი 7,0 იყო. ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის მიერ ჩატარებულმა გამოძიებამ კი დაადგინა, რომ გარიგებაში გარეულები იყვნენ მანჩესტერელები — სანდი ტერნბული, არტურ ვოლეი და ენოხ ვესტი, ასევე ლივერპულელები — ჯეკი შელდონი, ტომ მილერი, ბობ პერსელი და ტომ ფეირფული. შელდონი ექსმანჩესტერელი გახლდათ და შეთქმულების ორგანიზატორადაც შეირაცხა.

სასჯელს გადაურჩნენ ლივერპულელი ფრედ პაგნემი და მანჩესტერელი ანდერსონი, რომლებმაც განაცხადეს, ამ თაღლითობაში მონაწილეებისგან თავი შორს დავიჭირეთო. როგორც გაირკვა, პაგნემი გამალებით ცდილობდა გოლის გატანას, რათა მათჩი 2:0 არ დასრულებულიყო. ხოლო ანდერსონმა თანაგუნდელების წინააღმდეგ მისცა ჩვენება.

ზემოთ ჩამოთვლილი შვიდივე მოთამაშე ფეხბურთიდან სამუდამოდ მოკვეთეს. ამ გადაწყვეტილებას ვერაფრით შეეგუა ვესტი, რომელმაც თავისი სიმართლის დამტკიცება ფეხბურთის ასოციაციისთვის ჩივილითაც კი სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ტერნბული პირველ მსოფლიო ომში დაიღუპა. ვესტის გარდა, დანარჩენ მოთამაშეებს დისკვალიფიკაციები 1919 წელს მოუხსნეს ომში ქვეყნისთვის გაწეული სამსახურისთვის. ვესტს ლოდინი 1945 წლამდე მოუხდა: როცა მასაც გაუუქმეს დისკვალიფიკაცია, იგი 59 წლის გახლდათ...

დამტკიცდა, რომ ეს მაქინაცია მხოლოდ ფეხბურთელებმა განახორციელეს. ამიტომ, არცერთი კლუბი და არც მათი ჩინოვნიკები არ დასჯილან.

მიუხედავად იმისა, რომ გარიგების მიზანი მხოლოდ ფინანსური სარგებლის მიღება იყო, ამ სამმა ქულამ „მანჩესტერს“ უმაღლეს ლიგაში ადგილი შეუნარჩუნა. „წითელმა ეშმაკებმა“ სულ რაღაც ერთი ქულით გაასწრეს ლონდონის „ჩელსის“. თუმცა 1919 წელს, როცა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, ინგლისის ჩემპიონატი განახლდა, გუნდების რაოდენობის ორით გაზრდა გადაწყდა და „ჩელსი“, მის თანაქალაქელ „არსენალთან“ ერთად, უმაღლეს ლიგაში დაბრუნეს.

ლეგენდა №23

პირველი სათვალიანი

ბელგიელი არმან ჟოზეფ ჟურიონი, მეტსახელად „ჯეფი“, საოცარი ნიჭით დაჯილდოებული და განსაკუთრებული ფეხბურთელი ნამდვილად არ ყოფილა, მაგრამ საშუალო დონის, კარგი მოთამაშე კი იყო და ერთი რამით გამოირჩეოდა...

როგორც პროფესიული ფეხბურთის ისტორიაშია ცნობილი, 1937 წლის 24 თებერვალს დაბადებული ჟურიონი პირველი ფეხბურთელი გახლდათ, რომელიც სათვალით თამაშობდა. სხვათა შორის, მან ფაქტობრივად მთელი კარიერა ასე გაატარა.

ჟურიონმა თამაში „რუისბროკში“ დაიწყო, 17 წლისა კი ბელგიის საუკეთესო კლუბ „ანდერლეხტში“ გადაბარგდა და იქ 16 წელი გაატარა. ბრიუსელელთა რიგებში მან ცხრაჯერ მოიგო ქვეყნის ჩემპიონის ტიტული და ერთხელაც თასი მოიპოვა.

1962 წელს „ანდერლეხტმა“ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ „რეალთან“ ფრედ, 3:3 ითამაშა, ბრიუსელში კი „ჯეფის“ დასამახსოვრებელი გოლით 1:0 მოიგო და ჩემპიონთა თასის მეორე ეტაპზე გავიდა. ამის მერე ჟურიონს ერთი ხანობა, „მისტერ ევროპასაც“ კი ეძახდნენ.

„ანდერლეხტიდან“ ჟურიონი „გენტში“ გადაბარგდა მოთამაშე-მწვრთნელად. შემდგომში, საკმაოდ წარმატებით წვრთნიდა „ლოკერენს“, „ბევერენსა“ და „ლა ლუვიეს“.

ეროვნულ ნაკრებში „ჯეფმა“ 1955-67 წლებში 64 მატჩი ჩაატარა და 9 გოლი გაიტანა. ამ ხნის განმავლობაში შვიდ სხვადასხვა პოზიციაზე ითამაშა.

ჟოზეფ ჟურიონს გასული საუკუნის 60-იანი წლების ერთ-ერთ საუკეთესო პლეიმეიკერად იხსენიებენ. არადა, ეს კაცი კარიერას მარჯვენა შემტევ ნახევარმცველად იწყებდა, საერთოდ კი უნივერსალი გახლდათ.

ლეგენდა №24

დეგენერატი ბანდიტი

1950 წლის ბრაზილიის მსოფლიოს ჩემპიონატზე მასპინძლები იუგოსლავიის ნაკრებს ხვდებოდნენ. ამ მატჩის არბიტრი ინგლისელი მერვინ გრიფსტი იყო. თამაშის დაწყებამდე მას ჰოლანდიელმა კოლეგამ ვან მეერმა ხუმრობით უთხრა: „გემრიელად ისადილე. ბრაზილიამ რომ წააგოს, ეს შენი უკანასკნელი სადილი იქნება“.

ეს ხუმრობა კინაღამ სიმართლედ იქცა, როცა გრიფსტმა ბრაზილიელთა გოლი არ ჩათვალა და ქომაგების საშინელი უკმაყოფილება გამოიწვია. ხოლო ერთ-ერთმა აღფოთებულმა და ემოციებს აყოლილმა ბრაზილიელმა კომენტატორმა ინგლისელ მსაჯს საინტერესო რამ უწოდა: „დეგენერატი ბანდიტი“. კიდევ კარგი, ბრაზილიამ ის მატჩი მოიგო...

ლეგენდა №25

თამბაქო და ზამორა

ლეგენდარული ესპანელი მეკარე რიკარდო ზამორა დისციპლინას ყოველთვის იცავდა, მაგრამ ერთი ახირება მასაც ჰქონდა — თამბაქოს გამუდებით ეწეოდა. თურმე ხშირად დღეში 60 ღერზე მეტსაც უღებდა ბოლოს. ამბობდა, თამბაქო ნერვებს ამშვიდებსო. ზოგჯერ ზამორა მათჩის მსლელობისასაც ვერ იკავებდა თავს და ტაიმებს შორის შესვენებაზე 2-3 ღერის მოწევას ასწრებდა, სიგარეტს საშხაპეშიც არ იშორებდაო...

სარბიელი ᲓᲘᲡ ᲙᲠᲝᲙᲘ

ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲘᲓᲒᲔᲗ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. პრემიერლიგა						
		3 მაისი						
18:00	2	რედინგი-ტოტენჰემი	2.15	3.20	3.20	1.28	1.28	1.60
18:00	4	ასტონ ვილა-უიგანი	1.50	3.80	7.00	1.07	1.23	2.46
18:00	5	ბლეკბერნი-დერბი	1.30	4.70	10.00	1.01	1.15	3.19
20:15	6	ბოლტონი-ხასლერფლდი	1.70	3.40	5.00	1.13	1.26	2.02
18:00	7	ფულჰემი-ბირმინგემი	2.30	3.20	3.00	1.33	1.30	1.54
15:45	9	მანჩესტერი-ვესტ ჰემი	1.20	5.50	16.00	1.00	1.11	4.09
18:00	11	მიდლსბრო-პორტსმუთი	2.05	3.20	3.50	1.24	1.29	1.67
		4 მაისი						
16:30	3	არსენალი-ევერტონი	1.60	3.40	5.30	1.08	1.22	2.07
19:00	8	ლივერპული-სიტი	1.65	3.40	5.00	1.11	1.24	2.02
		5 მაისი						
19:00	12	ნიუკასლი-ჩელსი	6.00	3.50	1.60	2.21	1.26	1.09
		ინგლისი. ჩემპიონატი						
		4 მაისი						
17:00	15	საუთემპტონი-შეფილდი	2.30	3.40	2.80	1.37	1.26	1.53
17:00	16	სტოკი-ლესტერი	1.80	3.40	4.00	1.17	1.24	1.83
17:00	17	ბლეკპული-უოტფორდი	2.85	3.10	2.35	1.48	1.28	1.33
17:00	18	ვულვერჰემპტონი-პლიმუთი	1.50	3.70	6.50	1.06	1.21	2.35
17:00	19	ბრისტოლი-პრესტონი	1.85	3.30	4.00	1.18	1.26	1.80
17:00	20	კარდიფი-ბარნსლი	2.15	3.30	3.10	1.30	1.26	1.59
17:00	21	ჩარლტონი-ქოვენთრი	2.70	3.20	2.45	1.46	1.28	1.38
17:00	22	კრისტალ პალასი-ბარნლი	1.40	4.00	7.50	1.03	1.17	2.60
17:00	23	იფსვიჩი-პალი	2.40	3.30	2.65	1.38	1.25	1.46
17:00	24	ჭბრ-ვესტ ბრომვიჩი	3.40	3.30	2.00	1.67	1.25	1.24
17:00	25	სანთორპი-კოლჩესტერი	1.85	3.30	4.00	1.18	1.26	1.80
17:00	26	უენსდი-ნორვიჩი	1.60	3.60	5.00	1.10	1.21	2.09
		ინგლისი. I ლიგა						
		3 მაისი						
18:00	27	საუთენდი-პორტ ვეილი	1.50	3.70	6.00	1.06	1.20	2.28
18:00	28	ხუნდონი-მილუოლი	1.85	3.40	3.80	1.19	1.24	1.79
18:00	29	ბრაიტონი-ხუნნი	2.45	3.30	2.60	1.40	1.26	1.45
18:00	30	უოლხოლი-პარტლპული	1.85	3.40	3.80	1.19	1.24	1.79
18:00	31	კარლაილი-ბორნმუთი	1.85	3.40	3.75	1.19	1.23	1.78
18:00	32	ჩელტენჰემი-დონკასტერი	3.00	3.30	2.15	1.57	1.25	1.30
18:00	33	ქრიუოლდემი	1.85	3.30	4.00	1.18	1.26	1.80
18:00	34	ლიდსი-ჯიფლინგემი	2.00	3.30	3.50	1.24	1.27	1.69
18:00	35	ლეიტონი-როვერსი	2.15	3.30	3.10	1.30	1.26	1.59
18:00	36	ლუტონი-პადერბოდლდი	2.50	3.30	2.60	1.42	1.27	1.45
18:00	37	ნორთჰემპტონი-ტრანმერი	2.25	3.30	2.85	1.33	1.25	1.52
18:00	38	ნოტინგემი-იოვილი	1.30	5.00	8.50	1.03	1.12	3.14
		ინგლისი. II ლიგა						
		3 მაისი						
18:00	39	როტერჰემი-ბარნეტი	2.20	3.20	3.10	1.30	1.28	1.57
18:00	40	სტოკპორტი-ბრენტფორდი	1.75	3.40	4.20	1.15	1.23	1.87
18:00	41	აკრინგტონი-ბერი	2.25	3.30	2.90	1.33	1.26	1.54
18:00	42	უიკომბი-ბრედფორდი	2.00	3.40	3.40	1.25	1.25	1.70
18:00	44	ჩესტერფილდი-ნოტსი	1.80	3.40	4.00	1.17	1.24	1.83
18:00	46	პერეფორდი-გრიმსბი	1.70	3.50	4.50	1.14	1.23	1.96
18:00	47	ლინკოლნი-რექსჰემი	1.65	3.50	5.00	1.12	1.24	2.05
18:00	48	დონსი-მორეკომბი	1.50	3.70	6.00	1.06	1.20	2.28
18:00	49	პიტერბრო-დარლინგტონი	1.65	3.40	5.00	1.11	1.24	2.02
18:00	50	როჩდელი-შრიუსბერი	1.65	3.50	5.00	1.12	1.24	2.05
		ინგლისი. კონფერენსი						
		1 მაისი						
22:45	82	ექსეტერი-ტორკი	2.25	3.20	2.80	1.32	1.24	1.49
		2 მაისი						
22:45	83	ბარტონი-კემბრიჯი	2.20	3.20	2.90	1.30	1.25	1.52
		შოტლანდია. პრემიერლიგა						
		3 მაისი						
15:30	105	მიზერუელი-სელტიკი	6.20	3.80	1.45	2.35	1.17	1.04
18:00	106	აბერდინი-დანდი იუნაიტედი	2.20	3.40	2.80	1.33	1.23	1.53
18:00	107	ინვერნესი-გრეტნა	1.35	4.20	7.00	1.02	1.13	2.62
18:00	108	სტ.მირენი-კილმარნოკი	2.10	3.25	3.15	1.27	1.25	1.59
		4 მაისი						
17:00	109	პიბერნიანი-რეინჯერსი	4.55	3.50	1.65	1.97	1.21	1.12
		5 მაისი						
22:45	110	ფოლკირკი-პართიზ	2.50	3.30	2.50	1.42	1.25	1.42
		გერმანია. I ბუნდესლიგა						
		2 მაისი						
22:30	151	დორტმუნდი-ნიურნბერგი	2.05	3.20	3.30	1.24	1.26	1.62
		3 მაისი						
17:30	152	პაზა-პამბურგი	3.10	3.30	2.20	1.59	1.28	1.32
17:30	153	არმინია-ბიზუმი	1.85	3.30	4.10	1.18	1.27	1.82
17:30	154	შალკე-ქაიზერი	1.50	3.80	6.00	1.07	1.20	2.32
17:30	156	ვერდერი-კოტბუსი	1.35	4.50	8.50	1.03	1.16	2.94
17:30	158	შტუტგარტი-აინტრახტი	1.60	3.50	5.20	1.09	1.22	2.09
17:30	159	ჰერტა-კარლსრუე	1.90	3.30	3.85	1.20	1.27	1.77
		4 მაისი						
19:00	150	დუისბურგი-ლევერკუზენი	3.10	3.20	2.20	1.57	1.28	1.30
19:00	160	ვოლფსბურგი-ბაიერნი	3.20	3.30	2.10	1.62	1.26	1.28
		შვეიცარია. სუპერლიგა						
		2 მაისი						
22:15	196	ბაზელი-ციურიხი	1.50	3.60	6.50	1.05	1.21	2.31
21:45	197	იანგ ბოიზ-ქსამაქსი	1.25	5.00	10.00	1.00	1.11	3.33
		3 მაისი						
21:45	198	ლუცერნი-ფუნი	1.65	3.60	4.70	1.13	1.22	2.03
19:45	200	სტ.გალენი-სიონი	2.20	3.20	3.00	1.30	1.26	1.54
19:45	201	გრასჰოპერი-აარაუ	1.65	3.40	4.80	1.11	1.22	1.99
		იტალია. სერია A						
		4 მაისი						
17:00	211	კალიარი-ფიორენტინა	2.70	2.80	2.75	1.37	1.36	1.38
17:00	212	პარმა-ჯენოა 1:0	1.50	3.90	6.20	1.08	1.20	2.39
17:00	213	მილანი-ინტერი	2.55	2.90	2.90	1.35	1.35	1.45
17:00	215	სიენა-იუვენტუსი	7.00	3.30	1.55	2.24	1.26	1.05
17:00	217	იტალანტა-ლიეორნო	3.00	3.20	2.25	1.54	1.28	1.32
17:00	218	ტორინო-ნაპოლი	1.40	4.00	7.20	1.03	1.17	2.57
17:00	219	ლაციო-პალერმო	2.40	2.50	3.80	1.22	1.47	1.50
17:00	220	კატანია-რეჯინა	2.05	2.80	4.20	1.18	1.37	1.67
17:00	221	სამპდორია-რომა	2.60	3.00	2.75	1.39	1.33	1.43
17:00	222	ემპოლი-უდინეზე	2.05	2.90	3.70	1.20	1.31	1.62
		იტალია. სერია B						
		3 მაისი						
18:00	224	ლეჩე-მანტოვა	1.15	5.50	14.00	1.00	1.06	3.94
18:00	225	რავენა-მესინა	1.50	3.65	6.00	1.06	1.20	2.26
18:00	226	აველინო-ბარი	1.95	2.90	4.00	1.16	1.31	1.68
18:00	227	კიეტი-სპეცია	1.35	4.00	9.20	1.00	1.17	2.78
18:00	228	რიმინი-ტრიესტინა	2.15	2.50	4.10	1.15	1.41	1.55
18:00	229	ბოლონია-ვიჩენცა	1.40	3.60	9.00	1.00	1.21	2.57
18:00	230	პიაჩენცა-ალბინოლეეფე	5.00	3.15	1.70	1.93	1.26	1.10
18:00	231	ასკოლი-ბარი	2.30	2.40	4.00	1.17	1.46	1.50
18:00	232	მოდენა-ბრეშა	3.25	2.15	3.00	1.29	1.55	1.25
18:00	233	ფროზინონე-ჩეზენა	2.40	3.25	2.65	1.38	1.25	1.45
18:00	234	ტრევზო-გროსეტო	1.45	3.55	7.50	1.02	1.21	2.40
		ესპანეთი. I დივიზიონი						
		3 მაისი						
22:00	257	ატლეტიკო-უელვა	1.55	3.60	6.00	1.08	1.23	2.25
23:45	259	ხარაგოსა-დეპორტივო	2.00	3.20	3.65	1.23	1.29	1.70
		4 მაისი						
19:00	253	სევილია-ვალიადოლიდი	1.45	3.80	7.20	1.04	1.20	2.48
19:00	254	ალმერია-ბეტისი	2.20	3.20	3.20	1.30	1.30	1.60
19:00	255	ვილიარეალი-ხეტაფე	1.80	3.30	4.50	1.16	1.28	1.90
19:00	258	ლევანტე-ესპანიოლი	3.20	3.20	2.10	1.60	1.26	1.26
21:00	260	ბარსელონა-ვალენსია	1.70	3.30	5.10	1.12	1.27	2.00
23:00	262	ოსასუნა-რეალი	2.90	3.20	2.35	1.52	1.29	1.35
19:00	264	ბილბაო-მალიორკა	2.25	3.20	3.10	1.32	1.30	1.57
19:00	265	რასინგი-მურსია	1.40	4.00	7.50	1.03	1.17	2.60
		ესპანეთი. II დივიზიონი						
		3 მაისი						
22:00	268	ლას პალმასი-კასტელონი	2.40	3.00	2.80	1.33	1.29	1.44
20:30	271	ალბასეტე-ხალამანკა	2.15	3.00	3.25	1.25	1.29	1.55
20:30	275	სოხიედადი-სევილია ბ	1.65	3.25	5.20	1.09	1.25	2.00
		4 მაისი						
20:00	266	ტარაგონა-პერკულეხი	2.25	3.00	3.05	1.28	1.29	1.51
20:00	267	ესიდი-ეიბარი	2.20	3.00	3.10	1.26	1.28	1.52
20:00	269	ელჩე-კორდობა	1.90	3.00	4.00	1.16	1.28	1.71
20:00	270	სერესი-ალავესი	2.10	3.00	3.40	1.23	1.29	1.59
14:00	272	ნუმანსია-ტენერიფე	1.75	3.20	4.50	1.13	1.25	1.87
19:00	273	სპორტინგი-გრანადა	1.65	3.20	5.50	1.08	1.26	2.02
19:00	274	ფეროლი-კადისი	2.30	2.90	3.00	1.28	1.30	1.47
19:00	276	ხეტაფა-მალაგა	2.50	2.90	2.70	1.34	1.29	1.39
		საფრანგეთი. I დივიზიონი						
		3 მაისი						
22:00	321	ლორიანი-ლე მანი	2.35	3.00	3.00	1.31	1.31	1.50
19:10	323	ნიცა-ლიონი	4.35	3.10	1.80	1.81	1.27	1.13
22:00	325	ხიმო-მეცი	1.50	3.60	5.75	1.05	1.18	2.21
22:00	326	ლანსი-მონაკო	1.75	3.20	4.50	1.13	1.25	1.87
21:00	327	ტულუზი-ესტ	2.60	2.90	2.70	1.37	1.32	1.39
22:00	328	კაენი-რენი	2.45	3.00	2.75	1.34	1.29	1.43
22:00	329	ნანსი-სტრასბური	1.55	3.50	6.00	1.07	1.23	2.21
22:00	331	ოსერი-ვალენსიენი	1.75	3.20	4.50	1.13	1.25	1.87
		4 მაისი						
22:45	320	მარსელი-ბორდო	2.20	2.90	3.30	1.25	1.32	1.54
20:00	322	სტ-ეტიენი-ლილი	2.05	3.00	3.50	1.21	1.29	1.61
		ბელგია. I დივიზიონი						
		2 მაისი						
22:30	360	ვარეგემი-გენტი	2.15	3.30	3.00	1.30	1.25	1.57
		3 მაისი						
22:00	352	ხერკლი-ბრიუსელი	1.30	4.50	8.00	1.00	1.11	2.88
22:00	353	გენტი-შარლეროა	1.95	3.25	3.50	1.21	1.25	1.68
22:00	354	ბეერსხოტი-მეხელენი	1.65	3.50	4.60	1.12	1.21	1.98
22:00	355	რუფელარე-მუსკრონი	2.20	3.20	3.00	1.30	1.26	1.54
22:00	356	სტ.ტრუიდენი-მონსი	2.15	3.20	3.10	1.28	1.26	1.57
22:00	357	სტანდარდი-დენდერი	1.25	4.75	9.00	1.00	1.09	3.10
22:00	359	ვესტერლო-ლოკერენი	1.80	3.30	4.00	1.16	1.24	1.80
22:00	361	ანდერლეხტი-ბრიუგე	1.90	3.20	3.75	1.19	1.26	1.72
		ჰოლანდია. I დივიზიონი						
		1 მაისი						
16:30	72	პერენდენი-აიაქსი	2.75	3.20	2.35	1.47	1.26	1.35
		პორტუგალია. სუპერლიგა						
		3 მაისი						
22:30	375	პორტუ-ნასიონალი	1.20	5.50	11.00	1.00	1.08	3.66
		4 მაისი						
22:15	372	ბელენენსეში-გიმარაეში	2.15	3.20	3.10	1.28	1.26	1.57
19:00	373	ბიავეშტა-ბრაგა	2.45	3.10	2.70	1.36	1.28	1.44
22:15	374	ამადორა-ბენფიკა	4.80	3.50	1.65	2.02	1.22	1.12
19:00	377	მარიტიმუ-ლეირია	1.35	4.25	8.00	1.02	1.15	2.77
22:15	378	ფეირეირა-სპორტინგი	4.75	3.40	1.65	1.98	1.22	1.11
22:15	380	ხეტუბალი-ლეიმეიშეი	1.75	3.20	4.50	1.13	1.25	1.87
19:00	381	აკადემიკა-ნავალი	1.85	3.15	4.00	1.16	1.26	1.76
		რუსეთი						
		2 მაისი						
15:00	401	კრილია-ამკარი	2.00	3.20	3.55	1.23	1.27	1.68
19:30	402	ნალჩიკი-მოსკოვი	2.40	2.90	2.90	1.31	1.31	1.45
17:30	404	შინეკი-დინამო მ	3.10	3.00	2.30	1.52	1.32	1.30
16:00	405	რუბინი-სპარტაკი მ	2.40	3.00	2.90	1.33	1.31	1.47
		3 მაისი						
14:00	406	ხატურნი-ხიმკი	1.65	3.20	5.30	1.08	1.25	1.99
16:30	407	ტერეკი-ტომსკი	1.75	3.10	4.55	1.11	1.26	1.84
19:00	408	ლოკომოტივი-ენერგია	1.30	4.60	8.50	1.01	1.12	2.98
		4 მაისი						
19:00	403	ცსკა-ზენიტი	2.15	3.20	3.10	1.28	1.26	1.57
		პოლონეთი						
		2 მაისი						
22:00	411	რუხი-ლეგია	3.90	3.20	1.85	1.75	1.25	1.17
22:00	414	ლეხი-იაგელონია	1.15	5.50	15.00	1.00	1.06	4.02
		3 მაისი						
21:00	409	ვიძევი-ზაგლებე ს	1.35	4.15	8.50	1.01	1.16	2.78
16:45	410	კორონა-გროცლინი	2.45	3.20	2.60	1.38	1.26	1.43
20:00	412	ბელხატოვი-გურნიკი	2.00	3.20	3.35	1.23	1.25	1.63
20:00	413	ოდრა-პოლონია	1.90	3.20	3.75	1.19	1.26	1.72
20:00	415	ზაგლებე დ.კრაკოვია	2.00	3.20	3.40	1.23	1.25	1.64
		4 მაისი						
19:00	416	ვისლა-ლობი	1.35	4.15	8.50	1.01	1.16	2.78
		ჩეხეთი						
		3 მაისი						
21:00	418	ბანიკი-კლადნო	1.35	4.20	7.50	1.02	1.14	2.69
21:00	420	ზლინი-ბოჰემიანსი	2.40	3.00	2.75	1.33	1.28	1.43
19:00	423	ლიბერეცი-ბუდეიოვიცე	1.55	3.50	5.50	1.07	1.20	2.13
		4 მაისი						
22:15	419	სპარტა-ბრნო	1.40	3.90	7.00	1.03	1.16	2.50
19:00	421	ტეპლიცე-ბოლესლავი	1.85	3.10	4.00	1.15	1.26	1.74
12:15	422	ვიკკოვი-მოსტი	1.90	3.35	3.50	1.21	1.23	1.71
19:00	424	ჯლინი-იაბლონეცი	2.40	2.75	3.00	1.28	1.33	1.43
		5 მაისი						
19:15	417	ხიმკა-ხლავია	3.20	3.00	2.15	1.54	1.28	1.25
		დანია. სუპერლიგა						
		3 მაისი						
19:00	456	ორაუსი-ოდენსე	4.00	3.40	1.85	1.83	1.26	1.19
		4 მაისი						
20:00	452	ვიბორგი-ოლბორგი	6.00	3.80	1.50	2.32	1.20	1.07
18:00	453	ესბიერგი-რანდერსი	2.20	3.40	3.00	1.33	1.26	1.59
16:00	454	ლიუნგბიუ-მიდტიუელანდი	6.50	4.00	1.45	2.47	1.18	1.06
18:00	455	ბრონდბიუ-ნორდხეელანდი	1.90	3.40	3.80	1.21	1.26	1.79
		5 მაისი						
21:00	451	პორსგენი-კოპენჰაგენი	4.50	3.50	1.75	1.96	1.25	1.16
		დანია. I დივიზიონი						
		4 მაისი						
15:00	457	სკივე-ჰვიდოვრე	2.40	3.50	2.50	1.42	1.22	1.45
15:00	458	ფრედერიციაჰავნი-ფრ	1.60	3.50	5.00	1.09	1.21	2.05
13:45	459	ვიბორგ-ხოლბეკი	1.60	3.80	4.60	1.12	1.18	2.08
17:00	460	ნესტვედი-ოოლსტეკე	1.25	5.00	9.00	1.00	1.09	3.21
17:00	461	ლოლანდი-აკადემისკი	2.50	3.60	2.30	1.47	1.19	1.40
17:00	462	სანდერჰოლანდი-ჰერლეიუნი	1.15	6.00	15.00	1.00	1.06	4.28
17:00	463	ფრედერიციაა-კოლდინგი	1.85	3.60	3.50	1.22	1.21	1.77
17:00	464	კიოგე-ჰერფოლლეგ	3.60	3.70	1.80	1.82	1.20	1.21
		ნორვეგია. ტიპელიგა						
		3 მაისი						
21:00	470	ტრომსიო-ბრანი	2.20	3.30	2.90	1.32	1.25	1.54
		4 მაისი						
20:00	465	ფრედრიკსტადი-პამ კამი	1.45	3.70	6.20	1.04	1.17	2.31
20:00	466	სტრომზგოდსეტი-ბოდიო გლიმტი	1.70	3.40	4.30	1.13	1.21	1.89
20:00	467	ვოლერენგა-მოლდე	1.45	3.70	6.20	1.04	1.17	2.31
20:00	468	ალესუნდი-ლინი	2.00	3.30	3.30	1.24	1.24	1.64
22:00	469	სტაბეკი-რუსენბორგი	2.05	3.30	3.20	1.26	1.24	1.62
		5 მაისი						
21:00	471	ლილესტრომი-ვიკინგი	2.40	3.30	2.60	1.38	1.24	1.45
		შვედეთი. ალსვენსკა						
		3 მაისი						
18:00	487	ელფსბორგი-ჰელსინგბორგი	2.15	3.30	3.00	1.30	1.25	1.57
		4 მაისი						
19:45	488	პამარბი-გიოტებორგი	2.50	3.25	2.50	1.41	1.25	1.41
18:00	489	კალმარი-ტრელებორგი	1.40	3.85	7.00	1.02	1.16	2.48
18:00	490	ხუნდსვალი-ოუფგორდენი	3.20	3.30	2.05	1.62	1.24	1.26
18:00	491	იორეტბრო-მალმიო	2.90	3.30	2.20	1.54	1.25	1.32
		5 მაისი						
21:00	492	გაის-ნორჩიოპინგი	1.80	3.30	4.00	1.16	1.24	1.80
21:00	493	ლიუნგსკოლე-ეკეფლე	2.45	3.25	2.60	1.39	1.26	1.44
21:00	494	აიკ-პალმხტადი	1.80	3.30	4.00	1.16	1.24	1.80
		ფინეთი						
		4 მაისი						
19:30	502	როვანიემი-ტამპერე	4.35	3.40	1.70	1.90	1.22	1.13
19:30	503	ტურკუ-ინტერი	2.10	3.25	3.10	1.27	1.25	1.58
19:30	504	ლაპტი-ვეს	1.70	3.40	4.35	1.13	1.22	1.90
19:30	505	ჰიკ-ტპ	1.25	4.50	10.00	1.00	1.11	3.10
19:30	506	მიუპა-მარიეჰამნი	1.90	3.25	3.65	1.19	1.24	1.71
19:30	507	იარო-ჰონკა	3.10	3.25	2.10	1.58	1.25	1.27
		5 მაისი						
20:00	508	ჰაკა-კუოპიო	1.50	3.60	5.75	1.05	1.18	2.21
		ირლანდია						
		2 მაისი						
22:45	509	დუბლინი-ბოჰემიანი	3.85	3.15	1.90	1.73	1.27	1.18
22:45	510	ბრეი-კობი	2.00	3.15	3.50	1.22	1.27	1.65
22:45	511	დერი-გალვეი	1.45	3.55	7.50	1.02	1.21	2.40
22:45	512	სტ.პატრიცი-კორკი	2.10	3.10	3.25	1.25	1.27	1.58
22:45	513	დროგედა-ფინ პარკსი	1.40	3.75	8.00	1.01	1.19	2.55
		3 მაისი						
23:00	514	ხლიფო-შემროკი	2.25	3.10	2.95	1.30	1.27	1.51
		არგენტინა						
		3 მაისი						
23:20	549	ურაკანი-ხიმნასია ქ	1.75	3.25	4.45	1.13	1.25	1.87
23:20	550	კოლონი-ბანფილდი	2.10	3.20	3.20	1.26	1.26	1.60
23:20	551	ხან მარტინი-ოლიმპო	1.85	3.20	4.00	1.17	1.26	1.77
23:20	552	როსარიო-რასინგი	2.00	3.25	3.40	1.23	1.25	1.66
23:20	555	ბოკა ხუნიორსი-რივერ პლეიტი	2.10	3.20	3.20	1.26	1.26	1.60
23:20	556	ინდეპენდიენტე-ნიუელსი	1.80	3.25	4.15	1.15	1.25	1.82
23:20	557	არგენტინოს ხუნიორსი-ესტუდიანტესი	2.50	3.15	2.60	1.39	1.27	1.42
23:20	558	ლანუსი-არსენალი	2.00	3.20	3.45	1.23	1.26	1.66
		უეფას თასი						
		1 მაისი						
20:30	69	ზენიტი-ბაიერნი	3.60	3.20	2.00	1.69	1.28	1.23
22:45	70	ფიორენტინა-რეინჯერსი	1.65	3.30	5.35	1.10	1.26	2.04
		ჩემპიონთა თასი						
		1 მაისი						
19:00	80	ბრნო-ლიბერეცი	2.10	2.90	3.40	1.21	1.29	1.56
		დანია. თასი						
		1 მაისი						
17:00	74	ბრიონდბიუ-ესბიერგი	2.10	3.30	3.60	1.28	1.32	1.72
		ლიბერტადორესის თასი						
		1 მაისი						
23:45	92	სანტოსი-კუტუტა დეპორტივო	1.45	3.70	6.20	1.04	1.17	2.31
		კალაბურთი. ესპანეთი						
		1 მაისი						
14:30	600	ხან ფერნანდო-ნუეკახა	2.10	12.00	1.60	1.78	1.00	1.41
22:45	605	ბარსელონა-მურსია	1.10	12.00	5.30	1.00	1.00	3.67
21:00	607	ხუვენტუდი-გრანადა	1.05	12.00	6.50	1.00	1.00	4.21
21:00	608	მანრესა-ლეონი	1.20	12.00	3.85	1.09	1.00	2.91
		ხელბურთი. კაცები. შვედეთის ჩემპიონატი						
		1 მაისი						
21:00	642	პამარბი-ხეკეხოფი	1.45	10.00	2.80	1.26	1.00	2.18
		ხელბურთი. კაცები. ავსტრიის ჩემპიონატი						
		1 მაისი						
22:15	618	ალფა გარდი-ფივერ

ᲙᲕᲐᲠᲪᲘᲢᲘ QUARTZITE
ᲚᲘᲒᲐ
უძრავი ქონება

ᲔᲠᲗᲐ ᲗᲐᲡᲘᲡ ᲛᲠᲘᲪᲮᲕᲔᲚᲘ

აღდგომის წინა დღეს საქართველოს ნაკრებმა ესპანეთს რომ აჯობა, 2001 წლის აქეთ მეორედ მოიგო ერთა თასი, რომელიც მესამე სეზონია, ორწლიანი ჯამური მონაგარით თამაშდება. ჩვენც 2007-08 წლების ერთა თასის მრიცხველს ჩავხედეთ და ვფიქრობთ, საინტერესო ციფრები დავითვალეთ...

ᲛᲪᲕᲔᲚᲚᲔᲑᲘ (№15)	Თ	Ლ	Გ	Შ	Ა	Ქ
ოთარ ბარკალაია	5	—	3	7	—	21
ირაკლი ყიასაშვილი*	2	—	2	—	—	4
პალიკო ჯიმშელაძე	3	1	4	1	—	16
ᲒᲐᲠᲔᲛᲐᲠᲑᲔᲑᲘ (№11, 14)						
ირაკლი ჩხიკვაძე	5	2	—	—	—	10
გიორგი შკინინი	9	2	—	—	—	10
ბესიკ ხამაშურიძე	3	2	—	—	—	10
სანდრო თოდუა*	3	—	—	—	—	—
სანდრო ნიჟარაძე*	1	—	—	—	—	—
ვასილ აბაშიძე	—	—	—	—	—	—
მალხაზ ურჯუკაშვილი	3	3	—	—	—	15
ირაკლი მაჩხანელი	1	—	—	—	—	—
გიორგი ელიზბარაშვილი	3	—	—	—	—	—
ოთარ ელოშვილი	1	1	—	—	—	5
ᲨᲣᲐᲛᲐᲠᲑᲔᲑᲘ (№12, 13)						
ირაკლი გიორგაძე	5	1	—	—	—	5
დავით კაჭარავა	10	2	—	—	—	10
რევაზ გიგაური	6	1	—	—	—	5
ᲮᲐᲖᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲛᲪᲕᲔᲚᲔᲑᲘ (№10)						
მერაბ კვირიკაშვილი	8	1	14	2	—	39
ლაშა მალაღურაძე*	6	1	1	1	2	16
ᲨᲔᲠᲙᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲛᲪᲕᲔᲚᲔᲑᲘ (№9)						
ირაკლი აბუსერიძე	8	—	—	—	—	—
ბიძინა სამხარაძე	8	—	—	—	—	—
გიორგი კაჭარავა	2	—	—	—	—	—
ᲛᲔᲡᲐᲛᲔᲮᲐᲖᲔᲚᲔᲑᲘ (№6, 7, 8)						
დიმიტრი ბასილაია*	6	1	—	—	—	5
რატი ურუშაძე	5	2	—	—	—	10
შალვა სუთიაშვილი	5	—	—	—	—	—
გიორგი ჩხაიძე	9	1	—	—	—	5
ზვიად მაისურაძე	2	—	—	—	—	—
დავით ჩიჩუა*	1	—	—	—	—	—
ბესიკ უდესიანი	5	1	—	—	—	5
ილია მაისურაძე	3	1	—	—	—	5
გია ლაბაძე	1	1	—	—	—	5
დავით ბოლღაშვილი	1	2	—	—	—	10
შალვა პაპაშვილი	1	—	—	—	—	—
ვახტანგ ახვლედიანი*	1	—	—	—	—	—
ᲛᲔᲝᲠᲔᲡᲐᲖᲔᲚᲔᲑᲘ (№4, 5)						
მამუკა გორგოძე	3	4	—	—	—	20
კახა უჩავა	5	—	—	—	—	—
ლევან დათუნაშვილი	4	—	—	—	—	—
გიორგი ნემსაძე	2	—	—	—	—	—
სანდრო მჭედლიშვილი	2	—	—	—	—	—
ილია ზედგინიძე	1	—	—	—	—	—
ვიქტორ დიდებულიძე	4	—	—	—	—	—
ზურაბ მჭედლიშვილი	2	2	—	—	—	10
ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲮᲐᲖᲔᲚᲔᲑᲘ (№1, 2, 3)						
დავით ზირაქაშვილი	2	—	—	—	—	—
დავით ქუბრიაშვილი*	5	—	—	—	—	—
ანტონ ფეიქრიშვილი*	2	—	—	—	—	—
გოდერძი შველიძე	5	—	—	—	—	—
სიმონ მაისურაძე*	4	—	—	—	—	—
შოთა მელიქიძე*	1	—	—	—	—	—
გიორგი მჭედლიშვილი*	1	—	—	—	—	—
იური ნატრიაშვილი	5	—	—	—	—	—
დავით დადუნაშვილი	9	6	—	—	—	30
აქვსენტი გიორგაძე	3	1	—	—	—	5
დავით ხინჩაგიშვილი	2	—	—	—	—	—
ავთო კოპალიანი	4	—	—	—	—	—
დავით აშვეთია	1	—	—	—	—	—
მამუკა მაგრაქველიძე	1	—	—	—	—	—
დავით გასვიანი	2	—	—	—	—	—
რევაზ ბელქანია	1	—	—	—	—	—
გიორგი ჟღენტი	2	—	—	—	—	—

*შენიშვნა: თ — თამაში, ლ — ლელო, გ — გარდასახვა, ს — საჯარიმო, ა — არეკვნი, ქ — ქულა, * — ახალბედა*

სულ: 10 მატჩი, 9 მოგება, 1 წაგება; ბურთები 292:105 (+187)

სულ: 58 მორაგბე (37 მორკინალი, 21 უკანასაზელი)

ᲗᲐᲡᲘ თასად და საქართველოს ნაკრებმა 20-წლიან მატიანეში სარეკორდოდ შარშან, თბილისში ჩეხეთთან მოიგო. მაშინ ჩვენებმა 98:3 დაამარცხეს ლევან მგელაძის გაწვრთნილი მეტოქე. აქამდე ბორჯღალოსანთა სარეკორდო გამარჯვება 2001 წლით თარიღდებოდა, როდესაც ქართველებმა თბილისში ჰოლანდია 88:0 გაანადგურეს.

ᲔᲠᲗᲐ ᲗᲐᲡᲘ 2007–08

2007 ᲬᲔᲚᲘ

3 თებერვალი. ბუქარესტი
რუმინეთი 17:20 საქართველო
2ლ: ა. გიორგაძე, უდესიანი; 2გ: კვირიკაშვილი; 2ს: კვირიკაშვილი

17 მარტი. მადრიდი
ესპანეთი 31:17 საქართველო
3ლ: ბოლღაშვილი (2), შკინინი; 1გ: კვირიკაშვილი

24 მარტი. თბილისი
საქართველო 31:12 რუსეთი
4ლ: ჩხაიძე, ტექნიკური, ზ. მჭედლიშვილი, ლაბაძე; 4გ: ჯიმშელაძე; 1ს: ჯიმშელაძე

7 აპრილი. თბილისი
საქართველო 98:3 ჩეხეთი
16ლ: ზ. მჭედლიშვილი, დადუნაშვილი (4), ი. მაისურაძე, ურჯუკაშვილი (3), შკინინი, ი. გიორგაძე, ჯიმშელიძე, ელოშვილი, ხამაშურიძე, კვირიკაშვილი, ტექნიკური; 9გ: კვირიკაშვილი

2008 ᲬᲔᲚᲘ

2 თებერვალი. თბილისი
საქართველო 31:3 პორტუგალია
5ლ: კაჭარავა, ხამაშურიძე, დადუნაშვილი, გიგაური, ბასილაია; 3გ: ყიასაშვილი, კვირიკაშვილი (2)

9 თებერვალი. თბილისი
საქართველო 22:7 რუმინეთი
1ლ: გორგოძე; 1გ: ბარკალაია; 4ს: ბარკალაია; 1ა: მალაღურაძე

23 თებერვალი. ლისაბონი
პორტუგალია 6:11 საქართველო
1ლ: ჩხიკვაძე; 1ს: ბარკალაია; 1ა: მალაღურაძე

29 მარტი. პრაღა
ჩეხეთი 3:22 საქართველო
3ლ: მალაღურაძე, ჩხიკვაძე, დადუნაშვილი; 2გ: მალაღურაძე, ყიასაშვილი; 1ს: მალაღურაძე

12 აპრილი. კრასნოიარსკი
რუსეთი 12:18 საქართველო
2ლ: ურუშაძე, კაჭარავა; 1გ: ბარკალაია; 2ს: ბარკალაია

26 აპრილი. თბილისი
საქართველო 22:20 ესპანეთი
4ლ: გორგოძე (3), ურუშაძე; 1გ: ბარკალაია

ᲛᲔᲥᲣᲚᲔᲑᲘ		ᲛᲔᲚᲔᲚᲝᲕᲔᲑᲘ	
მერაბ კვირიკაშვილი	39	დავით დადუნაშვილი	6
დავით დადუნაშვილი	30	მამუკა გორგოძე	4
ოთარ ბარკალაია	21	მალხაზ ურჯუკაშვილი	3

საქართველო	10	9	0	1	+172	18
რუსეთი	10	8	0	2	+165	16
რუმინეთი	10	6	0	4	+130	12
ესპანეთი	9	3	0	6	-11	6
პორტუგალია	9	3	0	6	-18	6
ჩეხეთი	10	0	0	10	-447	0

დარჩენილი მატჩი: 10 მაისი ესპანეთი — პორტუგალია

ᲔᲠᲗᲐ ᲗᲐᲡᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲝᲛᲒᲔᲑᲘ

2000	რუმინეთი	2003/04	პორტუგალია
2001	საქართველო	2005/06	რუმინეთი
2002	რუმინეთი	2007/2008	საქართველო

ჩეხეთთან პოკერი (4 ლელო) გაახერხა ჩვენების მორკინალმა დავით დადუნაშვილმა, რომელმაც წლეულს იმავე ჩეხებს სტუმრად ერთი ლელო აკმარა, მანამდე კი თბილისში პორტუგალიაც დაალელოვა. დადუნაშვილი 2007-08 წლების ერთა თასზე ჩვენების საუკეთესო მელელოვეა და მექულეებშიც მეორე ადგილზეა. სხვათა შორის, შარშან ჩეხეთთან სამი ლელო გაიტანა მალხაზ ურჯუკაშვილმა, რომელიც ერთი ლელოთი ჩამორჩა ჩვენების მეორე მელელოვეს მამუკა გორგოძეს. არადა, ამ დევკვს შარშან ერთა თასზე არ უთამაშია, წლეულს კი ოდენ სამი მატჩი ითამაშა და ოთხი ლელო გაიტანა.

ლელოც არის და ლელოც — გორგოძემ ჯერ თბილისში უპრინციპულესი მეტოქე რუმინეთი დაალელოვა და წელში გატეხა კარპატელები, ახლა კი ესპანელებს დაასეტყვა სამი მძლავრი ლელო და ლამის წაგებული მატჩი საჩვენოდ შემოაბრუნა.

შარშან არ უთამაშია ოთარ ბარკალაიას. მაგრამ წლეულს ხუთივე მატჩში ირაგბა და ჯამში 21 ქულა მოაგროვა, თუმც მექულეებში ეს ოდენ მესამეობისთვის ეყო. ჩვენების მექულე კი მერაბ კვირიკაშვილი გახდა, რომელიც შარშან ქართული ტრიუმვირატის — მალხაზ ჭეიშვილის, დავით ჩავლეიშვილის და პაატა ნარიმანაშვილის ხელში სტაბილურად თამაშობდა ნაკრებში. წლეულს კი ტიმ ლეინის, ლევან ცაბაძისა და ვიქტორ დიდებულიძის მწვრთნელობით კვირიკაშვილმა ამ სეზონში ოთხი მატჩი კი ითამაშა, მაგრამ აქედან ერთში იყო ძირითადში, სამჯერ კი ბოლო წუთებზე შევიდა შეცვლაზე.

„მეკოს“ საუკეთესო მექულეობისთვის შარშან მოროვილი 35 ქულა და წლეულს დამატებული 4 ქულაც ეყო.

ᲑᲐᲩᲝ ᲡᲒᲐᲜᲘᲫᲔ

მერაბ კვირიკაშვილი

მამუკა გორგოძე

ქართული ოქროებიც რუსულად გაჟღერდა

ლევან წიკლაური



მირიან პავლიაშვილი

სპორტის სასახლეში მიმდინარე სამბისტთა ევროპის ჩემპიონატის მეორე დღე ქართველთათვის უფრო შედეგიანი გამოდგა — 2 ოქროს, 1 ვერცხლის და 3 ბრინჯაოს მედალი. აქედან ერთი ვერცხლი და ორი ბრინჯაო გოგონებს ეკუთვნით. თინათინ ქულოსაშვილს (60კგ) მოლდოველ ანა რეპიდასთან გამარჯვებაც შეეძლო, მაგრამ დიდი მონდომების მიუხედავად, ვერას გახდა. არადა, გოგონებში ევროპის ჩემპიონობა გამორჩეული ამბავი იქნებოდა.

ბიჭებმა, წინა დღისგან განსხვავებით, ხასიათი თავადაც გამოიკეთეს და სასახლეში შეკრებილი მცირერიცხოვანი გულშემატკივრებიც გაახარეს. ორივე ჩემპიონმა — ლევან წიკლაურმა (82კგ) და მირიან პავლიაშვილმა (100კგ) — რუსი სამბისტები წააქციეს. წიკლაურმა ალექსეი ხარიტონოვთან პატარა გმირობა ჩაიდინა. მთელი შეხვედრის მანძილზე დამაჯერებლად კი იგებდა და ანგარიშიც 5:0 მიჰყავდა, მაგრამ ბოლოსკენ რუსმა შებოჭა და წიკლაურმა 36 წამის განმავლობაში აუტანელ ტკივილს გაუძლო, ხელი არაფრის დიდებით არ დაარტყა დანებების ნიშნად და ჩემპიონიც გახდა.

მირიან პავლიაშვილმა სერგეი სამოლოვიჩს მცირე შანსიც არ დაუტოვა, შეხვედრის შუისკენ ლამაზი გდებით 4 ქულა აუღო და დარჩენილი დროც დამაჯერებლად ჩაამთავრა.

ქართველებმა გუნდურ ჩათვლაში მესამე ადგილი დაიკავეს რუსეთისა და ბელარუსის შემდეგ. სხვა რა? პირველი დღის მსგავსად, სპორტის სასახლეში რუსეთის ჰიმნი იმდენჯერ აჟღერდა, ზოგიერთი სტუმარი ჩვენი მეზობლების ჰიმნს ღიღინებდა კიდეც... კიდევ, წამყვანი ისევ რუსულად გვაცნობდა ინფორმაციას. ჟურნალისტების ატეხილი ალიაქოთი ამ ამბავთან დაკავშირებით დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

ეჰ, რას ვიზამთ, სამბოს გარდა, სხვაც ბევრი რამ გვაქვს სასწავლი ქართველებს...

საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატი 2 ოქროს, 2 ვერცხლისა და 5 ბრინჯაოს მედლით დაასრულა. დღეს კი ხალიჩა საბრძოლო სამბოს მიმდევრებს დაეთმობათ.

ლექსო მაისურაძე

ქალები	კაცები
52 კგ	57 კგ
1. მარია ბროსკურა (რუსეთი)	1. სერგეი იალიშევი (რუსეთი)
2. მარინა ჟარსკაია (ბელარუსი)	2. ანტონ მაშკოვიჩი (ბელარუსი)
3. გულნაზი თინკაშვილი (საქართველო)	3. ავთანდილ ცინცაძე (საქართველო)
3. ოლგა ლაზაროვი (უკრაინა)	3. ალექსი პოლტავეცი (უკრაინა)
60 კგ	68 კგ
1. ანა რეპიდა (მოლდოვა)	1. დმიტრი ბაზილევი (ბელარუსი)
2. თინათინ ქულოსაშვილი (საქართველო)	2. ნიკიტა კლეცკოვი (რუსეთი)
3. არინა ალექსანდროვა (რუსეთი)	3. არენ მეჰრანიანი (სომხეთი)
3. განა სოლდსკიხი (უკრაინა)	3. ემილ ჰასანოვი (აზერბაიჯანი)
68 კგ	82 კგ
1. ოლგა უსოლტცევა (რუსეთი)	1. ლევან წიკლაური (საქართველო)
2. მარია სენიუკი (უკრაინა)	2. ალექსეი ხარიტონოვი (რუსეთი)
3. მარია იანჩევა (ბულგარეთი)	3. ალექსეი სტეფანკოვი (ბელარუსი)
3. ევიჯა ბუტიკე (ლატვია)	3. ზაურ ფაშაევი (აზერბაიჯანი)
80 კგ	100 კგ
1. მარია ორიაშკოვა (ბულგარეთი)	1. მირიან პავლიაშვილი (საქართველო)
2. აქსანა აბლამსკაია (ბელარუსი)	2. სერგეი სამოლოვიჩი (რუსეთი)
3. ნინო ოძელაშვილი (საქართველო)	3. ანარ ალიევი (აზერბაიჯანი)
3. ანასტასია მატროსოვა (უკრაინა)	3. კირილ ვოლოვიკი (უკრაინა)

მიხეილ ბერიშვილი და ვიქტორ სანიკიძე სტუდენტებს ოლ სტარის ბილეთებით ასაჩუქრებენ

ოლ სტარი ხუთეულებით შეივსო

რეგულარული ჩემპიონატი დასრულდა და სანამ პლეი ოფი დაიწყებოდეს, 5 მაისს სპორტის სასახლეში სუპერლიგის ოლ სტარი გაიმართება, რომელშიც ეროვნული ჩემპიონატის „ყველა ვარსკვლავი" მიიღებს მონაწილეობას.

ორი კვირა მიმდინარეობდა და გუშინ დამთავრდა საოლსტარო გამოკითხვა. კალათბურთის ფედერაციის ვებგვერდზე (gbf.ge) ნებისმიერ ქომაგს შეეძლო, სათავისო ხუთეულისთვის მიეცა ხმა. გუნდები მეოთხე წრის ცხრილის გათვალისწინებით ლუწ-კენტებად დაჯგუფდნენ, ანუ პირველ, მესამე და მეხუთე ადგილებზე გასულნი მეორე, მეოთხე და მეექვსეს წინააღმდეგ. ოლ სტარის მეტოქე გუნდებს პირობითად მწვრთნელთა სახელები დაერქვათ — დავით უსტიაშვილის (ენერჯი-ინვესტი) გუნდი ნუგზარ ჭეიშვილის (თსუ) წინააღმდეგ.

საინტერნეტო გამოკითხვას მხოლოდ ხუთეულის წევრები უნდა გამოევლინა, დანარჩენ 7-7 მოთამაშეს კი მწვთრნელები დაასახელებენ.

მაშ ასე, გამოკითხვამ საოლსტარო ხუთეულები ამ მოთამაშეებით შეავსო:

დავით უსტიაშვილის გუნდი

უკანა ხაზი: გიორგი გამყრელიძე (ენერჯი-ინვესტი), ბესიკ ლეჟავა (ენერჯი-ინვესტი)

ფორვარდები: ვიქტორ სანიკიძე (დინამო), მიხეილ ბერიშვილი (ვითა)

ცენტრი: იოვან სტეფანოვი (ენერჯი)

ნუგზარ ჭეიშვილის გუნდი

უკანა ხაზი: კოტე ტულუში (ავიამშენი), შიო ხეცურიანი (თსუ)

ფორვარდები: დავით ბარბაქაძე (თსუ), მიხეილ ფანჩულიძე (თსუ)

ცენტრი: რიჩარდ მათიაშვილი (ავიამშენი)

გამოკითხვის სრული შედეგები

დავით უსტიაშვილის გუნდი

უკანა ხაზი: **გიორგი გამყრელიძე** — 765 ხმა, **ბესიკ ლეჟავა** — 465, მიხეილ ჩიტაშვილი (ენერჯი-ინვესტი) — 441, არჩილ ჟღენტი (დინამო) — 362, გიორგი მარხაშვილი (ვითა) — 312, ლექსო ლაფანაშვილი (დინამო) — 286, გიორგი გულისაბედაშვილი (დინამო) — 241

ფორვარდები: **ვიქტორ სანიკიძე** — 643, **მიხეილ ბერიშვილი** — 516, გიორგი მარკოიშვილი (ვითა) — 440, რევაზ დიდია (ენერჯი-ინვესტი) — 338, ზვიად ბაბიაშვილი (ენერჯი-ინვესტი) — 284, ჟოლიეტ ტუჯანი (ენერჯი-ინვესტი) — 273; დავით გვიმრაძე (ვითა) — 214, ვლადიმერ ბეჟანიშვილი (ვითა) — 188

ცენტრი: **იოვან სტეფანოვი** — 643, რჩაზ ათანელიშვილი (დინამო) — 285, დავით ბერძენიშვილი (ვითა) — 272, გულივერ ახალკაცი (დინამო) — 266

ნუგზარ ჭეიშვილის გუნდი

უკანა ხაზი: **კოტე ტულუში** — 756, **შიო ხეცურიანი** — 521, გიორგი ნიკოლაძე (ავიამშენი) — 425, დავით ბერიშვილი (თსუ) — 329, დავით არწივაძე (თსუ) — 301, ირაკლი ხოშტარია (ავიამშენი) — 301, ირაკლი ბერიშვილი (მაკაბი) — 239

ფორვარდები: **დავით ბარბაქაძე** — 679, **მიხეილ ფანჩულიძე** — 622, ირაკლი კეიდია (თსუ) — 435, ვახტანგ მინაშვილი (ავიამშენი) — 404, თორნიკე ნინიაშვილი (ავიამშენი) — 241, გიორგი პირველაშვილი (მაკაბი) — 183, ზურაბ კორკოტაძე (მაკაბი) — 174, დავით იმნაძე (ავიამშენი) — 158

ცენტრი: **რიჩარდ მათიაშვილი** — 644, გიორგი ყველაშვილი (თსუ) — 292, სოსო შერმადინი (მაკაბი) — 265, პლასიდე როდუმტა (ავიამშენი) — 265

გუშინვე გაიმართა ოლ სტარის სარეკლამო აქცია, რომელსაც ორგანიზება კალათბურთის ფედერაციისა და სუპერლიგის ხელმძღვანელობამ გაუკეთა.

ყველა ვარსკვლავის მატჩის სამმა მონაწილემ — მიხეილ ბერიშვილმა, ვიქტორ სანიკიძემ და მიხეილ ფანჩულიძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტებს ოლ სტარზე დასასწრები ბილეთები დაურიგეს.

ახალგაზრდობამ დიდი ინტერესი გამოიჩინა მოახლოებული ოლ სტარისადმი და კალათბურთელებს საჩუქრად გამზადებული ბილეთები თვალის დახამხამებაში გამოუცარიელა. როგორც სუპერლიგის დირექტორმა გიორგი ზამბახიძემ აღნიშნა, სარეკლამო აქციები სხვა სასწავლებლებშიც გაიმართება და 5 მაისს სპორტის სასახლეში ბლომად მაყურებელი მოვა ქართული ოლ სტარის სანახავად.

ირაკლი პერტაია

გერმანული მოსავალი

24-26 **აპრილს** გერმანიის ქალაქ ოდერის ფრანკფურტში საერთაშორისო ტურნირი გაიმართა ახალგაზრდა ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა შორის. საქართველოს ნაკრები ტურნირზე ექვსი სპორტსმენით წარდგა და ექვსივემ უწია კვარცხლბეკს. ჩვენმა მოჭიდავეებმა 3 ოქროს და სამიც ბრინჯაოს მედალი მოინაგრეს და არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავეს. ოქროს მედლები 50, 74 და 84 კილოგრამ წონით კატეგორიებში, შესაბამისად, ზურაბ მაჭარაშვილმა, არსენ კახაბრიშვილმა და გიორგი ღვინიაშვილმა მოიპოვეს, ბრინჯაოს მედლებს კი უჩა შავაძე (60კგ), ვასილ იმერლიშვილი (96კგ) და რამინი შაქარაშვილი (120 კგ) დაეუფლნენ.

აღნიშნულთან დაკავშირებით ფალავანთა კლუბში პრესკონფერენცია ჩატარდა, რომელზეც ჭიდაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა თემურ ყაზარაშვილმა, ბერძნულ-რომაულ სტილით მოჭიდავეთა ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ლადო ადეიშვილმა და საერთაშორისო კატეგორიის მსაჯმა ზაზა ჯიბლაძემ ისაუბრეს.

თემურ ყაზარაშვილი: წარმატებული ტურნირი გამოდგა ახალგაზრდა ქართველი ფალავნებისთვის. ბიჭები მშვენივრად გაისარჯნენ და შედეგმაც არ დააყოვნა.

ლადო ადეიშვილი: დამაკმაყოფილებელი შედეგი ვაჩვენეთ. პატარა ხარვეზებიც გვქონდა, მაგრამ იმედია, ამას გამოვასწორებთ. რაც მთავარია, გერმანიაში ყველა კომპეტენტურმა პირმა აღნიშნა, რომ ქართველი მოჭიდავეები განსაკუთრებული ტექნიკურობითა და ფიზიკური მომზადებით გამოირჩეოდნენ.

ზაზა ჯიბლაძე: შეჯიბრებამ კორექტულად ჩაიარა, ცუდს ვერაფერს ვიტყვი, ნამდვილად მაღალი დონის მსაჯობა იყო.

ზურაბ მიგრიაული

NBA პლეი ოფი

ახალი თაოსბის ვნებანი

პოლმა კიდი წაშალა, პარკერმა ნეში ჩააქრო

29 აპრილი

აღმოსავლეთი

დეტროიტი 3:2 ფილადელფია

დეტროიტი 98:81 ფილადელფია

დეტროიტი: ბილაფსი (21 ქულა, 12 პასი), ჰამილტონი (20), ვოლუსი (19 ქულა, 6 მოხსნა, 6 დაფარება), პრინსი (17)
ფილადელფია: იგუდალა (21), უილიამსი (16), მილერი (13)

რაც სერია დაიწყო, „დეტროიტს" ერთთავად მდევრის როლში ყოფნა უწევდა და ამ ნერვიულ სიტუაციას მეხუთე თამაშის შემდეგღა დაღწია თავი, როცა შინ დაამარცხა „ფილადელფია" და პროგნოზებში მინიჭებული ფავორიტის სტატუსი ბოლოს და ბოლოს გაამართლა.

მასპინძლებს იოლად კი გამოუვიდათ გამარჯვება, რადგან ფილადელფიელებისგან ნაწვნევი მწარე ალიყურების შემდეგ თავი აიტკივეს და მთელი ძალით თამაში იკადრეს. შედეგად სტუმრები პირველივე მეოთხედში გატყდნენ, როცა 14 ქულით ჩამორჩნენ და მერეც ათ ქულაზე მეტად ვეღარ შეამცირეს სხვაობა.

„ეს გადამწყვეტი თამაში იყო და თავს ვერ მივცემდით ჩაძინების უფლებას" - ამბობდა ნამატჩევს „დეტროიტის" თავკაცი ფლიპ სანდერსი.

მისმა ფილადელფიელმა ოპონენტმა მორის ჩიკსმა კი „ტერმინატორის" შემდეგ ამერიკაში უსაზღვრო პოპულარობამოხვეჭილი ფრაზა დატოვა — „მე დავბრუნდები!"

დასავლეთი

ნიუ ორლეანი 4:1 დალასი

ნიუ ორლეანი 99:94 დალასი

ნიუ ორლეანი: ვესტი (25), პოლი (24 ქულა, 15 პასი, 11 მოხსნა), პარგო (17), სტოიაკოვიჩი (11), ჩანდლერი (10 ქულა, 14 მოხსნა)
დალასი: ნოვიცკი (22 ქულა, 13 მოხსნა, 6 პასი), კიდი (14 ქულა, 9 პასი), ტერი (13), ჰოვარდი (12), ბასი (11), სტეკჰაუსი (11), ჯორჯი (11)

ნიუ ორლეანმა წლეულს ოლ სტარსაც უმასპინძლა და ნბა-ს ყველა მოქმედი ვარსკვლავი ერთად იხილა, მაგრამ რამდენიმე წლის წინ „კატრინას" მიერ მიწისაგან პირისა აღგვილი ეს ქალაქი მაშინაც კი არ ყოფილა კალათბურთით ისე „დაკმაყოფილებული", როგორც ამ დღეებში.

„დალასთან" სერიის მეხუთე მატჩის დაწყებამდე „ნიუ ორლეან ჰორნეთსის" თავკაც ბაირონ სკოტს სეზონის საუკეთესო მწვრთნელის პრიზი გადასცეს, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო, მთავარი თვითონ თამაში და მისი შედეგი გახლდათ: „კრაზანებმა" ხუთ ცდაში მეოთხედ დაამარცხეს „დალასი" და ნიუ ორლეანში გადმობარგების, ანუ 2002 წლის შემდეგ პირველად დაძლიეს პლეი ოფის პირველი წრე. ცხადია, ბაირონ სკოტს ამ წარმატებაში ლომის წილი უდევს, მაგრამ მოედანზე მთავარი კრის პოლი გახლდათ, ვისსაც მისისიპის-პირელებმა ძეგლი უნდა დაუდგან.

ციცქნა პოლმა მთელი სერიის განმავლობაშიც და ასევე ამ თამაშშიც ბავშვივით დაჩაგრა არცთუ შორეულ წარსულში ასოციაციის გაუსაჩივრებლად უძლიერესი გამთამაშებელი ჯეისონ კიდი და კიდევ ერთხელ აგრძნობინა, შენმა მატარებელმა ჩაიარა, ახლა მე ვარ საუკეთესო. სერიაც მოხდენილად დაასრულა მთავარმა „კრაზანამ" — სამმაგი დუბლი შეასრულა, რაშიც კიდს ადრე ბადალი არ მოეძებებოდა, მაგრამ პოლთან გადახდილ ხუთ საპლეიოფო დუელში ახლოსაც კი არ მდგარა სამმაგთან, ორმაგიც კი არ გაუკეთებია.

სან ანტონიო 4:1 ფინიქსი

სან ანტონიო 92:87 ფინიქსი

სან ანტონიო: პარკერი (31 ქულა, 8 პასი), დანკანი (29 ქულა, 17 მოხსნა)
ფინიქსი: დიაუ (22 ქულა, 8 მოხსნა, 8 პასი), სტუდემაიერი (15 ქულა, 11 მოხსნა), ბელი (14), ონილი (13), ნეში (11)

პლეი ოფი ასევე უსახელოდ დაასრულა კიდევ ერთმა დიდმა გამთამაშებელმა, ფინიქსელმა სტივ ნეშმა, რომელსაც, ასევე მასზე ახალგაზრდა ოპონენტმა მოუღო ბოლო. „სან ანტონიოს" ფრანგ გამთამაშებელ ტონი პარკერს სეზონი ვერ გამოუვიდა მთლად ვასრკვლავური, მაგრამ პლეი ოფში კი სრულად გაიბრწყინა და თვით ნეშის ვარსკვლავიც კი ჩააქრო. „სან ანტონიო" და „ფინიქსი" იმდენად დიდი და პლეი ოფებში გათქვეფილი გუნდები არიან, რომ თამაშს ერთ კაცზე არ ააწყობენ, მაგრამ ამ სერიაში პარკერ-ნეშის დუელი მაინც თვალს იტაცებდა, მიუხედავად იმისა, რომ ორივე გუნდს ბლომად ჰყავს სხვა კაშკაშებიც. და პარკერმა აშკარად აჯობა ნეშს.

გადამწყვეტი ფაქტორის როლი ვერც „ფინიქსში" წლეულს გადასულმა შაკილ ონილმა შეასრულა და ვერც ძველმა ფინიქსელმა ამარე სტუდემაიერმა. „სან ანტონიოს" დაცვამ ეს ორივე გოლიათი ჩაყლაპა.

იუტა 3:2 ჰიუსტონი

ჰიუსტონი 95:69 იუტა

ჰიუსტონი: მაკგრეიდი (29), სკოლა (18 ქულა, 12 მოხსნა), ელსტონი (14)
იუტა: ბუზერი (19 ქულა, 10 მოხსნა), ოქური (14 ქულა, 10 მოხსნა), უილიამსი (13)

მანამდე „ჰიუსტონი" შინ ორივე შეხვედრაში ჩაფლავებულიყო და ახლა ესეც რომ დაეთმო „იუტასთვის", მეორე წრეში გასეირნების ოცნებას უნდა გამოთხოვებოდა, მაგრამ შეძლო და კერკეტი მეტოქე პირველივე ტაიმში გატეხა. ტრეისი მაკგრეიდის კიდევ ერთი კარგი თამაში ჩაატარა. ისე კი, მას ცუდის უფლება აღარც აქვს, გასვლაც უნდა მოაგებინოს „რაკეტებს" და შემდეგ მეშვიდე შინაური შეხვედრაც, თორემ „რაკეტას" კი არა, ისევ მეორეკლასელის შურდულს დაუძახებენ.

ივანე კობიაშვილი

დღეს სკოტია რჩეული

„ნიუ ორლეან ჰორნეთსმა" ოკლაჰომა სიტიდან დაბრუნების შემდეგ ჩატარებული ბრწყინვალე სეზონისთვის კიდევ ერთი ჯილდო მიიღო — „კრაზანების" თავკაცი ბაირონ სკოტი სეზონის საუკეთესო მწვრთნელად დასახელდა. 125 გამოკითხული ჟურნალისტინან 70-მა სკოტს მისცა პირველი ხმა. 23 პირველი ხმით მეორე იყო „ბოსტონის" დამრიგებელი გლენ „დოკ" რივერსი, 17 პირველი ხმით კი გამოკითხვაში მესამე ადგილზე გავიდა „ჰიუსტონის" მენტორი რიკ ადელმანი. ეს პრესტიჟული პრიზი კვლავ არ ერგო „იუტას" მარადიულ მშენებელ ჯერი სლოუნს, ვინაც ერთხელაც არ დააფასა მედიამ და ახლაც 6 პირველი ხმით მხოლოდ მეექვსე ადგილზე „გაიყვანა".

მაგრამ სკოტის გუნდი ისეთი მძლავრ სეზონს ატარებს, რომ ამ სპეციალისტის დაუფასებლობა დაუნახაობა იქნებოდა. „ნიუ ორლეანმა" რეგულარული ჩემპიონატი კლუბის ისტორიაში სარეკორდოდ ბევრი, 56 გამარჯვებით დაასრულა და მთელს ასოციაციაში უძლიერეს დივიზიონში პირველობისთვის ბრძოლაში აჯობა სამივე ტეხასელ გიგანტს — „სან ანტონიოს", „ჰიუსტონსა" და „დალასს", შემდეგ კი ეს უკანასკნელი პლეი ოფის პირველ წრეშიც 4:1 შემუსრა და მეორეში ჩემპიონ „სან ანტონიოს" ემუქრება. სკოტმა კარგი სპეციალისტის სახელი დაიგდო „ნიუ ჯერსიში" მუშაობისას, როცა ეს საშუალო გუნდი გრანდად აქცია და ორჯერ, 2002 და 2003 წლებში ათამაშა პლეი ოფის ფინალში.

სეზონის საუკეთესო მწვრთნელები (1983 წლიდან)

1983	დონ ნელსონი (მილუოკი)
1984	ფრენკ ლეიდენი (იუტა)
1985	დონ ნელსონი (მილუოკი)
1986	მაიკ ფრატელო (ატლანტა)
1987	მაიკ შულერი (პორტლენდი)
1988	დაგ მო (დენვერი)
1989	კოტონ ფიცსიმონსი (პორტ.)
1990	პატ რაილი (ლეიკერსი)
1991	დონ ჩინი (ჰიუსტონი)
1992	დონ ნელსონი (გ. სტეიტი)
1993	პატ რაილი (ნიუ იორკი)
1994	ლენი უილკენსი (ატლანტა)
1995	დელ ჰარისი (ლეიკერსი)
1996	ფილ ჯეკსონი (ჩიკაგო)
1997	პატ რაილი (მაიამი)
1998	ლარი ბერდი (ინდიანა)
1999	მაიკ დანლივი (პორტლენდი)
2000	დოკ რივერსი (ორლანდო)
2001	ლარი ბრაუნი (ფილადელფია)
2002	რიკ კარლაილი (ინდიანა)
2003	გრეგ პოპოვიჩი (სან ანტონიო)
2004	ჰუბი ბრაუნი (მემფისი)
2005	მაიკ დანტონი (ფინიქსი)
2006	აივერი ჯონსონი (დალასი)
2007	სემ მიტჩელი (ტორონტო)
2008	ბაირონ სკოტი (ნიუ ორლეანი)

როგორ უნდა უთხრა უარი მაიკლ ჯორდანს?



ნიუიორკული ფიასკოს შემდეგ ლარი ბრაუნს კარიერა არ დაუსრულებია. თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო საკალათბურთო მოძღვარი თურმე მხოლოდ გონებას და ნერვებს ასვენებდა და ახალი გამოწვევის მოლოდინში გარინდულიყო. ეს გამოწვევა დაახლოებით იქიდან გამოჩნდა, საიდანაც ამ მოხუცმა კაცმა დიიდი ხნის წინ დაიწყო მრავლისდამტევი კარიერა.

დაიწყო ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტში და შემდეგ კიდევ რვა სტუდენტურ თუ ნბა-ს გუნდში იმუშავა ბრაუნმა. ყველგან წარმატებული იყო გარდა „ნიუ იორკისა". ამ ჭაობად ქცეულ კლუბში მისმა ავტორიტეტმაც კი ვერ გაჭრა და ბრაუნს ორი წლის წინ იქიდან წამოსვლა მოუხდა.

67 წლის ბრაუნი ახლა კვლავ ჩრდილოეთ კაროლინაში აღმოჩნა, სადაც „შარლოტ ბობქეთსის" ერთ-ერთმა მფლობელმა მაიკლ ჯორდანმა მიიწვია. „როგორ უნდა უთხრა უარი მაიკლ ჯორდანს?" - გაოცებით გაშალა ხელი ამ მოხუცმა, ვინიერმა კაცმა და ამ კლუბთან ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

პატ რაილი საბოლოოდ დაიღალა

დიდი პატ რაილი მგონი მართლა დაიღალა და საბოლოოდ გადადგა. და მისი ყველას ესმის. ძნელია ერთდროულად იყო კლუბის პრეზიდენტიც და მწვრთნელიც, მით უმეტეს, როცა 63 წლის ხარ და მით უმეტეს, რომ შენს გუნდს ჰქონდა არსებობის მანძილზე ყველაზე ცუდი სეზონი.

5 წლის წინაც კი გადადგა მწვრთნელობიდან და გუნდი პირველ ასისტენტ სტენ ვან განდის ჩაბარა, მაგრამ მოთმინება არ ეყო, წელიწადნახევარის შემდეგ ისევ დანიშნა საკუთარი თავი მთავარ მწვრთნელად და „მაიამი" 2006 წელს გააჩემპიონა.

პატ რაილი 1995 წლიდანაა „მაიამი ჰითის" პრეზიდენტიც და თავკაციც და გუნდი მთელი ეს ხანი დიდი ჩავარდნების გარეშე გამოატარა, მაგრამ ბოლო სეზონი პირდაპირ კატასტროფული გამოვიდა და პატ მასწავლებელიც მიხვდა, რომ წასვლის დროა.

„მთლიანად" არ წასულა, პრეზიდენტად დარჩა და გუნდი ჩააბარა ვინმე ერიკ სპოლსტრას. ორი სიტყვა ამ ახალბედაზე: სპოლსტრა, ანუ „სპო", როგორც მას მაიამიში ეძახიან, „ჰითში" რაილის მისვლის დღიდან მუშაობს, მაგრამ თავიდან ისეთი უმნიშვნელო „ვინმე" გახლდათ, რომ რაილის ყურადღების არეში მხოლოდ სამი წლის შემდეგ მოექცა, შემდეგ კი კლუბის და საქმის მიმართ გამოჩენილი ერთგულების წყალობით თანდათან წაიწია კარიერის კიბეზე და ასისტენტობამდე დაწინაურდა. სპოლსტრა ახლა მხოლოდ 36 წლისაა, მაგრამ მისი ასაკით შეფიქრიანებულ ხალხს რაილი ამშვიდებს, მერე რა მოხდა, მეც მაგხელა ვიყავი, „ლოს ალჯელეს ლეიკერსი" რომ ჩამბარეს თავის მეჯიქ ჯონსონიანად და ქარიმ აბდულ-ჯაბარიანადო. მოკლედ, ამ შავტუხა „ყმაწვილს" თავად პატ რაილი უცხადებს ნდობას და ვნახოთ, როგორ უშველის სპოლსტრა „მაიამის".

ივანე კობიაშვილი

პატარა კაცებმა დიდი მედლები წაიღეს

აღდგომის დღეებში სპორტული დიდების მუზეუმი გაიჭურდა

საქართველოს სპორტული დიდების მუზეუმი, რომელიც ილია ჭავჭავაძის 49-ა-ში მდებარეობს, ჯერჯერობით გაურკვეველ ვითარებაში გაქურდეს.

გასულ სამშაბათს მუზეუმის თანამშრომელმა შეამჩნია, რომ რამდენიმე მედალი აღარ იდო თავის ადგილზე. მუზეუმის პერსონალმა მომხდარი სასწრაფოდ პატრულის თანამშრომლებს აცნობა. აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და დაიწყო გამოძიება. გამოირკვა, რომ სანამ სააღდგომო უქმეები დაიწყებოდა, ყველა მედალი ადგილზე იყო. ეს ამბავი მუზეუმის ერთ-ერთმა თანამშრომელმა აცნობა გამომძიებელს. ასე რომ, მედლების ბოლო დათვალიერებიდან ძარცვამდე რამდენიმე დღე გავიდა და ამის გამო ქურდობის ზუსტი დროის დადგენა, ამ ეტაპზე საძნელო საქმეა.

ვერც იმას გეტყვით, რა ვითარებაში მოიპარეს მედლები. ერთი კი ფაქტია, რომ ექსპონატების დამცავი ბარიერები დაზიანებული არ გახლავთ. ქურდობა მოხდა ყველასგან და ყველაფრისგან შეუმჩნევლად. ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე ამას ამბობენ საქმეში ჩართული კომპეტენტური პირები.

ცნობილია, რომ დაიკარგა ზურაბ ზვიადაურის, გიორგი ასანიძის, შოთა ხაბარელის, რობერტ შავლაყაძის ოლიმპიური ოქროს მედლები. იმასაც გეტყვით, რომ შეიძლება, ეს სია არასრულია. ასევე მოიპარეს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონ-პრიზიორთა მედლებიც, თან მძარცველმა ისინი ამორჩევით წაიღო, ანუ მუზეუმში არსებული მრავალი ექსპონატიდან მხოლოდ უაღრესად გამორჩეული ნივთები დაიკარგა.

საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, საგამოძიებო ორგანოები საკმაოდ კონსპირაციულად მუშაობენ. ამიტომ გვიჭირს დეტალური ინფორმაციის მოწოდება.

სპორტული დიდების მუზეუმი საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში მდებარეობს და ამავე დეპარტამენტის მეთვალყურეობის ქვეშაა. მომხდართან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავჯდომარემ *დავით ნამგალაურმა:* „სამწუხარო ფაქტი მოხდა. ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, თუ შეიძლებოდა, ვინმეს ასეთი რამ მოსვლოდა თავში. მიზანმიმართული ქურდობა იყო. მედლები ამორჩევით წაიღეს. ორ წელზე მეტია, ეს მუზეუმი არსებობს და ასეთ ფაქტს ჯერ არ ჰქონია ადგილი. მძარცველებს ვთხოვ, დროზე მოეგონ გონს და დააბრუნონ მედლები. მივმართავ, საზოგადოებასაც, რომ ამ საქმის გარშემო ნებისმიერი ინფორმაცია ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. თუ შეიტყობთ რამეს, აუცილებლად გვაცნობეთ“.

ჩვენთან საუბარში *შოთა ხაბარელმაც* გამოთქვა გულისტკივილი მომხდარის გამო: „არ ვიცი, რა გითხრათ, საოცრად გულდაწყვეტილი ვარ. ჩემი ოლიმპიური მედლის ასლი წაიღეს, სხვადასხვა ტურნირებზე მოპოვებული მედლებიც გააყოლეს ხელს. არაადამიანური საქციელია. იმედია, გამოძიება ყველაფერს გაარკვევს“.

ზურაბ მიგრიაული

ჭადრაკი

ერთი სკამის ექვსი მსურველი

24 მაისს, როდესაც ახალი პარლამენტი უკვე არჩეული გვეყოლება, ჭადრაკის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა და ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები გაიმართება.

ამ წუთისთვის პრეზიდენტობაზე ექვსი კანდიდატი აცხადებს პრეტენზიას: დიდოსტატების, ლევან ფანცულაიასა და გია გიორგაძის შემდეგ პრეზიდენტობის სურვილი გამოთქვეს აფხაზეთის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარე ნოდარ გელენავამ, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა, ვეტერანთა შორის მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონმა თამარ ხმიადაშვილმა და მწვრთნელებმა, ვახტანგ ბოჭორიძემ და გიორგი ხომერიკმა.

ᲓᲘᲓᲘᲡ ᲒᲠᲐᲜ-ᲞᲠᲘ

ᲑᲐᲥᲝ. ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘ. 20 ᲐᲠᲘᲚᲘ-6 ᲛᲐᲘᲡᲘ

VIII ᲢᲣᲠᲘ

ვუგარ გაშიმოვი (აზერბაიჯანი)	0,5:0,5	თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი)	
ვან იუე (ჩინეთი)	0,5:0,5	მაიკლ ადამსი (ინგლისი)	
მაგნუს კარლსენი (ნორვეგია)	0,5:0,5	ივან ჩეპარინოვი (ბულგარეთი)	
გატა კამსკი (აშშ)	0,5:0,5	ეტიენ ბაკრო (საფრანგეთი)	
შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი)	1:0	სერგეი კარიაკინი (უკრაინა)	
პიოტრ სვიდლერი (რუსეთი)	0,5:0,5	ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი)	
ერნესტო ინარკიევი (რუსეთი)	1:0	დავიდ ნავარა (ჩეხეთი)	

1. ვან იუე	5
2. ვუგარ გაშიმოვი	5
3. ალექსანდრ გრიშჩუკი	5
4. მაგნუს კარლსენი	4,5
5. გატა კამსკი	4,5
6. შაჰრიარ მამედიაროვი	4
7. თეიმურ რაჯაბოვი	4
8. ეტიენ ბაკრო	4
9. პიოტრ სვიდლერი	4
10. მაიკლ ადამსი	4
11. სერგეი კარიაკინი	3,5
12. ივან ჩეპარინოვი	3
13. ერნესტო ინარკიევი	3
14. დავიდ ნავარა	2,5

ივანე გაანრისხდა

ლიდერია სამეულში არაფერი შეცვლილა, მოწინავეებმა ყაიმებით დაასრულეს პარტიები და თავიანთი ადგილები შეინარჩუნეს.

მათი დაწევის კარგი შანსი აქვთ მაგნუს კარლსენს და გატა კამსკის. პატარა ნორვეგიელმა წლეულს სუპერტურნირებზე გამოიჩინა თავი, ამერიკელმა კი დეკემბერში მსოფლიოს თასი მოიგო.

მერვე ტურში კარლსენი ივან ჩეპარინოვს შეხვდა და 51-ე სვლაზე დაუზავდა. 21 წლის ბულგარელი დიდოსტატი ამომავალ ვარსკვლავად ითვლება, თუმც ტურნირი საშინლად დაიწყო და ზედიზედ ოთხი პარტია წააგო. მან მდგომარეობა მომდევნო ტურებში შედარებით გაიუმჯობესა, სამი ქულა აიღო და ბოლო ადგილსაც ასცდა. კარლსენთან შეხვედრისას სლავს ფავორიტად არავინ მიიჩნევდა, თუმც ივანმა ბოლომდე იბრძოლა და ყველას დაუმტკიცა რომ ჩამოსაწერი არაა.

მოჭადრაკეებმა ინგლისური დებიუტი გაითამაშეს. ორთავემ მხედრები გამოაჭენა წინ, როქი გააკეთა და ერთმანეთის ჯარს დაერია. კარლსენმა მარცხენა ფლანგზე გადმოიტანა ყურადღება, ლაზიერ-ეტლი საომრად შეამზადა და იერიშებს მიმართა. ჩეპარინოვმა მომხვდურს დიდი წინააღმდეგობა დაახვედრა, თავის ტერიტორიაზე არ შეუშვა და ქულაც გააყოფინა.

ლაშა გეგეჭკორი

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ. 20 ᲐᲠᲘᲚᲘ - 4 ᲛᲐᲘᲡᲘ. ᲞᲚᲝᲕᲓᲘᲕᲘ. ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘ

სწრაფი ყაიმი

ქართველი კაცებიდან ჩემპიონობის რეალურ შანსს კვლავაც ლევან ფანცულაია ინარჩუნებს. მერვე ტურში ჩვენებური თეთრებით ჰოლანდიელ სერგეი ტივიაკოვს საკმაოდ მალე, მე-10 სვლაზე დაუზავდა და მოწინავეთა შორის პოზიციაც შეინარჩუნა. ლევანს 6 ქულა აქვს და ლიდერებს ნახევარი ქულით ჩამორჩება.

თანდათან თმობენ პოზიციებს ქალები. საქართველოს ჩემპიონი ნანა ძაგნიძე, ლელა ჯავახიშვილი, ნინო ბაციაშვილი, სალომე მელია და სოფო გვეტაძე ხუთ-ხუთი ქულით, მეათე-მეოცე ადგილებს იყოფენ და ლიდერებს მთელი ქულით ჩამორჩებიან.

ლელა ჯავახიშვილი

ლაშა გეგეჭკორი

ᲰᲝᲙᲔᲘ



ᲞᲚᲔᲘ ᲝᲤᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲠᲝ

29 ᲐᲠᲘᲚᲘ

ᲠᲔᲘᲜᲯᲔᲠᲡᲘ 3:5 ᲞᲘᲢᲡᲑᲣᲠᲒᲘ

1:3 2:1 0:1

სერია პიტსბურგს მიჰყავს 3:0

0:1 ჰოსა (2, დიუპუი, კროსბი), 1:1 სტრაკა (15, იაგრი, მარა), 1:2 ლარაკი (17, მალკინი, სიკორა), 1:3 მალკინი (18, უმრ. გონჩარი, ჰოსა), 2:3 კალაჰენი (33, გომესი, ეკერი), 3:3 იაგრი (34, გომესი, სტრაკა), 3:4 მალკინი (38, უმრ. კროსბი, გონჩარი), 3:5 მელოუნი (43, ლეტანგი, სიკორა)

ᲓᲐᲚᲐᲡᲘ 2:1 ᲡᲐᲜ ᲮᲝᲡᲔ

0:1 0:0 1:0 1:0 (ᲝᲕᲔᲠᲗᲐᲘᲛᲨᲘ)

სერია დალასს მიჰყავს 3:0

0:1 მარლო (20, უმც. უასისტენტოდ), 1:1 ზუბოვი (41, უმრ. რიბეირო, რიჩარდსი), 2:1 ნორსტრომი (65, რიბეირო, ნისკანენი)

ᲙᲝᲚᲝᲠᲐᲓᲝ 3:4 ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲘ

1:2 1:2 1:0

სერია დეტროიტს მიჰყავს 3:0

1:0 მაკლეოდი (6, ჰენსიკი, არნასონი), 1:1 დაციუკი (13, უმრ. ზეტერბერგი, ლიდსტრომი), 1:2 ფრენცენი (14, ლებდა, სამუელსონი), 1:3 დაციუკი (27, რაფალსკი, ჰოლმსტრომი), 2:3 ბრიუნე (29, უმრ. ლაილზი, საკიკი), 2:4 ზეტერბერგი (33, უმრ. დაციუკი, სამუელსონი), 3:4 ბრიუნე (46, უმრ. საკიკი, სალეი)

ᲞᲚᲔᲘ ᲝᲤᲘᲡ ᲗᲔᲗᲠᲘ ᲓᲠᲝᲨᲔᲑᲘ

იარომირ იაგრმა მარკ-ანდრე ფლერის ვერაფერი მოუხერხა

ᲞᲚᲔᲘ ᲝᲤᲘ მაყურებელს დაძაბული და უკომპრომისო ბრძოლების გამო უყვარს — აქ რეგულარული ჩემპიონატის შედეგებს მნიშვნელობა ეკარგება, რადგანაც ნებისმიერი გუნდი ბოლომდე ომობს და გამარჯვების შანსი ყველას თანაბრად აქვს. მაგრამ წლევანდელი სტენლის თასის მეოთხედფინალები ამ მხრივ გამონაკლისად იქცა, რადგანაც ოთხიდან სამ წყვილში ჯერჯერობით ბრძოლის ნატამალიც არ არის და ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ სერიები ნაადრევად დასრულდება. მხოლოდ „მონრეალისა“ და „ფილადელფიის“ წყვილში შეინიშნება დაძაბულობა, თორემ „დეტროიტი“, „დალასი“ და „პიტსბურგი“ პირწმინდად ჯაბნიან მეტოქეებს და აკი ფაქტობრივად გაინაღდეს კიდეც კონფერენციების ფინალების საგზურები.

„პიტსბურგით“ დავიწყოთ, რომელიც მოულოდნელად ძალიან იოლად უმკლავდება გამოცდილ „რეინჯერსს“ — თანაც ახალგაზრდა „პინგვინები“ იმდენად დამაჯერებელ, ჭკუადამჯდარ და გამართულ ჰოკეის თამაშობენ, რომ ენა არავის მოუბრუნდება იმის სათქმელად, გუნდს უმართლებსო. ფანტასტიკურია მარკ-ანდრე ფლერი, რომელმაც კიდევ ერთი სოლიდური თამაში ჩაატარა და 36 დარტყმა მოიგერია. შეტევაში კი ევგენი მალკინი გამოირჩა, რომელმაც დუბლი შეასრულა და ერთხელაც შედეგიანად უპასა პარტნიორს. თამაშის წინ გაცხადდა, რომ რუსი ცენტრი სეზონის უძვირფასესი მოთამაშის ტიტულის მოგების ერთ-ერთი კანდიდატია მას კონკურენციას თანამემამულე ალექსანდერ ოვეჩკინი და „კალგარის“ კაპიტანი ჯერომ იგინლა გაუწევენ და მალკინმაც ეს ამბავი სათანადოდ აღნიშნა.

მეტოქეს პირწმინდად ჩაგრავს „დალასიც“, რომელსაც ამჯერად სამი პერიოდი არ ეყო „სან ხოსეს“ წასაქცევად — ამის მთავარი მიზეზი კალიფორნიელთა კარის დარაჯი ევგენი ნაბოკოვი იყო, რომელმაც რამდენჯერმე უეჭველი გოლისგან იხსნა თავისი გუნდი და საქმე ოვერტაიმამდე მიიყვანა. თუმც მეოთხე პერიოდის მეხუთე წუთზე რუსმა კიპერმა ვეღარაფერი მოუხერხა ტეხასელთა შვედი მცველის მატიას ნორსტრომის გასროლილს და „ზვიგენებმაც“ ზედიზედ მესამედ გამოფინეს თეთრი დროშა.

საქმე თითქმის მოათავა „დეტროიტმაც“, რომელიც თავის დაუძინებელ მტერ „კოლორადოს“ ძალიან დამაჯერებლად უმკლავდება. მიჩიგანელებს ამჯერად გამარჯვება მთავარმა დამრტყმელმა ძალამ — დაციუკ ზეტერბეგ ჰოლსტრომის სუპერსამეულმა მოუტანა, რომელმაც სამჯერ დაამწუხრა „ზვაები“. ამას ბოლო დროს დიდებულ ფორმაში მყოფმა იუჰან ფრეანცენმა კიდევ ერთი გოლიც დაურთო და „წითელფრთაიანები“ კომფორტულად დაწინაურდნენ. დენვერელებმა კი სცადეს გამოდევნება და მინიმუმამდე დაიყვანეს სხვაობა, მაგრამ ამის მეტს ვეღარას გახდნენ.

„კოლორადოს“ გულშემატკივრებს კი მხოლოდ ამ მცირე გამარჯვებით შეუძლიათ ინუგეშონ თავი — „ზვავთა“ კაპიტანმა ჯო საკიკმა 186-ე საპლეიფო ქულა მოაგროვა და ყველა დროს საუკეთესო მექულეთა სიაში მეშვიდე ადგილზე აინაცვლა, „დეტროიტის“ ლეგენდარულ კაპიტან სტივ აიზერმანს გადაასწრო.

ისე, საკიკს იმედი ჯერაც არ დაუკარგავს და ამბობს, ამ სიტუაციიდან გამოძრომაც შეიძლებაო, მაგრამ ამას ცოტა თუ დაიჯერებს — ნჰლ-ის 90 წლიან ისტორიაში, მხოლოდ ორმა გუნდმა („ტორონტომ“ 1942 წელსა და „აილენდერსმა“ 1975 წელს შეძლო 0:3-ის სათავისოდ შემოტრიალება, „კოლორადო“ კი ამის გამკეთებელს ნაკლებად ჰგავს, ისევე როგორც „სან ხოსე“ და „რეინჯერსი“.

კახა ლომაშვილი

Formula 1
რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№1 საავტომობილო ზეთი

რენოში დამწვრისას ჰკვირობენ



ფერნანდო ალონსომ „კატალუნია მონტმელო“ თავჩაქინდრულმა დატოვა

წლევანდელი საპრიველოჯორმულო ჩემპიონატის მეოთხე, და ამავდროულად, პირველი ევროპული ეტაპი, რომელიც გასულ უქმეებზე ბარსელონაში, „კატალუნია მონტმელოს“ ავტოდრომზე გაიმართა, უაღრესად არაერთგვაროვანი აღმოჩნდა „რენოსთვის“.

ფრანგული საჯინიბოს იტალიელი შეფი ფლავიო ბრიატორე ჯერ კიდევ სამი კვირის წინ, ბაჰრეინული დიდი პრიზის შემდეგ ამბობდა, ევროპაში სულ სხვა „რენოს“ იხილავთ, ჩვენ პროგრესის გზას ვადგავართ, თანაც გუნდში ორგზის ჩემპიონი ფერნანდო ალონსო გვყავს და მალე, ისევ ტოპ-გუნდებს შორის ძოგვეხსენიებენო.

„რენომ“ რომ პროგრესი განიცადა, ბარსელონურ სარბოლო უიქენდის ზუსტად მეორე დღეს, ანუ შაბათს, კვალიფიფიკაციისას ნათლად გამოჩნდა. გუნდის ორივე პილოტი — ალონსოცა და ნელსონ პიკე უმცროსიც კვალიფიკაციის მესამე წრეში გავიდნენ და ეგ კი არა, ნანდოს სულ მცირედი დააკლდა პოულამდე — მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა, „ფერარის“ ფინელმა პილოტმა კიმი რაიკონენმა უკანასკნელ წრეზე წამის ერთი მეასედით გაუმჯობესა ესპანელის შედეგი.

შესაბამისად, სტარტზე ალონსო მეორე, ანუ პირველ რიგში იყო და, მართალია, პირველივე მოსახვევში ერთი პოზიციით ჩამოქვეითდა, „რენოს“ ბოსებს პოდიუმის იმედი ჰქონდათ.

ამ იმედებს ცივი წყალი შუა გზაზე გადაესხა, როდესაც ესპანელის „რენოს“ ძრავამ ბოლი გაუშვა. ამ გაუთვალისწინებელმა ინციდენტმა „რენოს“ შეფებში სამწუხარო გაკვირვება გამოიწვია, რაც მოხდა, არანაირად არ უნდა მომხდარიყო, რაღაც გაუგებრობა მოხდა და ყველაფერს დაწვრილებით გამოვიკვლევთო.

ძრავების განხრით „რენოს“ ტექნიკური დირექტორი რობ უაიტი: „სანამ დაიწვებოდა, ფერნანდოს მანქანის ძრავა განგაშის არანაირ ნიშანს არ იძლეოდა. ახლა სპეციალურ ტესტს ჩავატარებთ იმავე პირობებში და რეჟიმში, როგორშიც ძრავა მუშაობდა და ყველაფერს გავაკეთებთ საიმისოდ, რათა მსგავსი რამ აღარ განმეორდეს“.

გუნდის მთავარმა სარბოლო ინჟინერმა დენი შევრიმ კი შემდეგი ბრძანა: „ეს ყველაფერი ძალიან მოულოდნელი იყო და ჩვენ არაფრის შეცვლა აღარ შეგვეძლო. ამ ძრავას საკმაოდ მცირე კილომეტრაჟი ჰქონდა გავლილი საიმისოდ, რომ მის ზღვრულ ნორმაზე გვქონდეს საუბარი. ეს რაღაც უცნაური იყო, მიზეზი ჯერ არ ვიცით და ამ მიზეზის პოვნას ვცდილობთ. ახლა მთავარი სწორედ ეს არის — უნდა ვიცოდეთ, როგორ ვიმოქმედოთ მომავალში“.

ძახა ლომაძე

მაკამ კანი უპინოდ დატოვა

მაკა ჩახნაშვილი

საფრანგეთში, კანის თიხნარზე, ITF-ის ეგიდით საკმაოდ პრესტიჟული, 100-ათასიანი ტურნირი მიმდინარეობს. კანში სხვებთან ერთად საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელი ქალი მაკა ჩახნაშვილიც თამაშობს და პირველ წრეში მას მეტოქედ მეორე ნომრად განთესილი ფრანგი, რეიტინგის 65-ე ნომერი კამილ პინი ერგო.

პირველი სეტი კორტის მასპინძელმა 7:6 მოიგო, მაგრამ მეორეში უპირატესობას, უკვე ქართველი ფლობდა. ჩახნაშვილმა სეტი 6:1 მოიგო, ანგარიში გაათანაბრა და მესამეში კი, როდესაც ჩვენებური 1:0-ს იგებდა, პინმა ტრავმის მომიზეზებით შეწყვიტა თამაში.

მეორე წრეში მაკა ჩეხ რენატა ვორასოვასა და კვალიფიკაციიდან წამოსულ ესპანელ მარტა მარეროს შორის გამარჯვებულს შეხვდება.

ტრავმის გამო შეწყდა ქართველი ჩოგბურთელის მონაწილეობით გამართული მატჩი ამერიკული შარლოტსვილის თიხაზე მიმდინარე 50-ათასიან ტურნირზეც. საკვალიფიკაციო ეტაპის მეორე წრეში სალომე დეკიძე ამერიკელ ნიკოლ ლიმბახს ხვდებოდა, პირველ სეტში 6:7 დამარცხდა და როდესაც მეორეშიც 0:1-ს აგებდა, თამაშის გაგრძელება ვეღარ შეძლო.

შეგახსენებთ, რომ შარლოტსვილური შეჯიბრის ძირითად ბჯდეშია ანა ტატიშვილი და პირველ წრეში ავსტრალიელ მონიკა ადამჩიკს შეხვდება.

თურქული ანტალიის თიხნარზე კი 10-ათასიანი ტურნირია, რომელშიც ორი ქართველი მონაწილეობს — სოფო ქვაცაბაია და მარიამ კუპრეიშვილი. ამათგან, ქვაცაბაიამ უკვე მეორე წრეს უწია, კუპრეიშვილმა კი იგივეს გაკეთება ვერ შეძლო — ბულგარელ ჰულია ველიევასთან უიმედოდ, 1:6 2:6 წააგო.

ვერა დოლიძაგვილის ფოტო

მსოფლიოს ჩემპიონატი. შეფილდი. ინგლისი. 19 აპრილი-5 მაისი



ერთვინ ბიბლიოთეკა

147 კარტერმაც დათვალა

შეფილდში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე არნახული ამბები ხდება. აღიარებული ფავორიტების წარუმატებლობებზე ლაპარაკით თავს აღარ შეგაწყენთ და ამ ჯერზე სულ სხვა საკითხზე გავამახვილებთ ყურადღებას.

ამ მსოფლიოს ჩემპიონატამდე სნუკერის ისტორიამ 61 მაქსიმალური, ანუ 147-ქულიანი ბრეიკი იცოდა და აქედან, საკუთრივ მსოფლიოს ჩემპიონატებზე, მხოლოდ 6 მაქსიმალური ბრეიკი იყო ნაჩვენები.

ორ დღეში ეს მონაცემები მნიშვნელოვნად შეიცვალა და ამ წუთისთვის 63-ს და 8-ს შეადგენს. დიახ, ჯერ იყო და სნუკერის ჯადოქარმა რონი ოსალივანმა შეასრულა კარიერაში მეცხრე 147-ქულიანი სერია და მეორე დღეს კი ივივე, თანაც კარიერაში პირველად, ალისტერ კარტერმა შეძლო.

ეს კარტერისა და მეორე ინგლისელის, მსოფლიოს ექსჩემპიონ პიტერ ებდონის მეოთხედფინალურ მატჩში მოხდა. ეს იყო უმაღლესი დონის სნუკერი — კარტერის მაქსიმუმამდე ებდონმა 143-ქულიანი ბრეიკი გააკეთა და შემდეგ მაქსიმუმზეც გაიწია, მაგრამ მე-15 შავ ბურთულაზე მოეცარა ხელი. აი, ამის შემდეგ კარტერის ჯერი დადგა და მაქსიმალური ბრეიკიც გამოცხვა.

როდესაც ორი სესიის შემდეგ შესვენება გამოცხადდა კარტერი 9:7-ს იგებდა. ამის შემდეგ ებდონმა მინიმუმამდე კი შეამცირა სხვაობა, მაგრამ შემდეგ კარტერმა მიყოლებით სამი ფრეიმი მოიგო და ფაქტობრივად, გადაწყვიტა მატჩის ბედი.

პრაქტიკულად ყველაფერი გარკვეულია კიდევ ორ მეოთხედფინალურ შეხვედრაში და სნუკერის ქომაგთა სასიხარულოდ, სატურნირო ბადის ზედა ნახევარში ოცნების ნახევარფინალს მივიღებთ — ოსალივანი შვიდგზის ჩემპიონ სტივ ჰენდრის წინააღმდეგ.

ჩინელ ლიან ვენბოსთან მატჩი რონიმ საკმაოდ უხეროდ დაიწყო, 0:2 ჩამორჩა, თუმც პირველი სესიის ბოლოს ანგარიში, უკვე თანაბარი იყო — 4:4. მეორე სესიაში კი ინგლისელმა ზედიზედ ექვსი ფრეიმი მოიგო, თანაც მორიგი სუპერდიდოსტატური, 140-ქულიანი ბრეიკი გააკეთა და ყველაფერი ნათელი გახადა.

ჰენდრიმ კი თავიდანვე დაანოკაუტა რაიან დეი — სქოთმა უელსელს პირველ სესიაში რვიდან შვიდი ფრეიმი მოუგო, მეორეში კი ექვსქულიანი უპირატესობა შეინარჩუნა. თანაც, სტივმა მორიგი ასქულიანი ბრეიკები გააკეთა და საკარიერო მონაგარი სარეკორდო ციფრამდე, 717-მდე აიყვანა.

კიდევ ერთ მეოთხედფინალში სტივ მაგუაერი 0:4-ს აგებდა ჯო პერისთან, თუმცა ფავორიტმა შეძლო მდგომარეობის გამოსწორება და პირველი სესია ფრედ — 4:4 დასრულდა.

მიხეილ მომცელიძის ველური შანსი

თურქეთის დედაქალაქ სტამბოლში მოფარიკავეთა ბოლო სალიცენზიო ტურნირი ჩატარდა და იქ გამომსვლელ ერთადერთ ქართველ მიხეილ მომცელიძეს პეკინის ლიცენზიამდე ერთი ნაბიჯი დააკლდა.

ჩვენებურმა თავიდან ბულგარელ დობრინ გიონოვს 15:12 მოუგო, მერე კი თავად დამარცხდა პოლონელ მარტინ კონიუშთან 13:15. არადა, 4:10 ჩამორჩენის ამოქაჩვა მოახერხა, წინაც გავიდა და 13:12 იგებდა. ორი ქულაც და ლიცენზიას მოიპოვებდა, მაგრამ წააგო...

საპეკინო ლიცენზიებს ფინალისტები იღებდნენ. მომცემლიძე მოგების შემთხვევაში, სწორედ ფინალში გადიოდა. ახლა ლიცენზიის აღების ერთი საჩოთირო შანსი რჩება. ქართველს ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაციამ და ოლიმპურმა კომიტეტმა „ველური ბარათით“ ოლიმპიადაზე გამოსვლის ნება უნდა დართონ. შესაბამისი თხოვნა თბილისიდან უკვე გაიგზავნა...

ლექსო მაისურაძე

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას წარმოგიდგენთ
SLOT POKER CLUB VEGA
სლოტ პოკერ კლუბი VEGA

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა 2007-2008
ნახევარფინალი. საპასუხო მატჩი. ფუხელ

ჩელსი 3:2დ.დ. (1:1) ლივერპული (1:1)

1:0 დროგბა (34), 1:1 ტორესი (65), 2:1 ლამპარდი (99პ), 3:1 დროგბა (106), 3:2 ბაბელი (118)

ჩელსი: ჩეხი, ესიენი, კარვალიუ, ტერი, ე. კოული, ჯ. კოული (ანელკა 92), ბალაკი, მაკელელე, ლამპარდი (შევჩენკო 120), დროგბა, კალუ (მალუდა 71)

მწვრთნელი: ავრაამ გრანტი

ლივერპული: რეინა, არბელოა, კარაგერი, შკრტელი (ჰიიპია 23), რიისე, კუიტი, მასკერანო, ხაბი ალონსო, ჯერარდი, ბენაიუნი (პენანტი 79), ფ. ტორესი (ბაბელი 99)

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

გაფრთხილება: ალონსო, არბელოა

მსაჯი: რობერტო როზეტი (იტალია)

41 000 მაყურებელი

დიდიე დროგბა დუბლით გამოირჩა

ცრემლები და ქრონოლოგია

ასეთი მატჩის შემხედვარე ფეხბურთი ასმაგად შეგიყვარდება კაცს და ძნელია იმ ყველაფრის სიტყვით გადმოცემა, რაც კოკისპირული წვიმის თანხლებით „სტემფორდ ბრიჯზე" მოხდა. თუმცა მიმოხილვა ერთი ეპიზოდით უნდა დავიწყოთ, რომელსაც შეუძლებელია, ადამიანისთვის გული არ აეჩუყებინა...

დამატებითი დროის მე-8 წუთზე სემი ჰიიპიამ მიხაელ ბალაკი წააქცია და რობერტო როზეტიმ, რომელსაც რბილად რომ ვთქვათ, კარგად არ უმსაჯია, პენალტი დანიშნა. ბურთთან ფრენკ ლამპარდი მივიდა და ნერვიულობის მიუხედავად, უბადლოდ დაარტყა. ლამპარდმა, რომელმაც დედა სულ რამდენიმე დღის წინ დაკრძალა შავი სამკლავური ჩამოიხსნა, კუთხურის ალამთან მიირბინა და ატირებულმა აკოცა. ხოლო როცა ეიფორიაში მყოფი თანაგუნდელები ჩამოშორდნენ, ორივე ხელი ჯერ ცისკენ აიშვირა, მერე კი ტრიბუნისკენ გაიშვირა. პარალელურად, კადრში ფრენკის აცრემლებული მამა გვიჩვენეს. ეს საოცრად ამაღელვებელი წუთები გახლდათ...

ახლა კი ყველაფერს ქრონოლოგიურად მივყვეთ. „ჩელსიმ" თამაში უკეთ დაიწყო და ერთი-ორი მომენტიც შექმნა, მაგრამ „ლივერპულმა" ლონდონელებს კიდევ უფრო მწვავე შეტევით უპასუხა — იოსი ბენაიუნის წამოწყებულ იერიშს, სტივენ ჯერარდის ოსტატური პასი მოჰყვა, ფერნანდო ტორესმა მახვილი კუთხიდან კი დაარტყა, მაგრამ პეტრ ჩეხი უშეცდომო გახლდათ.

მალევე ლამპარდის ბრწყინვალე პასით დიდიე დროგბას უნდა გაეტანა, მაგრამ კარგად ვერ დაარტყა. თუმცა კოტდივუარელმა მალევე, თავისი მაინც ქნა — ლამპარდის მორიგმა პასმა სალომონ კალუ კარგ პოზიციაზე გაიყვანა, მას პეპე რეინამ კი აუღო, მაგრამ დროგბა იქვე გაჩნდა და ბრწყინვალე დარტყმით ბურთი ახლო კუთხეში ნაპოვნ ხვრელში ჩაჭედა.

„ჩელსიმ" იერიშები გააგრძელა და შესვენებამდე შეეძლო სხვაობის გაზრდა. მერსისაიდელები აშკარად ვერ გამოიყურებოდნენ სათანადოდ.

სამაგიეროდ, „ლივერპულმა" მეორე ტაიმი დაიწყო ჩინებულად. დირკ კუიტს 49-ე წუთზე შეეძლო ეშმაკური დარტყმით გატანა, მაგრამ მასპინძლები ისევ ჩეხმა იხსნა. თუმცა 64-ე წუთზე მერსისაიდელებმა მაინც მიაღწიეს საწადელს — ბენაიუნმა მშვენივრად ატარა ბურთი და ჩინებულად გაუჭრა ტორესს, მანაც ვარდნაში კარგად დაარტყა და 1:1.

ამის მერე, ორივე გუნდმა უფრო ფრთხილად განაგრძო თამაში. მიუხედავად ამისა, მომენტები იქმნებოდა, მაგრამ მათი აღწერა შორს წაგვიყვანს. საბოლოოდ, ყველაფერი დამატებით დრომდე მივიდა, რომელიც უკეთ სტუმრებმა დაიწყეს, მაგრამ „ჩელსი" მალევე გამოფხიზლდა და გოლიც გაიტანა. ეს მიკაელ ესიენმა გააკეთა, მაგრამ ლონდონელებს ზეიმი სულ რამდენიმე წამს დასცალდათ, თანამსაჯმა ალამი ასწია — დარტყმის მომენტში რეინას თამაშგარეში მყოფი „ჩელსის" რამდენიმე მოთამაშე ფარავდა.

გავიდა რამდენიმე წამი, რასაც პენალტი და ლამპარდის ზემოთ ხსენებული გოლი მოჰყვა... პირველი დამატებული ტაიმის ბოლოს კი შეცვლაზე შესული ნიკოლა ანელკას კროსით დროგბამ დასწრებაზე იყოჩაღა და ახლოდან კიდევ ერთხელ გახვრიტა რეინა.

აქ, ალბათ, ბევრი გუნდი საბოლოოდ გატყდებოდა და მერსისაიდელებსაც თითქოს ბევრი არაფერი გამოსდიოდათ, მაგრამ „ლივერპული" რის „ლივერპულია" — 117-ე წუთზე რაიან ბაბელმა ძალიან შორიდან მოულოდნელად და ძლიერად დაარტყა, ჩეხი ბურთს კი შეეხო, მაგრამ ვერაფერი გააწყო. დარჩენილ სამ წუთში ლონდონელებმა კი ინერვიულეს და ლივერპულელებმა იწვალეს, მაგრამ აღარაფერი შეცვლილა. გასავარდნად ორივე გუნდი ალალად ცოდო იყო, მაგრამ ვერავინ იტყვის, „ჩელსი" ისტორიაში პირველად, დაუმსახურებლად გავიდა ჩემპიონთა ლიგის ფინალშიო.

საფინალო სასტვენის მერე კი... დროგბა, რომელმაც შვებით ამოისუნთქა, მინდორზე დაჩოქილი ავრაამ გრანტი, დამწუხრებული ლივერპულელები...

დაბოლოს, მიმდინარე ჩემპიონთა ლიგა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, პრემიერლიგად გადაიქცა. „ჩელსი" და „მანჩესტერი" ჯერ იქ გაარკვევენ ვის დარჩება ჩემპიონობა. 21 მაისს კი, მოსკოვში „ლუჟნიკიზე", შეებმებიან ერთმანეთს ევროპის საკლუბო ჩემპიონობისთვის.

გიორგი ქაქაბაძე

მატჩის საკვანძო მომენტი: სემი ჰიიპიამ მიხაელ ბალაკი საპენალტედ დასცა

შოტლანდია

I-II დივიზიონი. პლეი ოფი
1/2 ფინალი. I მატჩები

ალოა 2:1 კლაიდი
რეითი 0:2 ერდრი
არბროთი 1:1 კოუდენბითი
მონტროუზი 1:1 სტრანრარი

ჩეხეთი

თასის ნახევარფინალი
პირველი მატჩი

ბოჰემიანსი 0:1 სპარტა

პოლონეთი

თასის ნახევარფინალი
საპასუხო მატჩები

გროცლინი 0:1 ვისლა (0:0)
ზაგლებე 1:1 ლეგია (0:0)

საბერძნეთი

სუპერლიგა. პლეი ოფი
II ტური

პანიონიოსი 1:0 არისი
პანათინაიკოსი 4:1 აეკ

იაპონია

ჯეი ლიგა
IX ტური

გამბა 2:3 ომია
კაშიმა 2:2 კობე

ნორვეგია

I დივიზიონი
V ტური

ბრინი 3:1 ალტა
ჰაუგესუნდი 0:4 ჰიონეფოსი
ლოვ ჰამი 3:1 კონგსვინგერი
მოსი 1:1 ნოტოდენი
ოდ გრენლანდი 3:2 სპარტა
სტარტი 1:1 ჰიოდი

სლოვენია

თასის ნახევარფინალი
საპასუხო მატჩები

კოპერი 2:3 ინტერბლოკი (1:2)
დომჟალე 1:1 მარიბორი (0:1)

ხორვატია

I დივიზიონი
XXXI ტური

ზაგრები 3:1 ვარტექსი
ციბალია 2:0 შიბენიკი
დინამო 1:0 ინტერი
რიეკა 5:2 მედიმურიე
სლავენი 2:0 ზადარი

ამხანაგური მატჩები

ინდონეზია 1:0 იემენი
ომანი 2:0 ყირგიზეთი
ჰონდურასი 3:0 ჰაიტი

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge